ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

GCRT წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

# არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია

## კვლევის ანგარიში

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

თბილისი
2020

წინამდებარე ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT). ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, ევროკავშირის შეხედულებებს არ ემთხვეოდეს.

**კვლევის ავტორები:** ანტონ ქელბაქიანი

ნატალია ცაგარელი

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სოფიო ვიბლიანს და ნათია ტაბატაძეს კვლევაში შეტანილი წვლილისთვის.





# სარჩევი

**შესავალი** ....... **5**

**კვლევის დიზაინი** ....... **6**

კვლევის მიზანი და ამოცანები ....... 6

კვლევის მეთოდოლოგია ....... 6

**კვლევის შეზღუდვა** ....... **8**

**კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები** ....... **8**

შინაგან საქმეთა სამინისტრო ....... 8

გენერალური პროკურატურა ....... 9

იუსტიციის სამინისტრო (სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი) ....... 10

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ....... 12

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ....... 18

ადგილობრივი თვითმმართველობები ....... 23

**საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი** ....... **24**

**ადგილობრივი კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან მიმართებაში** ....... **29**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ....... 29

გენერალური პროკურატურა ....... 34

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ....... 36

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ....... 41

*სასკოლო სერვისები, მანდატურის სამსახური და სკოლის პრევენციული ფუნქცია ....... 41*

*სოციალური მუშაობა სკოლებში და ბავშვები, რომლებიც მხარდაჭერას საჭიროებენ ....... 57*

*გაცდენები და მოსწავლის სტატუსის შეჩერება ....... 63*

*მიუსაფარი ბავშვები, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები ....... 67*

*სხვა უწყებებთან თანამშრომლობა ....... 68*

*მშობლებთან მუშაობა ....... 70*

*ალკოჰოლზე და ნარკოტიკზე დამოკიდებულება ....... 71*

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთლეობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ....... 71

*ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები* ....... 72

*ოჯახის გაძლიერების კომპონენტი* ....... 79

*სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვები* ....... 83

*მინდობით აღზრდა* ....... 93

*მიუსაფარი ბავშვები* ....... 97

*ალკოჰოლზე და ნარკოტიკზე დამოკიდებულება* ....... 107

*სხვა უწყებებთან თანამშრომლობა* ....... 108

ადგილობრივი თვითმმართველობა ....... 110





# შესავალი

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული რთული ფენომენია, რომელსაც მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს. მოზარდის ქცევაზე გავლენას ახდენს როგორც ინდივიდუალური, ისე ისეთი გარე ფაქტორები, როგორიცაა: ოჯახი, სოციალური გარემო, სკოლა და ა.შ. დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შემცირება უნდა გულისხმობდეს ისეთ ფაქტორებზე მუშაობას, როგორებიცაა სიღარიბე, უმუშევრობა, განათლების დაბალი დონე, სოციალური იზოლაცია და სხვა. შესაბამისად, ამ პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობა, ისე არასამთავრობო სექტორის და ბიზნეს ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს.

ამ თვალსაზრისით საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. 2009 წელს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემუშავებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. არსებული მდგომარეობის, მიღწეული შედეგების, გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების საფუძველზე ეს დოკუმენტი ყოველწლიურად ახლდება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი საქართველოს პარლამენტმა 2015 წელს მიიღო. მისი ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1-ელ იანვარს ამოქმედდა.

აღნიშნული კვლევა განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - “არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა” ფარგლებში, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) და ინიციატივა - მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის (RIVG) მიერ.

კვლევა ფოკუსირებულია სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებაზე - არასრულწლოვანთა დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციაზე, რათა ასახოს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და გამოწვევები.

RIVG-ის კვლევითმა გუნდმა გაანალიზა 2019 წლის განმავლობაში მიღებული ადგილობრივი კანონები, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა და სტანდარტები და არასრულწლოვანთა საკითხებზე მომუშავე საჯარო უწყებების მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია.

GCRT და RIVG იმედს გამოთქვამენ, რომ ეს ანგარიში იქნება ღირებული ყველა იმ უწყებისთვის და ორგანიზაციისთვის, რომლებიც ჩართულნი ან დაინტერესებულნი არიან არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პროგრამების განხორციელებასა და დანერგვაში.

# კვლევის დიზაინი

## კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკის შესწავლა და ამ სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენა.

**კვლევის ამოცანებია:**

1. საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა;
2. ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება შემდეგი სახის მეთოდოლოგიას:

ა) საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი. განხორციელდა იმ საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი, რომლებიც ეხება დანაშაულის პრევენციის საკითხებს, კერძოდ:

1. გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
2. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 და N14;
3. გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვნებში დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები);
4. თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების სახელმძღვანელო წესები (ურბანული დანაშაულის პრევენციაზე მიმართული);
5. გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელო წესები;
6. გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“);
7. დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპები, UNODC.

ბ) ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზი. კვლევაში მიმოხილულია ადგილობრივი ნორმატიული აქტები, რომლებიც არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის სფეროში სხვადასხვა უწყებების როლს და ფუნქციას არეგულირებს. ასევე წარმოდგენილია ადგილობრივი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.





გ) საჯარო/სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი. ანგარიშისთვის გამოთხოვილია საჯარო ინფორმაცია: შინაგან საქმეთა სამინისტროდან; იუსტიციის სამინისტროდან (დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან); განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებიდან (მათ შორის მათ დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ებიდან და მთავარი პროკურატურიდან. გარდა ამისა, მოძიებული იქნა ინფორმაცია სხვადასხვა ვებგვერდებიდან. ყველა ამ წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია ასახულია კვლევაში. ჩვენ მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია ეხება 2014-2019 წლებში განხორციელებულ საქმიანობას.

დ) ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები. საქართველოში არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის და პრაქტიკის შეფასების მიზნით, გამოყენებულია ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუსა და ფოკუსჯგუფის მეთოდი. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს დანაშაულის პრევენციის პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

შერჩევის პროცედურა: სახელმწიფო უწყებებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღეს იმ თანამშრომლებმა, რომლებიც ოფიციალური მიმართვის საფუძველზე თვითონ უწყებებმა წარადგინეს. გარდა ამისა, შეირჩა რესპონდენტები სახალხო დამცველის აპარატიდან და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, რომლებიც გარკვეული ფორმით ჩართულნი არიან არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პროცესში ან სისტემატურად აქვთ ურთიერთობა ამ სფეროში მომუშავე პირებთან.

კვლევის მონაწილეები: შინაგან საქმეთა სამინისტრო - 2 ინტერვიუ; სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკი - 4 ინტერვიუ; იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრი - 4 ინტერვიუ; სახალხო დამცველის აპარატი - 2 ინტერვიუ; საქართველოს გენერალური პროკურატურა - 5 ინტერვიუ; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო - 8 ინტერვიუ; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 9 ინტერვიუ; 2 ფოკუსჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და მართლწესრიგის ოფიცრებთან.

სულ კვლევის ფარგლები ჩატარდა 32 ინტერვიუ და 2 ფოკუსჯგუფი. კვლევითი ჯგუფის მიერ თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის შემუშავდა ინტერვიუსა და ფოკუსჯგუფის ნახევრად სტრუქტურირებული ინსტრუმენტები/კითხვარები. თვისებრივი კვლევა ჩატარდა 2019 წელს.

# კვლევის შეზღუდვა

კვლევის პროცესში იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში რეორგანიზაცია ჩატარდა. შესაბამისად, კვლევის საბოლოო შედეგებში, შესაძლოა, არ იყოს ასახული ის ცვლილებები, რაც საკანონმდებლო და სტრუქტურული რეორგანიზაციის დროს ამ უწყებებში განხორციელდა.

კვლევის პროცესში სრულყოფილად ვერ შეფასდა დანაშაულის პრევენციის პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობების როლი და ფუნქცია, რადგან ადგილობრივმა თვითმმართველობებმა შესაბამისი ინფორმაცია არ მოგვაწოდეს და მათთან მიმართებაში არც დეტალური თვისებრივი კვლევა ჩატარებულა.

# კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

## შინაგან საქმეთა სამინისტრო

დღეს არსებული საკანონმდებლო ნორმები განსაზღვრავს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში შსს) შესაბამისი სტრუქტურების როლს და ფუნქციას არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის მიმართულებით. ეს ნორმები ეხება როგორც დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების იდენტიფიცირების პროცესსა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას, ისე ბავშვების სხვადასხვა სერვისებსა და პროგრამებში რეფერირებას. აღნიშნული დებულებები საერთაშორისო სტანდარტებში ასახულ პრინციპებს შეესაბამება.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი ბავშვების მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შემთხვევაში, სხვადასხვა სერვისებსა და პროგრამებში მათ რეფერირებას ეხება.

- კვლევამ აჩვენა, რომ ხარვეზებია პრევენციული ხასიათის პროგრამების რაოდენობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრევენციული პროგრამების განხორციელების პროცესში წამყვანი როლი არ აკისრია, ის აქტივობები, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს (ძირითადად ცნობიერების ამაღლების მიმართულებით), ძალიან მცირეა. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროგრამა 60-მდე სკოლაში ხორციელდება, მაშინ, როცა საქართველოში 2000 -ზე მეტი სკოლაა (კერძო და საჯარო);
- ხარვეზებია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებისა და შესაბამის სერვისებსა და პროგრამებში მათი რეფერირების პროცესშიც. კვლევამ აჩვენა, რომ რთული ქცევის მქონე ბავშვებთან მიმართებაში, მართლწესრიგის ოფიცრები მუშაობენ როგორც უშუალოდ ბავშვთან, ისე მის ოჯახთან და სხვა უწყებებთან თანამშრომლობის მეშვეობით სხვადასხვა სახის პრევენციულ აქტივობებსაც ახორციელებენ. ამ ეტაპზე მართლწესრიგის ოფიცრები ყველა რისკჯგუფთან მუშაობას ვერ ახერხებენ. მომავალში ამ მიმართულებით უფრო აქტიური მუშაობა იგეგმება;
- შინაგან საქმეთა სამინისტროში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შექმნა მისასალმებელია. ეს ინსტიტუტი, რომელიც არასრულწლოვნების დანაშაულის პრევენციაზეა ორიენტირებული, დაახლოებით 1 წელია რაც ფუნქციონირებს: ამ ეტაპზე მხოლოდ თბილისის ორ რაიონში - ვაკე-საბურთალოსა და ძველ თბილისში. თბილისში დაახლოებით 365 მართლწესრიგის ოფიცერია. როგორც კვლევიდან გამოიკვეთა, თითო ოფიცრის სამუშაო არეალია უბანი, სადაც დაახლოებით 3000-3500 ადამიანი ცხოვრობს.
- მართლწესრიგის ოფიცრის ინტიტუტმა უბნის ინსპექტორი ჩაანაცვლა. მართლწესრიგის ოფიცერი აღარ მონაწილეობს ოპერატიულ და საგამოძიებო საქმეებში და ძირითადად პრევენციული ღონისძიებების ჩატარებაზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, მათ მოვალეობებში შედის ოჯახური ძალადობის ფაქტებზე და არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე რეაგირება. იმის გამო, რომ ეს ინსტიტუტი ახალი შექმნილია, მისი ეფექტიანობა ამ ეტაპზე სრულყოფილად ვერ შეფასდა.
- ხარვეზია ისიც, რომ მართლწესრიგის ოფიცრის როლი დანაშაულის პრევენციის პროცესში ნორმატიული აქტის დონეზე არ არის განსაზღვრული - არ არის გაწერილი მისი უფლებები და მოვალეობები. მართლწესრიგის ოფიცრები ამჟამად შსს-ს კრიმინალურ დეპარტამენტში ირიცხებიან და საკანონმდებლო დონეზე მათი ფუნქციები ცალკე გამოყოფილი არ არის.[1] მნიშვნელოვანია, რომ ამ ახალი ინსტიტუტისთვის მათი საქმიანობის ზუსტი ინსტრუქცია იყოს ჩამოყალიბებული.

## გენერალური პროკურატურა

არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენცია გენერალური პროკურატურის მთავარი ფუნქცია არ არის. გენერალური პროკურატურა სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი უწყებაა. მიუხედავად ამისა, დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ეს უწყება ახორციელებს ორ აქტივობას: ატარებს პროექტს - „საზოგადოებრივი პროკურატურა" და ორგანიზებას უწევს მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფების კოორდინაციას.

პროექტის - „საზოგადოებრივი პროკურატურა" ფარგლებში უწყება ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. მიზნობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან მოზარდები/სკოლის მოსწავლეები. ღონისძიებები ძირითადად იმართება ბულინგისა და ოჯახური ძალადობის თემებზე. ასევე

[1] შესაძლოა დამტკიცებულია შიდა ინდივიდუალური აქტით, თუმცა ვებგვერდზე https://matsne.gov.ge/ არ იძებნება

იმართება სხვადასხვა სახის კონკურსები და გამოფენები. აღნიშნული პროგრამა, ცხადია, ვერ პასუხობს მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებს და მას სრულად ვერ ფარავს.

პროკურატურის ინიციატივით შეიქმნა მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფი. ამ ფორმატში სამუშაო პროცესს პროკურატურა ხელმძღვანელობს. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობენ სხვადასხვა უწყების (პროკურატურა, შსს, პრობაციის ბიურო, სოციალური მომსახურეობის სააგენტო და სხვა) რეგიონული წარმომადგენლები. მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფების მთავარი ფუნქცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების/დანაშაულის პრევენციის საქმეში რეგიონში არსებული საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების მოძიებაა.

კვლევამ აჩვენა, რომ მულტიდისციპლინურ სამუშაო ჯგუფებში ხშირად მსჯელობენ არამარტო მართლმსაჯულების, არამედ დანაშაულის პრევენციის საკითხებზეც. კვლევის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანობა არ შეფასებულა. პროკურატურის ინიციატივა, რომ კოორდინაცია გაუწიოს ასეთი სამუშაო ჯგუფების საქმიანობას, მისასალმებელია.

## იუსტიციის სამინისტრო (სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი)

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მთავარი ფუნქცია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით სხვადასხვა უწყებების კოორდინირება და რისკჯგუფებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებაა. 2020 წლიდან იუსტიციის სამინისტროში ორგანიზაციული ცვლილებები განხორციელდა, რის შედეგადაც დანაშაულის პრევენციის ცენტრი და პრობაციის ეროვნული სააგენტო გაერთიანდა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო შეიქმნა. მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, საკანონმდებლო დონეზე ახალი უწყების ფუნქციები არსებითად არ შეცვლილა.

- ცენტრის მიერ გამოგზავნილი ინფორმაციის მიხედვით, ბენეფიციარებისთვის მიწოდებული სხვადასხვა სახის სერვისების რაოდენობა წლების განმავლობაში იზრდებოდა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ რისკჯუგფში[2] შემავალ ბენეფიციართა საჭიროებებს აღნიშნული სერვისები სრულად ვერ ფარავდა;
- ხარვეზებია მიწოდებული სერვისების (როგორც მათ მიერ განხორციელებული, ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული) ეფექტიანობის შეფასების ნაწილშიც. კვლევამ აჩვენა, რომ ხარისხის ზედამხედველობის სისტემა უწყებაში არ არსებობდა. შესაბამისად, ბუნდოვანია, რა მტკიცებულებებს ეყრდნობა უწყება, როდესაც ბენეფიციარებს გარკვეული სახის სერვისებს სთავაზობს. შესაძლოა, ზოგიერთი სერვისის მიზანი მხოლოდ ცნობიერების ამაღლება იყოს და მისი შედეგების გრძელვადიანი გაზომვა არ ხდებოდეს, მაგრამ სხვა სახის სერვისების ეფექტიანობა აუცილებლად უნდა იზომებოდეს;
- უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტიანი წარმართვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მაკოორდინირებელი უწყების არსებობას. კანონმდებლობის მიხედვით, ეს ფუნქცია იუსტიციის სამინისტროს აქვს. 2020 წლამდე ამ საქმიანობას მის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ - „დანაშაულის პრევენციის ცენტრი" ასრულებდა. იუსტიციის სამინისტრო და დანაშაულის პრევენციის ცენტრი ამ მიმართულებით თავის ფუნქციას ეფექტიანად ვერ ასრულებენ. კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები უწყებათაშორისი თანამშრომლობის პროცესში ძალიან პასიურები არიან;
- დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ მიწოდებული სერვისები ბენეფიციართა საჭიროებებს სრულად ვერ ფარავს;
- მისასალმებელია ის სიახლე, რომელიც 14 წელს მიუღწეველ ბავშვთა (რომლებიც სჩადიან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ან/და რთული ქცევები აქვთ) რეფერირების მექანიზმის ამოქმედებას ეხება. აღნიშნული სიახლის შეფასება შესაძლებელი იქნება მისი პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ.

**რეკომენდაციები** (შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროსთან მიმართებაში):

- უწყებათაშორისი თანამშრომლობის გზით გაიზარდოს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრევენციული პროგრამებისა და სერვისების რაოდენობა;
- უწყებებში ჩამოყალიბდეს სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროში, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ეტაპობრივად დაინერგოს თბილისის ყველა რაიონში და საქართველოს რეგიონებში;
- გააქტიურდეს უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა და უფრო მეტად მოიცვას დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული საკითხები;
- აქტიურად გამოიკვეთოს იუსტიციის სამინისტროს წამყვანი და მაკოორდინირებელი როლი უწყებათაშორისი თანამშრომლობის პროცესში, რაც მას მისცემს შესაძლებლობას, რომ ამ პროცესში ეფექტიანად ჩართოს სხვადასხვა უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

[2] არასრულწლოვანთა დანაშაულის სტრატეგიის შესაბამისად.

## განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. თუმცა, პრაქტიკაში ჰოლისტურ მიდგომებზე დაფუძნებული პრევენციის პროგრამების ფართო სპექტრი ხელმისაწვდომი არ არის. სკოლების პრევენციული როლი სუსტია და ისეთი სპეციალისტები, როგორიცაა - სკოლის ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, სპეციალური მასწავლებელი, სკოლებში არ ჰყავთ. კვლევამ ცხადყო, რომ ქვეყანაში ადრეული და შუალედური პრევენციული პროგრამების დეფიციტია. საჯარო სკოლების დიდ ნაწილს არ ჰყავს ფსიქოლოგი. კვლევის დროს ხელმისაწვდომი არ იყო არც სასკოლო მედიაციის კომპონენტი. მანდატურის სამსახურში დაგეგმილია სასკოლო მედიაციის დანერგვა, რაც მისასალმებელია.

რიგი გამოწვევები არსებობს პრაქტიკულ დონეზეც:

- კვლევის პერიოდში არ არსებობდა რეფერირების შიდა პროცედურა, რომელიც განსაზღვრავდა კონკრეტულ შემთხვევებში ბავშვის რეფერირების მიმართულებას. იყო შემთხვევები, როცა ამის გამო სკოლის მოსწავლეს არასწორი მიმართულებით ამისამართებდნენ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ კვლევის პერიოდში მანდატურის სამსახურში მუშაობდნენ შიდა რეფერირების დოკუმენტის შექმნაზე, რომელშიც ბავშვის გადამისამართების წესი უნდა განსაზღვრულიყო;
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ნორმატიულად არ იყო განსაზღვრული სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა აღრიცხვისა და მათი სასკოლო პროცესში დაბრუნების პროცედურა. არსებობდა ბავშვთა კონტიგენტი, რომელიც სახელმწიფოსთვის უხილავი იყო, რაც საფრთხეს უქმნიდა ამ ბავშვებისთვის განათლების უფლების უზრუნველყოფას.
- კვლევის პროცესში განათლების სამინისტროში მუშაობდნენ ერთიანი დოკუმენტის შექმნაზე, რომელიც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ჩართულობით, მიზნად ისახავს ყველა სასკოლო ასაკის ბავშვის აღრიცხვას, მოძიებას და იმ პრობლემების მონიტორინგს, რაც მათ განათლების უფლებით სარგებლობას ხელს უშლიდა;
- კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით ცხადი გახდა, რომ რიგ შემთხვევებში, სწორედ სკოლის მენეჯმენტის უნარი და პოზიცია განაპირობებდა სკოლის პრევენციული როლს. აქტიური პრევენციული საქმიანობა კი სკოლაში ბავშვების რაოდენობის ზრდის შესაბამისად რთულდება. ბევრად უფრო მარტივია მცირე კონტიგენტიანი სკოლების მართვა, სადაც უფრო მარტივია პრევენციული აქტივობების დაგეგმვა და ყველა ბავშვზე ყურადღების გადანაწილება;
- მანდატურის სამსახური ყველა სკოლაში არ არის. იმ სკოლების ნაწილში, სადაც მანდატურის სამსახური არსებობს, ხშირია შემთხვევები, როცა სამსახურში მხოლოდ ერთი სქესის ადამიანები მუშაობენ. მანდატურის ფუნქციის გათვალისწინებით, სასურველია, რომ მანდატურებს შორის გენდერული ბალანსი დაცული იყოს;





- პედაგოგების ნაწილს არ აქვს გავლილი გადამზადება „დამრიგებლის საათის“ ან სხვა ტიპის პრევენციული აქტივობების გაძღოლის თაობაზე. ასეთ ღონისძიებებზე ისინი აქტიურად საუბრობენ დანაშაულის პრევენციისთვის მნიშვნელოვან თემებზე. გამოკითხულ პედაგოგთა ნაწილს გარკვეული ტრენინგები გავლილი აქვს, თუმცა, როგორც გაირკვა, ისინი ძირითადად თვითონ ეძებენ მასალას და ცდილობენ, გაარკვიონ, როგორ უნდა დაგეგმონ გაკვეთილი და როგორ გაუძღვნენ მას. მათ ხშირად უჭირთ ცალკეულ თემებზე მსჯელობის სწორად წარმართვა;
- კვლევამ აჩვენა, რომ პედაგოგებისთვის ზოგჯერ რთულია ძალადობის იდენტიფიცირება. ისინი უმეტესად თავად ბავშვისგან ან მისი მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან (როდესაც შესაძლოა სწორედ ის იყოს ძალადობის განმახორციელებელი სუბიექტი) მოელიან ინფორმირებას. ძალადობის ცალკეული ფორმების ვერდანახვა ხელს უშლის ბავშვის სწორი მიმართულებით რეფერირებას;
- ბავშვის რეფერირების შემთხვევაში არ არის აწყობილი უწყებებს შორის პარტნიორობისა და უკუკავშირის მიღების სისტემური მექანიზმი. ეს პროცესი მხოლოდ ცალკეულ თანამშრომელთა უნარებსა და კეთილ ნებაზეა დამოკიდებული;
- კვლევის დროს რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავდა, რომ სკოლებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ გარკვეული სერვისების მიწოდება მხოლოდ ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის, ძალადობრივი ქცევის განმახორციელებელი ბავშვი კი ყურადღების მიღმა რჩება, რაც დანაშაულის პრევენციას ხელს არ უწყობს;
- კვლევამ აჩვენა, რომ როგორც ბავშვების, ისე მშობლების ნაწილი სტიგმის გამო უარს ამბობს საქმეში სპეცპედაგოგის ან ფსიქოლოგის ჩართვაზე. თუ ბავშვი დაცინვის, ან გარიყვის რისკის გამო უარს ამბობს საჭირო სერვისის მიღებაზე, ეს მის საუკეთესო ინტერესში არ შედის.
- პედაგოგთა ნაწილი ფიქრობს, რომ ბავშვის რეფერირება, შესაძლოა, მისი გაღიზიანების მიზეზი გახდეს. შესაბამისად, პედაგოგები ვერ ხედავენ ცალკეული შემთხვევების დაფარვის მიზანშეწონილობას, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავს კონკრეტული შემთხვევების კლასის ან სკოლის დონეზე გადაჭრის მცდელობას;
- სპეცპედაგოგების გარკვეული ნაწილი პრევენციის სხვადასხვა ღონისძიებებში საკუთარ თავზე იღებს ფსიქოლოგის ფუნქციას. ჩნდება კითხვა - რამდენად შეუძლიათ სპეცმასწავლებლებს სასკოლო ინციდენტების განმუხტვა, მაშინ, როდესაც ეს მათი მოვალეობა არ არის და შესაძლოა, არც ამისთვის საჭირო კომპეტენცია ჰქონდეთ;
- კანონმდებლობის მიხედვით, 2021 წლიდან სკოლებში უნდა დაინერგოს სოციალური მუშაკის ინსტიტუტი. შესაბამისად, 2019 წელს უნდა დაწყებულიყო სოციალური მუშაკების ეტაპობრივი გადამზადება. კვლევიდან ირკვევა, რომ გადამზადების პროცესი

ჯერ არ დაწყებულა და შესაძლოა, 2021 წელს საჭირო რაოდენობის სოციალური მუშაკები არ გვყავდეს;

- მანდატურის ფსიქო-სოციალურ სამსახურში ადამიანური რესურსის (ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების) დეფიციტია, რის გამოც სერვისის მიღებას არასრულწლოვნები ზოგჯერ თვეობით ელოდებიან;
- მანდატურის ფსიქოსოციალური ცენტრის სერვისი ხელმისაწვდომი არ არის რაჭასა და მცხეთა-მთიანეთში, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფსიქოსოციალური სერვისის ყველა რეგიონის დონეზე ხელმისაწვდომობისა და გეოგრაფიული დაფარვის გაუმჯობესების თვალსაზრისით;
- რიგ შემთხვევებში მშობლები ვერ აცნობიერებენ ბავშვების მანდატურის სერვისში ჩართვის მნიშვნელობას. ხშირად ისინი აცხადებენ, რომ ბავშვი დადის კერძო ფსიქოლოგთან, რისი გადამოწმების შესაძლებლობაც მანდატურის ფსიქოსოციალურ ცენტრს არ აქვს. შესაბამისად, შესაძლოა არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ბავშვი არც კერძო ფსიქოლოგთან დადის და არც მანდატურის ფსიქოსოციალური სამსახურის სერვისს იღებს;
- ადრეული და შუალედური პრევენციის სერვისები არ არსებობს: ცალკეულ შემთხვევებში ალტერნატივა სრული უმოქმედობაა ანდა ბავშვის სამტრედიის საჯარო სკოლაში რეფერირება. სამტრედიის სკოლის ფორმატი ხშირ შემთხვევებში გამორიცხავს ბავშვის ინტერესზე მორგებული ხარისხიანი სერვისის მიწოდებას; პრობლემურია სამტრედიის სკოლა-პანსიონის სტრუქტურაც. იქ არსებული სერვისები არ არის მორგებული ცალკეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და არც მათი ხარისხია დამაკმაყოფილებელი. გამოწვევაა ისიც, რომ სამტრედიის სკოლაში გაგზავნამდე არ არსებობს შუალედური რგოლი, სადაც ე.წ. რთული ქცევის მქონე ბავშვების ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი ბავშვების გადამისამართება მოხდება. საქართველოს მთავრობის #681 დადგენილების თანახმად, ბავშვებმა, რომელთა გადამისამართებაც რეფერირების დაწესებულებაში არ ხდება, მათ ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული სერვისები უნდა მიიღონ. კვლევის ეტაპზე ბავშვებისთვის ასეთი სერვისები ხელმისაწვდომი არ იყო. გაურკვეველია, რამდენად ინტენსიურად ხდება სკოლა-პანსიონში (ამჟამად უკვე რეფერირების დაწესებულებაში, რომელიც შეიქმნა 2019 წლის ბოლოსთვის და რომელიც კვლევის ძირითად ნაწილში დეტალურად იქნება განხილული) მიწოდებული სერვისების ხარისხის კონტროლი და რამდენად არის არსებული პროგრამების საჭიროება მტკიცებულებებზე დაფუძნებული. სამწუხაროდ, მიუხედავად მოთხოვნისა, სამინისტროდან არ მიგვიღია ინფორმაცია პროგრამების მოდულების შინაარსსა და ხანგრძლივობაზე, რის გამოც ამ პროგრამების ხარისხის და მიზნის დეტალური შეფასება შეუძლებელია;
- პრევენციის მიმართულებით სასკოლო ავტონომია სხვადასხვა სკოლებში მყოფ ბავშვებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. ხშირ შემთხვევებში (გარდა სამინისტროს





ცენტრალური აპარატიდან დაგეგმილი ღონისძიებებისა), დირექტორისა და პერსონალის ინიციატივებსა და აქტიურობაზეა დამოკიდებული რა პრევენციული ღონისძიებები გაიმართება სკოლაში. მართალია, მინიმალური მოთხოვნები კანომდებლობით გაწერილია, მაგრამ ის არ არის საკმარისი და დანარჩენი პრევენციული ზომები და ძალადობის საწინააღმდეგო საქმიანობა მაინც დირექტორებისა და სკოლის პერსონალის დასაორგანიზებელია;

- სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და მიუსაფარი ბავშვების მიმართ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯერ კიდევ არსებობს სტიგმა, როგორც პედაგოგების და სკოლის ადმინისტრაციის, ისე ბავშვებისა და მათი მშობლების მხრიდან. ეს სტიგმა შედარებით დაბალია მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების მიმართ და უფრო აქტიურად შეიმჩნევა იმ ბავშვებთან მიმართებაში, რომლებიც კრიზისულ ცენტრებში იმყოფებიან;
- სკოლის გაცდენასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიების ვალდებულებას სიტყვიერად კვლევაში მონაწილე სკოლის ყველა წარმომადგენელი ეთანხმება, თუმცა, რა დოკუმენტით აკისრიათ კლასის დამრიგებლებს ეს მოვალეობა, მათთვის უცნობია. გარდა ამისა, ამჟამად ნორმატიულად არ არის გაწერილი დამრიგებლის პრევენციული როლის ზუსტი ფარგლები და მასზე ყველა რესპონდენტს განსხვავებული წარმოდგენა აქვს. რეგულაციის არსებობა შეამცირებდა სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სკოლის პედაგოგებს შორის ამ მხრივ არსებულ გაურკვევლობას.

**რეკომენდაციები:**

- სკოლის არასაპატიო წესით გაცდენის თაობაზე გაიწეროს სკოლის ვალდებულებები; გაიმიჯნოს, სად იწყება და მთავრდება სკოლის პასუხისმგებლობა გაცდენის მიზეზების კვლევისას და როდის უნდა ჩაერთოს საკითხის გარკვევაში სოციალური მომსახურების სააგენტო. ასევე გაიწეროს გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის უფლება-მოვალეობები. გაიზარდოს დამრიგებლების როლი პრევენციის საქმეში (როლთან ერთად უნდა გაიზარდოს დამრიგებლის ანაზღაურებაც);
- ნორმატიულ დონეზე (ინსტრუქციის დონეზე) გაიწეროს რეფერირების შიდა პროცედურა. მაგალითად, შეიქმნას ჩარჩო, რომლის მიხედვითაც სკოლაში მომხდარი კონკრეტული შემთხვევა: 1. განიხილება სკოლის დონეზე; 2. გადამისამართდება მანდატურის ფსიქოსოციალურ სერვისში; 3. გადაეცემა 112-ს; 4. გადამისამართდება სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთან და სხვ.;
- სკოლის პედაგოგებმა გაიარონ სრულყოფილი და განგრძობადი გადამზადება პრევენციასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ შესწავლის მიზნით. მასწავლებლები დამრიგებლის საათის და სხვა ფორმატის (მაგ. არაფორმალური განათლების აქტივობები) ღონისძიებების ფარგლებში ხშირად საუბრობენ ბავშვებთან მნიშვნელოვან თემებზე. შესაბამისად, საჭიროა, რომ თავადაც კარგად იყვნენ მომზადებულნი და იცოდნენ, როგორ უნდა მიაწოდონ მოსწავლეებს ბულინიგის, ცხოვრების ჯანსაღი წესის,

ტოლერანტობისა თუ სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია. ამ თემებზე თუნდაც სულ მცირე შეცდომამაც კი, შესაძლოა, უკუშედეგი გამოიღოს;

- ყველა საჯარო სკოლაში ხელმისაწვდომი იყოს მანდატურის სამსახურის სერვისი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მანდატურის სამსახურში ქალებთან ერთად კაცებიც მუშაობდნენ, რადგან ზოგიერთი პროცედურების ჩატარება მხოლოდ იმავე სქესის წარმომადგენლის მიერ არის შესაძლებელი;
- ნორმატიულად (ინსტრუქციის დონეზე) განისაზღვროს სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა აღრიცხვისა და მათი სასკოლო პროცესში დაბრუნების პროცედურა;
- სასურველია, რომ სკოლები გადავიდნენ მცირე ზომის დაწესებულების კონცეფციაზე, რაც გააადვილებს სკოლის მენეჯმენტს, გააძლიერებს სკოლის პრევენციულ როლს და ინდივიდუალური მიდგომების მეტ შესაძლებლობას შექმნის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს სკოლაში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის შემცირებული მაჩვენებელი, რაც თავისთავად გამოიწვევს სკოლათა საერთო რაოდენობის გაზრდას;
- განვითარდეს სასკოლო მედიაციის მიმართულება, რაც ხელს შეუწყობს სკოლებს მთელი რიგი საკითხების ადგილზე მოგვარების პროცესში. ეს პროცესი დაზოგავს მანდატურის ფსიქოსოციალური სამსახურის რესურსს და აგრეთვე შესაძლებელი გახდება, რომ რეფერირებას დაექვემდებაროს ის გამონაკლისი შემთხვევები, რომელთა გადამისამართების საჭიროება და მიზანშეწონილობა ნამდვილად არსებობს და მისი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტა ვერ ხერხდება;
- გატარდეს ღონისძიებები იმისთვის, რომ სკოლებში არსებული ძალადობის საწინააღმდეგო სტრატეგია შაბლონური დოკუმენტი არ იყოს და ის ნათლად განსაზღვრავდეს ძალადობასთან ბრძოლის რეალურ გეგმას და კონკრეტულ საქმიანობებს;
- ბულინგის ამოცნობისთვის საჭიროა პედაგოგების გადამზადება. ამისთვის მათ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია არა მხოლოდ ბულინგის ყველა ფორმის შესახებ, არამედ ზუსტად უნდა იცოდნენ იმ პროაქტიური საქმიანობების თაობაზეც, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ძალადობის პრევენციას და ბულინგის ფარული ფორმების ამოცნობას;
- მიზანშეწონილია, რომ სკოლებმა იმუშაონ როგორც ძალადობის მსხვერპლ, ისე ძალადობის განმახორციელებელ ბავშვებთან;
- მნიშვნელოვანია, რომ ყველა პედაგოგი გადამზადდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებში, იმისთვის, რომ პრაქტიკოსებმა (სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მანდატურები და სხვ.) რეფერირების მექანიზმის ფარგლებში თავიანთი ფუნქციები და ვალდებულებები კარგად გააცნობიერონ;
- ფსიქოლოგის სერვისის მიღებისა და სასწავლო პროცესში სპეციალური მასწავლებლის ჩართვასთან დაკავშირებით, არსებობდეს ცნობიერების ამაღლებისა და სკოლის პერსონალის გადამზადების ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული სერვისის მიმართ არსებული სტიგმის დაძლევას;





- სკოლებში ხელმისაწვდომი იყოს ფსიქოლოგის სერვისი - ეს ხელს შეუწყობს ბევრი პრობლემის ადგილზევე გადაჭრას;
- განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს სკოლებში დასასაქმებელ სოციალურ მუშაკთა გადამზადების შესაბამისი მოდული და 2021 წლამდე დაასრულოს სოციალურ მუშაკთა გადამზადება;
- გაიზარდოს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური სერვისის რესურსი, რათა შემცირდეს სერვისის მოლოდინის ხანგრძლივობა;
- გაფართოვდეს ფსიქოსოციალური ცენტრის სერვისის არეალი და ასეთი სერვისი ხელმისაწვდომი გახდეს რაჭასა და მცხეთა-მთიანეთში; მანდატურის ფსიქოსოციალური ცენტრი წარმოდგენილი იყოს ყველა იმ რეგიონში, სადაც ამჟამად ეს სერვისი არ არსებობს;
- გაიზარდოს მშობლების ცნობიერება ბავშვთა და მოზარდთა განვითარებისა და ასაკობრივი თავისებურებების შესახებ, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ დროულად მიმართონ სპეციალისტებს და ბავშვი აუცილებელი სერვისის გარეშე არ დატოვონ;
- შეიქმნას შუალედური სერვისები, სადაც დანაშაულის პრევენციის მიზნით რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირება მოხდება; სამტრედიაში არსებული სერვისები მორგებული უნდა იყოს თითოეული ბავშვის საჭიროებაზე; ბავშვებისთვის მიწოდებული სერვისები უნდა იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და მათი განხორციელების ხარისხზე უნდა ტარდებოდეს ზედამხედველობა;
- პრევენციის მიმართულებით გააქტიურდეს უწყებებს შორის თანამშრომლობა - ზუსტად განისაზღვროს, სად იწყება და სრულდება თითოეული უწყების როლი, შეიკრას ერთიანი წრე ბავშვთა კეთილდღეობისა და დანაშაულის პრევენციის პროცესში ჩართულ ყველა უწყებას შორის და განისაზღვროს უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და უკუკავშირის მიღების ფორმები;
- გარდამავალ ეტაპზე, სანამ სკოლები უკეთ გაიაზრებენ საკუთარ როლს პრევენციის პოლიტიკის საქმეში, სახელმწიფო უფრო აქტიურად ჩაერიოს (ინსტრუქტაჟი განახორციელოს ამ კუთხით) სასკოლო ავტონომიაში და დასახოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ყველა სკოლისთვის შესასრულებლად სავალდებულო იქნება;
- აქტიური მუშაობა ჩატარდეს იმისთვის, რომ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვებს განუვითარდეთ სოციალური უნარები, რათა უფრო მარტივად მოახდინონ სკოლასთან ადაპტირება. ამავე დროს, სკოლის ადმინისტრაციამ გაითავისოს, რომ ამ ბავშვების სკოლაში მიყვანა მათთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და ბავშვების მიმართ, როგორც პრევენციულად, ისე ცალკეული ინციდენტების შემთხვევაში, არ უნდა არსებობდეს მასტიგმატიზებელი დამოკიდებულება.

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

კვლევის ფარგლებში უწყებაში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა;

- ოჯახის გაძლიერების არსებული პროგრამა საკმაოდ ბიუროკრატიულია და კრიზისული ინტერვენციის შემთხვევებზე რეაგირებაც კი დიდ დროს მოითხოვს, რაც რეალურად პროგრამას ძირითად არსს უკარგავს.
- გამოიკვეთა რამდენიმე გამოწვევა მცირე საოჯახო ტიპის სახლებთან დაკავშირებითაც. ეს პრობლემებია: ფსიქოთერაპიული მომსახურებისა და ფსიქიატრის სერვისის ხელმისაწვდომობის პრობლემა; სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მწირი დაფინანსება, რომელიც სოციალური საფრთხის  წინაშე მყოფი ბავშვის ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის; ჯანდაცვის სერვისების იმ ნაწილის ხელმისაწვდომობა, რომლებიც არ შედის საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტში. გამოწვევას წარმოადგენს ასევე არაფორმალური საგანამანათლებლო სერვისების სიმწირე; მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ადგილების ნაკლებობა, რისი აღმოფხვრაც შესაძლებელს გახდის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ბავშვი დარჩეს იმ რეგიონში, სადაც მისი ყოფნა ყველაზე მეტად შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესს. არ არსებობს სახელმწიფო სერვისები ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის, რომლებიც ძირითადად აღმზრდელების იმედად რჩებიან, ან ფსიქოლოგის სერვისის მისაღებად რიგში დგომა უხდებათ. როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს ჩართულობა სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების საქმეში.
- მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაშიც ანალოგიური გამოწვევებია. ამ ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებული თანხა წინა წლებთან შედარებით გაიზარდა, თუმცა, მინდობით აღმზრდელთა მოტივირებისა და დაინტერესებისთვის ის საკმარისი მაინც არ არის. ბიოლოგიური ოჯახებიდან გამოყვანილი ბავშვები ხშირად არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან, ამ პრობლემებთან გამკლავება კი მინდობით აღმზრდელებს უჭირთ. ამის გამო, მინდობით აღზრდაში ბავშვის აყვანის  მსურველთა რიცხვი მცირეა. სახელმწიფო ამჟამად ვერ ახერხებს ამ მცირე ნაწილის გადამზადებასაც და მინდობით აღმზრდელთა სერტიფიცირება გარკვეული პერიოდით შეჩერებულია. ამავე დროს, ვინაიდან  ბავშვის შეყვანა მხოლოდ სერტიფიცირებულ ოჯახშია შესაძლებელი, მნიშვნელოვნად არის შემცირებული ხელმისაწვდომი ოჯახების რაოდენობა. თბილისში ბავშვის მინდობით აღზრდაში აყვანის მსურველი სერტიფიცირებული ოჯახი ფაქტიურად, არ არსებობს, რის გამოც  ზოგჯერ ბავშვი თბილისიდან რეგიონში გადაჰყავთ. ეს სერიოზული პრობლემაა ბავშვისთვის: არ არის სასურველი, რომ ბავშვმა გაწყვიტოს კავშირი ოჯახთან, რეგიონში მისი გადაყვანა კი ზოგჯერ ამ კავშირის შენარჩუნებას ხელს არ უწყობს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხის სიმწირის გამო, ოჯახებს არ სურთ მცირეწლოვანი ბავშვების, ასევე 13-18 წლის





არასრულწლოვნების მინდობით აღზრდაში აყვანა, რადგან ამ ასაკში ბავშვებს მეტი საჭიროებები აქვთ და შესაბამისად, მათი დაკმაყოფილება მეტ ხარჯს და უნარებს მოითხოვს. მინდობით აღზრდის ნაწილშიც არის ფსიქოთერაპიისა და ჯანდაცვის ძვირადღირებული სერვისების დაფინანსების პრობლემა და არაფორმალური განათლებისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამების ხელმისაწვდომობის საჭიროება (განსაკუთრებით რეგიონებში).  არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი გამოწვევად მიიჩნევს სოციალური მუშაკების კომპეტენციის საკითხსაც.

- მიუსაფარ ბავშვთა დახმარების ქვეპროგრამაც არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. სხვა ქვეპროგრამების მსგავსად, აქაც მნიშვნელოვანი წინაღობაა დაფინანსების ოდენობა, რაც სერვისის მიმწოდებელს იძულებულს ხდის, რომ ხარჯების დიდი ნაწილი თავის თავზე აიღოს ან სხვა წყაროებიდან მოიპოვოს. მართალია, არსებობს გარკვეული სერვისები, თუმცა კვლევის რესპონდენტები მათ ხარისხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. განსაკუთრებით აქტუალურია ფსიქიატრიული და სტომატოლოგიური მომსახურების საჭიროება, რაც ფაქტობრივად ყველა შემთხვევაში სერვისის მიმწოდებელს აწევება ტვირთად. ფსიქოთერაპიული მომსახურებაც ძირითადად სერვისის მიმწოდებლის ხარჯზე ხორციელდება. დღის ცენტრებს ჰყავთ ფსიქოლოგები, თუმცა ისინი ძირითადად ჯგუფურ მუშაობას ეწევიან და ხანგრძლივი ინდივიდუალური ფსიქოთერაპიული სერვისის მიწოდება არ შეუძლიათ, ამიტომ რთული შემთხვევებისთვის სხვა ფსიქოთერაპევტებს ქირაობენ. ოჯახების გაძლიერების პროგრამები ბიუროკრატიული და არასისტემურია, რაც აფერხებს დანაშაულის ჩადენის, ქუჩაში გამოსვლისა და მოწყალების თხოვნის პრევენციას. ამავე დროს, კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანური რესურსი არასაკმარისია. პრევენციისთვის მიზანშეწონილია აქტიური მუშაობა არა მხოლოდ ბავშვთან, არამედ მის ოჯახთანაც, რაც არსებული რესურსის პირობებში რთულია. ასევე პრობლემას წარმოადგენს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბავშვებს უფროსები აიძულებენ, რომ მოწყალება ითხოვონ - ვერც სოციალური მუშაკების და ვერც შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ვერ ხერხდება აღნიშნული შემთხვევების დეტალური შესწავლა/გამოძიება და შემდგომი პრევენცია. ამჟამად მობილური ჯგუფები და დღის ცენტრების სერვისი აჭარის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი არ არის. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი ზაფხულში, როდესაც აჭარაში სხვა მიუსაფარ ბავშვთა მიგრაცია ხდება;
- სახელმწიფო ადრეულ ეტაპზე არ ერთვება პრევენციის კომპონენტში და თუ ბავშვი უბრალოდ არის ქუჩაში, მაგრამ ჯერ არ დაუწყია მოწყალების თხოვნა, მას პროგრამის ბენეფიციარად არ მიიჩნევს.  დღის ცენტრსა და თავშესაფარში მყოფი ბავშვებისთვის აქტუალურია პრევენციული და არაფორმალური განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობაც. რაც შეეხება ზოგად განათლებას, უდიდესი პრობლემაა ამ ბავშვების მიმართ საჯარო სკოლებში არსებული სტიგმა, რაც ხშირად სკოლის არაინფორმირებულობისა და ადამიანური რესურსის დეფიციტის ბრალია. ამგვარი

სტიგმა კი იწვევს მიუსაფარ ბავშვთა დემოტივაციას, რომ სკოლაში იარონ და განცდილი იმედგაცრუება კიდევ უფრო ამძიმებს მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას;

- პრობლემურია მიუსაფარი ბავშვების ხანგრძლივ ზრუნვაში გადაყვანის საკითხიც (თუ ვერ ხერხდება მათი ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება), რადგან როგორც მცირე საოჯახო ტიპის სახლებს, ასევე მინდობით აღმზრდელებს (6 წლამდე ბავშვების შემთხვევაში) არ სურთ მათი მიღება. შესაბამისად, ასეთი ბავშვები მიუსაფართა თავშესაფარში რჩებიან და ვერ ხვდებიან ოჯახურ გარემოში, რაც მათი საუკეთესო ინტერესისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. არ არსებობს ბავშვების ინტერესზე მორგებული დაწესებულება, სადაც განსაკუთრებით რთული ქცევის მქონე ბავშვებს გადაიყვანენ და დანაშაულის პრევენციაზე იზრუნებენ. გამოწვევად დასახელდა ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო გაურბის მშობლის უფლების ჩამორთმევას, მაშინაც, კი როდესაც მშობელი არათუ ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას, არამედ პირიქით, აფერხებს მის რეინტეგრაციას და ხშირად ბავშვის საუკეთესო ინტერესს ეწინააღმდეგება.
- სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ და მიუსაფარ ბავშვთა შორის ხშირია ადიქციის შემთხვევები. სახელმწიფო კი მათ ვერ სთავაზობს უფასო, მათ საჭიროებებზე მორგებულ სერვისს. კვლევამ აჩვენა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ცალკეული საბიუჯეტო პროგრამები არსებობს (რაც კვლევით არ დასტურდება), სოციალურ მუშაკებს და ამ ჯგუფის ბავშვებთან მომუშავე სხვა პირებს მათზე ინფორმაცია არ აქვთ.
- კვლევის რესპონდენტთა აზრით, სოციალურ მუშაკთა ნაწილის კომპეტენცია საკმარისი არ არის.
- რაც შეეხება უწყებებს შორის თანამშრომლობას, უწყებებმა არ იციან, ვის რა როლი და ვალდებულება აქვს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. არ არსებობს ინდივიდუალურ შემთხვევებზე ინფორმაციის გაცვლის სისტემურად აწყობილი მექანიზმი, რაც ცხადია, მოიაზრებს მხოლოდ იმ ინფორმაციის გაზიარებას, რომელიც საკითხის გადაწყვეტისთვის არის საჭირო და ბავშვის საუკეთესო ინტერესს არ ეწინააღმდეგება.

### რეკომენდაციები

**ოჯახის გაძლიერების მიმართულებით**

- გამარტივდეს ოჯახის კრიზისული დახმარების ქვეპროგრამაში ბენეფიციარების ჩართვის პროცედურები;
- შეიქმნას ოჯახის გაძლიერების მდგრადი სერვისები, რომელიც შეირჩევა ოჯახების ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით და ორიენტირებული იქნება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მშობელთა დასაქმება და პროფესიული გადამზადება, ბავშვებთან არაძალადობრივი კომუნიკაციის უნარები, პოზიტიური მშობლობის უნარები და სხვა მატერიალური და არამატერიალური პროგრამები;





- შეიქმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლთა დროულ და კომპეტენტურ ფსიქოსოციალურ დახმარებას.

**მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების მხარდაჭერის მიმართულებით:**

- გაიზარდოს სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება, რათა სახელმწიფომ სრულფასოვნად დააკმაყოფილოს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მყოფ ბავშვთა საჭიროებები, მათ შორის ფსიქოლოგიური, ფსიქოთერაპიული და ფსიქიატრიული მომსახურება, სტომატოლოგიური სერვისი და სხვა ძვირადღირებული გამოკვლევები, რასაც ვერ ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა;
- გაიზარდოს არაფორმალური განათლებისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამების ხელმისაწვდომობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მყოფი ბავშვებისთვის;
- უზრუნველყოფილი იყოს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში შესაბამისი რაოდენობის ადგილები როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონების მასშტაბით, რაც შესაძლებელს გახდის, რომ ბავშვი დარჩეს იმ რეგიონში, სადაც მისი ყოფნა ყველაზე მეტად შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესს (ოჯახის ადგილსამყოფელის, რეინტეგრაციის პროგრამების ხელმისაწვდომობის ან სხვა მიზნებიდან გამომდინარე);
- სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებისთვის გააქტიურდეს სახელმწიფოს ჩართულობა როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე. შეიქმნას ისეთი სერვისები და პროგრამები, რომლებიც ბენეფიციარებს ე.წ. გარდამავალ პერიოდს - სახელმწიფო ზრუნვიდან დამოუკიდებელ ცხოვრებაში გადასვლის პერიოდს გაუმარტივებს.
- უზრუნველყოფილი იქნეს მცირე საოჯახო ტიპის სახლების დედობილ-მამობილებისა და დამხმარე პერსონალის განგრძობადი გადამზადება რთული ქცევის მოზარდთან მუშაობისა და პოზიტიური აღზრდის მეთოდების განმტკიცების მიმართულებით;
- განისაზღვროს სტრატეგია სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვთა მიმართ საჯარო სკოლებში არსებული სტიგმის დაძლევის თაობაზე. სასურველია, რომ სტრატეგია მოიცავდეს როგორც სკოლის პერსონალის გადამზადებას, ისე თავად ბავშვების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციისთვის მომზადებას;
- გაიზარდოს მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის დაფინანსება, რაც დაეხმარება მინდობით აღმზრდელს, რომ ბავშვის ყველა საჭიროება დაფაროს;
- აღდგეს მინდობით აღმზრდელთა სერტიფიცირების კურსი. სახელმწიფომ უზრუნველყოს მინდობით აღმზრდელთა ახალი ნაკადის გადამზადება და არსებული აღმზრდელების განგრძობადი გადამზადება (სერტიფიცირების განახლება), რაც აღმოფხვრის მინდობით აღმრზრდელთა არსებულ დეფიციტს;

- ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია მინდობით აღზრდის მსურველთა მოზიდვის მიზნით და მოხდეს მინდობის აღზრდის სერვისის პოპულარიზაცია;
- აუცილებელია მინდობით აღმზრდელთა გადამზადება რთულ ქცევასთან გამკლავების და აღზრდის პოზიტიური მეთოდების საკითხებში;
- მინდობით აღმრზდელთათვის გათალისწინებული იყოს ისეთი დამატებითი შეღავათები, როგორიცაა კომუნალური გადასახადების ან/და ბავშვის არაფორმალური განათლების და სპორტულ/რეკრეაციულ აქტივობების დაფინანსება.

**მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის ფარგლებში:**

- მიზანშეწონილია გაიზარდოს სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება, რათა სახელმწიფომ აიღოს პასუხისმგებლობა და სრულფასოვნად დააკმაყოფილოს მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებები, მათ შორის: ფსიქოლოგიური, ფსიქოთერაპიული და ფსიქიატრიული მომსახურება, სტომატოლოგიური სერვისი და სხვა ძვირადღირებული გამოკვლევები, რასაც საყოველთაო დაზღვევის პაკეტი ვერ ფარავს;
- გაიზარდოს არაფორმალური განათლებისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამების ხელმისაწვდომობა დღის ცენტრებსა და 24-საათიან თავშესაფრებში;
- მნიშვნელოვანია, რომ აჭარაში შეიქმნას მობილური ჯგუფი, დღის ცენტრი და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარი;
- დღის ცენტრებსა და თავშესაფრებში გაიზარდოს პერსონალის რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს ბავშვთან და მის ოჯახთან მუშაობის უფრო ეფექტიანად წარმართვას;
- სახელმწიფომ შექმნას ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობის პრევენციის არსებულზე უფრო ადრეული მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი დაფარავს ბავშვების იმ ჯგუფს, რომლებიც დიდ დროს ატარებენ ქუჩაში, მიუსაფარ ბავშვებთან და არიან ქუჩაში მუშაობისა და ცხოვრების რისკის ქვეშ, თუმცა, იმის გამო, რომ ჯერ არ ითხოვენ მოწყალებას, მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის ბენეფიციართა რიგებში ვერ ხვდებიან ;
- გატარდეს ზომები მიუსაფარ ბავშვთა მიმართ სკოლებში არსებული სტიგმის დასაძლევად, კერძოდ: განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების კამპანია და გადამზადდეს როგორც სკოლის პერსონალი, ისე ბავშვთა ის კონტიგენტი, რომელიც საჯარო სკოლაში უნდა შევიდეს;
- შეიქმნას ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე არასრულწლოვანთა მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო სერვისები;





**უწყებებს შორის თანამშრომლობა**

- მოხდეს სოციალურ მუშაკთა ზეგანაკვეთური შრომის აღრიცხვა და კანონმდებლობის მიხედვით ანაზღაურება;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს ინდივიდუალურ შემთხვევაზე ინფორმაციის გაცვლის, მულტიუწყებრივი და მულტიდისციპლინური მუშაობის და ასევე ბავშვის რეფერირებისას პარტნიორი უწყებიდან უკუკავშირის მიღების მექანიზმი.
- დაინერგოს როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ დონეზე, უწყებათაშორისი სამუშაო ფორმატის საკოორდინაციო შეხვედრების ისეთი პრაქტიკა (რაც არ გულისხმობს პოლიტიკის საკითხებზე მსჯელობას), სადაც პროფესიონალები ერთად განიხილავენ ინდივიდუალურ შემთხვევებს და პრობლემებს და ერთად განსაზღვრავენ მათი გადაჭრის კონკრეტულ გზებსა და ვადებს.

## ადგილობრივი თვითმმართველობები

პრევენციული პოლიტიკის განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტების როლი და ჩართულობა მინიმალურია და თუ ასეთი გამონაკლისი მაინც არსებობს, ის სპონტანურია და ანალიტიკურად შეფასებულ და განსაზღვრულ საჭიროებებს არ ეფუძნება. არ არის ჩამოყალიბებული უწყებათაშორისი (შინაგან საქმეთა სამინისტრო; პროკურატურა; ადგილობრივი მუნიციპალიტეტები; განათლების სამინისტროს რესურსცენტრები; სოციალური მომსახურების სააგენტო; პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის ეროვნული სააგენტო; არასამთავრობო ორგანიზაციები) თანამშრომლობის პრაქტიკა, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება - კანონთან კონფლიქტში/დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანთა საჭიროებების პერიოდული შეფასება და მათი შესაბამის სერვისებში გადამისამართება. გარკვეული აქტივობები სახელმწიფო უწყებებს შორის ამ მიმართულებით არსებობს, თუმცა, მუნიციპალიტეტის ჩართულობა მინიმალურია და არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრი ამ შეხვედრებზე წარმოდგენილი არ არის.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისი მუხლების ძალაში შესვლის შემდეგ (რომელიც კიდევ უფრო ზრდის თვითმმართველობის პასუხისმგებლობას პრევენციის მიმართულებით), არსებული მიდგომა რადიკალურად შეიცვლება და მუნიციპალიტეტების მიერ პოლიტიკის განსაზღვრა-დაგეგმვისას და ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებული იქნება ბავშვთა საჭიროებები და ინტერესები და განისაზღვრებიან ის თანამდებობის პირები, რომელთა არსებობაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში კოდექსით სავალდებულო ხდება.

## საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

გაერო-ს ბავშის უფლებათა კონვენციის თანახმად - "ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური დაცვის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** დაცვის უკეთ უზრუნველყოფას"[3].

**გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის** ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ბავშვის პიროვნული, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. ბავშვი უნდა მომზადდეს დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში კონსტრუქციული როლის შესრულებისთვის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემით. აქედან გამომდინარე, პრევენცია გულისხმობს ყველა ბავშვის წარმატებული სოციალიზაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობას ოჯახის, თემის, თანატოლების, სკოლის, დასაქმების და სათანადო მხარდაჭერის მიწოდების გზით.

**გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტი** განმარტავს, რომ მცირე ასაკის ბავშვებმაც კი შეიძლება ჩაიდინონ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. თუმცა, როდესაც ეს ხდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწევამდე, დაუშვებელია ბავშვი მოხვდეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. ამგვარ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს სპეციალური დამცავი ღონისძიებები, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად[4].

**გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტი** ხაზს უსვამს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს ქვემოთ მყოფ ბავშვებს, რომლებმაც დაარღვიეს, ან სავარაუდოდ დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონი, უნდა ჰქონდეთ ისეთივე სამართლიანი და ეფექტიანი დაცვის გარანტიები, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვნებს[5]. „მონაწილე სახელმწიფოებმა კომიტეტისათვის წარდგენილ ანგარიშში, დეტალურად უნდა აღწერონ, თუ როგორ ეპყრობიან იმ ბავშვებს, რომელთაც არ მიუღწევიათ შიდა კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი აღიარებულები არიან სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევებად, ან სავარაუდოდ დაარღვიეს კანონი ან ბრალად ედებათ მისი დარღვევა. ანგარიშში, ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ რა სახის სამართლებრივი გარანტიები არსებობს იმისთვის, რომ მათ მიმართ მოპყრობა სამართლიანია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიღწეული ბავშვების მსგავსად".

[3]გაერო-ს ბავშვთა უფლებათა კონვენციამ.3 (1).
[4] გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 (2007), პარა.31.
[5] იქვე, პარ. 33.



გაერო-ს სახელმძღვანელო წესები დანაშაულის პრევენციის შესახებ ადგენს იმ პრინციპებს, რასაც უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს პრევენციული პოლიტიკა. „პრევენციის ამომწურავი გეგმები უნდა იყოს შემუშავებული მთავრობის დონეზე და ისინი უნდა მოიცავდეს:

ა) პრობლემის სიღრმისეულ ანალიზსა და ხელმისაწვდომი პროგრამების, სამსახურების, საშუალებებისა და რესურსების ჩამონათვალს;

ბ) კარგად გაწერილ პასუხისმგებლობებს კომპეტენტური სააგენტოების, დაწესებულებებისა და პერსონალისათვის, რომლებიც ჩაბმულნი არიან პრევენციასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

გ) სამთავრობო და არასამთავრობო სააგენტოებს შორის პრევენციული საქმიანობის/მექანიზმების კოორდინაციის საკითხებს;

დ) პოლიტიკას, პროგრამებსა და სტრატეგიებს, რომლებიც დაფუძნებული იქნება პროგნოზულ კვლევაზე და მუდმივად მოხდება მათი მონიტორინგი და ჯეროვანი შეფასება განხორციელების პროცესში".[6]

ამავე წესში, ასევე, აღნიშნულია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა „დაგეგმილ და განხორციელებულ უნდა იქნეს დანაშაულის აღკვეთასთან დაკავშირებული პროგრამების სანდო, სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და პერიოდული მონიტორინგის, შეფასებისა და შესაბამისად შესწორების საფუძველზე"[7].

გარდა ამისა, გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ხაზს უსვამს, რომ - „თანამშრომლობა უნდა იქნეს წახალისებული მეცნიერული კვლევის წარმოებასთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ჩადენისა და არასრულწლოვნების დანაშაულის აღკვეთის შესახებ ეფექტიანი მიდგომების შემუშავებას და ასეთი კვლევის შედეგები ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული და შეფასებული".[8]

გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებული **დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელო წესები (2002)**[9] მიუთითებს, რომ ჩარევები უნდა დაიგეგმოს დანაშაულის სახეების, გამომწვევი მიზეზების, რისკფაქტორებისა და შედეგების სისტემატიური ანალიზის საფუძველზე. პრევენციის გეგმამ უნდა ასახოს ადგილობრივ კონტექსტზე და სპეციფიკურ პრობლემატიკაზე მორგებული ღონისძიებები, რომლებიც იქნება ეფექტიანი და

[6] გაერო-ს სახელმძღვანელო წესები დანაშაულის პრევენციის შესახებ (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), III თავი.
[7] იქვე, პ.48.
[8]გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები"), წესი 64.
[9]გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებულია 2002 წელს.

მდგრადი, ხოლო განმახორციელებელმა უწყებებმა უნდა იმუშაონ გამომწვევ მიზეზებზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე[10].

**რიადის წესების თანახმად**[11], პრევენციის პოლიტიკა და პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვთა კეთილდღეობაზე ადრეული ბავშვობიდან ზრდასრულობის ასაკის მიღწევამდე. პრევენციული პოლიტიკის და ღონისძიებების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას კვლევებით დადასტურებული მოსაზრება, რომ ბავშვთა და ახალგაზრდათა „კანონდამრღვევად“, „დამნაშავედ“ ან „პოტენციურ კანონდამრღვევად“გამოცხადება, ხშირად ხელს უწყობს მსგავსი ქცევის განვითარებას[12].

**რიადის წესების თანახმად,** პრევენციის პოლიტიკის შემუშავებისას განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული ყველა ბავშვის წარმატებული სოციალიზაციის და ინტეგრაციისკენ, რაც ოჯახის, თემის, სკოლის და მედიის ჩართულობასაც გულისხმობს[13]. ამ კუთხით მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი ასპექტები:

**ოჯახებს, რომლებსაც სჭირდებათ მხარდაჭერა** სტაბილურობის აღსადგენად, უნდა მიეწოდოთ შესაბამისი მომსახურება[14];

**განათლების სისტემამ** განათლების მიწოდებასთან ერთად განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა მიმართოს შემდეგ საკითხებზე[15]:

- შეიმუშაოს და დანერგოს სპეციალური პრევენციული პროგრამები და სასწავლო მასალები, მიდგომები და მეთოდები;
- შეიმუშაოს სტრატეგიები ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და სხვა მავნე ნივთიერებების გამოყენების პრევენციისთვის;
- სკოლა უნდა მოქმედებდეს როგორც რესურსების და რეფერირების ცენტრი სამედიცინო, საკონსულტაციო და სხვა სერვისების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით კი სპეციალური საჭიროებების, ექსპლუატაციის და ძალადობის მსხვერპლებისთვის;
- განსაკუთრებული დახმარება უნდა გაეწიოთ ბავშვებს, რომლებსაც უჭირთ გაკვეთილებზე დასწრება და ხშირად აცდენენ სკოლას;
- სკოლების შინაგანაწესი და პოლიტიკა უნდა იყოს სამართლიანი და მონაწილეობითი, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, რომ ჩაერთონ დისციპლინის პოლიტიკის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

**თემზე დაფუძნებული სერვისები და პროგრამები** უნდა პასუხობდეს ბავშვთა სპეციალურ საჭიროებებს, პრობლემებს, ინტერესებს და სთავაზობდეს მათ კონსულტაციას და

[10] იქვემ მ. 22.
[11]მიღებულია გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წ. 14 დეკემბერს.
[12]რიადის სახელმძღვანელო წესები, პარა. 4, 5.
[13]იქვე, პარ. 10-44.
[14]პარ. 13.
[15]პარ. 20-31.





ინფორმაციას, მათ შორის[16] ფინანსურ და სხვა სახის მხარდაჭერას; ხელს უწყობდეს ახალგაზრდული ორგანიზაციების შექმნასა და გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა პროექტების მეშვეობით. გარდა ამისა, სახელმწიფო უწყებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ და აუცილებელი მომსახურება მიაწოდონ ქუჩაში მყოფ ბავშვებს. უნდა შეიქნას რეკრეაციული მომსახურება და ის გახდეს ხელმისაწვდომი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის.

**მასმედია** აქტიურად უნდა ჩაერთოს ახლაგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და ანტინარკოტიკული კამპანიის საქმეში[17].

**ინსტიტუციონალიზაცია** გამოყენებული უნდა იქნას უკიდურესი ზომის სახით და უმოკლესი პერიოდით. უპირველეს რიგში ყურადღება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა მიენიჭოს. ამგვარი ჩარევა უნდა მოხდეს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებით და სიტუაციებში[18]:

- როდესაც ბავშვს ზიანი მიადგა მშობლების ან მეურვეების მხრიდან;
- როდესაც ბავშვი გახდა სექსუალური, ფიზიკური ან ემოციური ძალადობის მსხვერპლი ან იმყოფება ამგვარი რისკის ქვეშ მშობლების ან მეურვეების მხრიდან;
- როდესაც ბავშვი უგულებელყოფილი, მიტოვებული ან ექსპლუატირებულია მშობლების ან მეურვეების მხრიდან;
- როდესაც ბავშვის ქცევაში ვლინდება სერიოზული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საფრთხე და არც მშობლებს, არც თავად ბავშვს, არც სათემო სერვისს არ შეუძლია ამ ქცევასთან გამკლავება და ერთადერთ გამოსავლად რჩება ბავშვის ინსტიტუციონალიზაცია.

**რიადის წესების თანახმად, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს შემდეგი ზომები[19]:**

- შეიმუშაოს ეფექტური კანონმდებლობა ძალადობის, ექსპლუატაციისა და ბავშვთა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვის პრევენციისთვის;
- შექმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც განახორციელებს ბავშვის უფლებების რეალიზების, მათ შორის, რიადის წესების აღსრულების მონიტორინგს;
- შექმნას მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური კოორდინაციის მექანიზმები ეკონომიკური, სოციალური, განათლების, ჯანდაცვის, მართლმსაჯულების უწყებების, ასევე, ახალგაზრდების, თემების და განვითარების სააგენტოების მონაწილეობით;
- ჩაატაროს კვლევები ბავშვთა და ახალგაზრდათა შორის დანაშაულის პრევენციის ეფექტური პროგრამების შესამუშავებლად.

[16]პარ. 32-39 .
[17]პარ. 40-44.
[18]პარ. 46.
[19]პარ. 52-66.

**თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების სახელმძღვანელო წესები ურბანული დანაშაულის პრევენციის კუთხით (1995)**[20] ეხება ქალაქებში დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. სახელმძღვანელო წესების თანახმად, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებები უნდა ეფუძნებოდეს ინტეგრირებულ გეგმას, უწყებათაშორის თანამშრომლობას და მოიცავდეს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: საცხოვრებელი პირობები, ჯანდაცვა და განათლება. ინტეგირებული გეგმა უნდა მოიცავდეს ღონისძიებებს პირველი დონის პრევენციიდან რეციდივის (მესამე დონის) პრევენციის ჩათვლით.

**დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელო წესები (2002)**[21] მიუთითებს, რომ საჭიროა მთავრობამ თავისი პროგრამების მუდმივ ნაწილად აქციოს პრევენცია შემდეგი კომპონენტების განხორციელებით: საკოორდინაციო და რესურსცენტრების შექმნა; დანაშაულის პრევენციის გეგმა; უწყებათაშორისი კოორდინაცია და სამოქალაქო ორგანიზაციებთან პარტნიორობა.

ჩარევები უნდა დაიგეგმოს დანაშაულის სახეების, გამომწვევი მიზეზების, რისკფაქტორების და შედეგების სისტემატიური ანალიზის საფუძველზე. პრევენციის გეგმამ უნდა ასახოს ადგილობრივ კონტექსტზე და სპეციფიურ პრობლემატიკაზე მორგებული ღონისძიებები, რომლებიც იქნება ეფექტიანი და მდგრადი, ხოლო განმახორციელებელმა უწყებებმა უნდა იმუშაონ გამომწვევ მიზეზებზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე[22].

სოციალური განვითარების ხელშეწყობა დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი მთავარი მიდგომაა და გულისხმობს დამცავი ფაქტორების გაძლიერებას მრავალმხრივი და სტიგმისგან თავისუფალი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებით; კონფლიქტების პოზიტიურ მოგვარებას მარგინალიზაციისგან დამცავი ღონისძიებებით და სხვა[23].

საერთაშორისო სტანდარტები[24] და ადგილობრივი სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები[25] განსაზღვრავს დანაშაულის პრევენციის სამ დონეს - პირველი, მეორე და მესამე დონის პრევენციას. **პირველი დონის პრევენციის** ღონისძიებები ქვეყნის მასშტაბით ყველა არასრულწლოვანზეა მიმართული. აქცენტი კეთდება ბავშვის სწორ აღზრდასა და სოციალიზაციაზე, განათლებაზე, თავისუფალი დროის სწორად დაგეგმვასა და სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. **მეორე დონის პრევენციის** ღონისძიებები მიმართულია დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების მიმართ და მიზნად ისახავს დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირებას. **მესამე დონის პრევენცია** ორიენტირებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციასა და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობის გზით რეციდივის თავიდან აცილებაზე.

[20]გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებულია 1995 წელს
[21]გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებულია 2002 წელს.
[22]მუხ. 22.
[23]მუხ. 25.
[24]Handbook on the Crime Prevention Guidelines, UNODC, 2010, p.18.
[25]http://justice.gov.ge/Ministry/Index/237.





# ადგილობრივი კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან მიმართებაში

ქვემოთ მიმოხილულია ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო უწყებების - გენერალური პროკურატურის; შინაგან საქმეთა სამინისტროს; იუსტიციის სამინისტროს; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს; ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციები და როლი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პროცესში, ასევე აღნიშნული უწყებებიდან მოწოდებული ინფორმაცია.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება და ასევე დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაა.[26] შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, პრევენციის მიმართულებით, მთავარი ადგილი კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს[27] უკავია. [28] საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა[29] და ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს,[30] [31] ასევე აქვს გარკვეული ფუნქცი როგორც ზოგადად დანაშაულის, ისე არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის პროცესში.[32]

[26] საქართველოს მთავრობის დადგენილება №337 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, მ. 4.
[27] იქვე, მ.10 (კ).
[28] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №103 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, მ. 3 (ე).
[29] საქართველოს მთავრობის დადგენილება №337 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, მ. 10 (ლ).
[30] იქვე, მ. 10 (შ).
[31] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, მ. 6 (ა).
[32] იქვე, მ.7.

ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა არასრულწლოვნებში დანაშაულის ერთ-ერთ გამომწვევი მიზეზია. ამ კუთხით, სხვა უწყებებთან ერთად (რომელზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა) ძალიან მნიშვნელოვანი როლი აკისრია შინაგან საქმეთა სამინისტროს.[33] კანონმდებლობის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმი გულისხმობს: ძალადობის მიზეზების შესწავლას; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას; პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას რისკჯგუფებთან მიმართებაში; საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას; ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე პირების მიმართ სპეციალური სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას და უწყებათაშორის თანამშრომლობის პროცესს ამ მიმართულებით.[34]

ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებისა და რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულების, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების, სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.[35]

ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა, პოლიციის ორგანოებს მიმართა დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ თუ კანონმდებლობით გათვალისწინებულმა სხვა პირმა. ძალადობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია: მიიღოს ზომები ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მსხვერპლის გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში ან/და სპეციალურ თავშესაფარში; მოძალადე გაარიდოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან და უზრუნველყოს მსხვერპლის უსაფრთხოება; გასცეს შემაკავებელი ორდერი[36] და ასევე განახორციელოს კანონით გათვალისიწინებული სხვა ფუნქციები.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალება, რომ შესაბამისი სერვისების მიღების მიზნით ძალადობის მსხვერპლი ბავშვები სხვა უწყებებში გადაამისამართოს (ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ფარგლებში). შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით: 2017 წელს შსს-მ 200, ხოლო 2018 წელს - 500 ბავშვის რეფერირება მოახდინა. [37]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული იქნა სტატისტიკური ინფორმაცია დანაშაულის მსხვერპლ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით:

[33] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", მუხლი 4.
[34] იქვე, მუხლი. 6
[35] იქვე, მ.9[1].
[36] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", მუხლი.10.
[37] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 3 19 00532701, 01/03/2019.





2017 წელს დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნების რაოდენობა იყო - 758, ხოლო 2018 წელს - 1212. შეიმჩნევა არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების (რეგისტრირებული) მნიშვნელოვანი ზრდა. თუმცა, აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა ფაქტორების გამო გაიზარდა რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა: უკავშირდება ეს დანაშაულის რეალურად ზრდას, თუ გაიზარდა ასეთი სახის დანაშაული გამოვლენა? უწყების მხრიდან წარმოდგენილი იქნა 2017-2018 წლებში ჩადენილი დანაშაული სახეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია. კერძოდ:

- არასრულწლოვანთა 42% იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლი - დაზარალებული;
- არასრულწლოვანთა 22% იყო ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსხვერპლი - დაზარალებული (სსკ 117-126-ე მუხლები);
- არასრულწლოვანთა 13% იყო სატრანსპორტო დანაშაულის მსხვერპლი - დაზარალებული;
- არასრულწლოვათა 12% იყო სექსუალური ძალადობის (მათ შორის 7% ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის) მსხვერპლი - დაზარალებული;
- არასრულწლოვანთა 10% იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსხვერპლი - დაზარალებული.

2017-2018 წლებში არასრულწლოვან მსხვერპლთა ასაკობრივი კატეგორია ასეთია: 0-6 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები - 8.8%; 7-14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები - 44.5%; 15-18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები - 46.7%.[38]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის დაცვის მიზნით გამოიცა 193 შემაკავებელი ორდერი, ხოლო 2018 წელს - 335.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულის პრევენციის მიმართულებით[39] ამჟამად ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- 2018 წელს, შსს-ს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტმა შეიმუშავა ახალგაზრდული პროექტი, რომელიც გულისხმობს აქტივობების განხორციელებას ორი მიმართულებით: ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია და საგანმანათლებლო ღონისძიებები;
- „მართლწესრიგის ოფიცრის" საპილოტე პროექტის ფარგლებში იგეგმება პრევენციული ღონისძიებები (თუმცა, მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში არ იყო დაკონკრეტებული, თუ რა სახის პროგრამები იგეგმება) ;
- ა/ო PH International-თან ერთად ხორციელდება პროქტი „სკოლის, საზოგადოების და პოლიციის თანამშრომლობა". პროგრამის მიზანია: მოზარდებს შორის დანაშაულის პრევენცია; მოზარდების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება; პოლიციის

[38] იქვე.
[39] იქვე.

საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშეწყობა. პროგრამის სამი ძირითადი კომპონენტია: სასკოლო პრევენციული პროგრამები; სათემო ინიციატივები; საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ხელშეწყობა საქართველოში. ამავე პროექტის ფარგლებში შეიქმნა საგანი - „სამართლებრივი კულტურა“, იმისთვის, რომ მასწავლებლებმა და პოლიციის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩაატარონ გაკვეთილები თემაზე: ბავშვთა უფლებები; საზოგადოებრივი წესრიგი; კონფლიქტის მართვა; ორგანიზებული დანაშაული; ოჯახში ძალადობა; ბულინგი და სხვა. 2018 წლის განმავლობაში შსს-ს სტუმრობდა 2000 მოსწავლე, 70 საჯარო სკოლიდან.

- ა/ო PH International-თან ერთად შსს-მ 2017 წელს განაგრძო პროგრამის - „პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობა აჭარაში“ (ACPI) განხორციელება. პროგრამის მიზანია მოზარდებს შორის დანაშაულის პრევენცია და ადგილობრივი თემისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობის გაუმჯობესება საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის პრინციპებისა და მიდგომების დანერგვის მიზნით;
- შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სატელევიზიო და რადიო გადაცემებში, მათ შორის რეგიონებში, სადაც სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სამართლის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით ატარებდა შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან.
- საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს კარიტასთან” თანამშრომლობით, შსს-ს წარმომადგენლები პერიოდულად ატარებენ შეხვედრებს ბენეფიციარ არასრულწლოვნებთან. შეხვედრების მიზანია სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სამართლის საკითხების შესახებ არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლება.

თვისებრივი კვლევისას ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხდა, რომ სამინისტროს პირველადი ფუნქცია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფარგლებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაა და რომ შსს ატარებს დანაშაულის პირველი დონის პრევენციის ღონისძიებებს, რაც ძირითადად საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზეა მიმართული. ასეთი ღონისძიებები ტარდება სკოლებში, სადაც ბენეფიციარები ძირითადად მე-9 კლასის მოსწავლეები არიან.

თუმცა, შსს-ს წარმომადგენლებმა აღინიშნეს, რომ ასეთი ღონისძიებები არის შეზღუდული რაოდენობის და მოიცავს მხოლოდ 60-მდე სკოლას (დღეს საქართველოში 2300-მდე სკოლაა). სკოლების შერჩევისას უპირატესობა ენიჭება თბილისის სკოლებს.

> *„60 სკოლა პროექტით არის განსაზღვრული. თბილისის სკოლები ამ პროექტში ყოველ წელს არის გათვალისწინებული. რეგიონებიდან შეხვედრები ჩავატარეთ კახეთში, შიდა ქართლში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში. ვცდილობთ, რომ ყველა რეგიონი დავფაროთ და არაქართულენოვან სკოლებშიც მივიდეთ“.*





რესპონდენტებმა ისაუბრეს იმ გამოწვევების თაობაზე, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბაშვებთან მიმართებაში ხვდებათ. კერძოდ, აღნიშნეს, რომ რთულია ამ ბავშვების იდენტიფიცირება იმის გამო, რომ მათ არ აქვთ შესაბამისი საბუთები, ან ვერ ხერხდება ამ საბუთების მოძიება. გარდა ამისა, ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ბავშვის საბოლოო იდენტიფიცირებამდე ვერ ახერხებენ მის შეჩერებას, ვინაიდან შეჩერების სამართლებრივი საფუძველი არ აქვთ.

> *„ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ რეალურად რთულია ამ ბავშვების იდენტიფიცირება. უმეტესობა არ არის საქართველოს მოქალაქე. ხშირად პასპორტებს მალავენ, რადგან იციან, რომ შეიძლება მათი იდენტიფიცირება მოხდეს”.*

რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვებთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებზეც. მათი შეფასებით, ამ კატეგორიის ბავშვების მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა ხშირ შემთხვევაში ხდება ღამის საათებში, რაც აჩენს ეჭვს, რომ ისინი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან უგულვებელყოფილნი არიან. ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, ამ ეტაპზე 14 წლამდე ასაკის ბავშვების (რომლებიც ჩადიან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას) რეფერირების მექანიზმი ფაქტობრივად, არ არსებობს და უწყებაში არ აქვთ გეგმა, სადაც გაწერილი იქნება, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა იმოქმედონ. მათი შეფასებით, ერთადერთი მექანიზმი არის ბავშვის სამტრედიის სკოლაში გადაყვანა, რასაც გართულებული პროცედურების გამო ვერ ახერხებენ (კვლევის დასრულების შემდეგ კანონში შევიდა ცვლილება და სახელმწიფომ აიღო რეფერირების დაწესებულებისა და შუალედური პრევენციული პროგრამების შექმნის ვალდებულება).

> *„სიმართლე რომ ვთქვათ, არ აქვს სახელმწიფოს კონკრეტული გეგმა და არ ვიცით, როგორ უნდა ვიმუშაოთ 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებთან, რომლებიც სისტემატურად სჩადიან დანაშაულს“.*
>
> *„ბავშვის გადაყვანა შეგვიძლია სამტრედიის სკოლაში, თუმცა, იქაც იმდენად გართულებულია მიღების პროცედურა, რომ პოლიცია ამ შესაძლებლობას აქტიურად ვერ გამოიყენებს“.*

თვისებრივი კვლევისას დიდი ყურადღება დაეთმო შინაგან საქმეთა სამინისტროში ახალი ინსტიტუტის - მართლწესრიგის ოფიცრის შემოღებას. კვლევისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ინსტიტუტი 1 წელია, რაც ფუნქციონირებს. ამჟამად მართლწესრიგის ოფიცრები მხოლოდ თბილისის ორ რაიონში - ვაკე-საბურთალოსა და ძველ თბილისში მუშაობენ. რესპონდენტების განმარტებით, თბილისში მართლწესრიგის 365 ოფიცერია. თითო ოფიცერი ფარავს უბანს, სადაც 3000-3500 ადამიანი ცხოვრობს.

როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა, მართლწესრიგის ოფიცრებმა ჩაანაცვლეს უბნის ინსპექტორის ინსტიტუტი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ის არის, რომ მართლწესრიგის ოფიცერი ოპერატიულ და საგამოძიებო საქმეებში აღარ მონაწილეობს და ძირითადად ორიენტირებულია პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე.

ოფიცრები ძირითადად სკოლებში მუშაობენ. მათი განმარტებით, ისინი უკვე იყვნენ ვაკე-საბურთალოს რაიონის თითქმის ყველა სკოლაში, სადაც გაეცნენ სკოლის ადმინისტრაციას/მოსწავლეებს და გააცნეს მათ თავიანთი ფუნქციები, ძველი თბილისის რაიონში კი ეს პროცესი ახალი დაწყებულია. გარდა ამისა, მათი ფუნქციაა ოჯახური ძალადობის ფაქტებსა და არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე რეაგირება. რესპონდენტების განმარტებით, ინფორმაციას სხვადასხვა ფაქტების თაობაზე, ძირითადად სკოლიდან, კერძოდ კი მანდატურის სამსახურიდან იღებენ.

რესპონდენტთა განმარტებით, პრობლემური ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობის პროცესში აფასებენ პრობლემის გამომწვევ მიზეზებს და მუშაობენ როგორც უშუალოდ ბავშვთან, ისე მისი ოჯახის წევრებთანაც. მათი განცხადებით, ისინი ატარებენ ასევე სხვადასხვა სახის ისეთ აქციებს, სადაც ასეთი ბავშვები არიან ჩართულნი. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე ყველა დანაშაულის ჩადენის რისკის მქონე ბავშვთან მუშაობა ვერ ხერხდება.

> *„მართლწესრიგის ოფიცრის სამსახური საზოგადოებაში პრევენციული ღონისძიებების ჩასატარებლად შეიქმნა. ეს პირველი დონის პრევენციაა. თუმცა, მართლწესრიგის ოფიცერი უფრო ხანგრძლივად და სიღრმისეულად მუშაობს კონკრეტულ პირთან და შესაბამისად, მის საჭიროებებზე მორგებულ გეგმას და პროგრამებს სთავაზობს“.*

რესპონდენტების განმარტებით, ინფორმაციას ბავშვების მხრიდან ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ან/და ე.წ დელიქვენტური ქცევის შესახებ, ყველაზე ხშირად განათლების სამინისტროდან იღებენ. თუმცა, ზოგჯერ მათ ასეთივე ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ანდა რომელიმე კერძო ორგანიზაცია აწვდის.

რესპონდენტთა განცხადებით, მათი ძირითადი საქმიანობა მართლწესრიგის ოფიცრის სამსახურის შესახებ სკოლებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებაა. ამ მიზნით, ისინი პერიოდულად მიდიან სკოლებში და იქ შეხვედრებს აწყობენ.

## გენერალური პროკურატურა

საკანონმდებლო დონეზე არ არის სპეციალური რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს პროკურატურის როლს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საქმეში. თუმცა, გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მთავარი პროკურორის 2018 წლის 8 მარტის N38-მ ბრძანებით, დამტკიცდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს პროკურატურის სამოქმედო ინსტრუქცია". ამ ინსტრუქციის თანახმად, პროკურორები, გამომძიებლები და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში ამისამართებენ. პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის 8 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში 188 ბავშვი გადაიყვანეს. უმეტეს შემთხვევებში, ძალადობის ფორმა იყო ფიზიკური.





გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[40] პროკურატურა ახორციელებს პროექტს - „საზოგადოებრივი პროკურატურა“, რომელიც 28 რაიონული პროკურატურის სამოქმედო ტერიტორიას მოიცავს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდებში დანაშაულის პრევენციის მიზნით ტარდება საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, კულტურული, სპორტული, და საქველმოქმედო ხასიათის ღონისძიებები. 2013 წელს ჩატარდა 108 ღონისძიება; 2014 წელს - 100; 2015 წელს - 154; 2016 წელს - 178; 2018 წელს- 706. ამავე პროექტის ფარგლებში, 2017-2018 წლებში ჩატარდა ოჯახში ძალადობისა და ბულინგის წინააღმდეგ მიმართული კვირეულები.

თვისებრივი კვლევისას, რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ პროკურატურის მთავარი ფუნქციაა სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა. მათი განმარტებით, დანაშაულის პრევენცია არ არის პროკურატურის საქმე, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი ამ მიმართულებით მაინც ახორციელებენ გარკვეული სახის აქტივობებს.

> *„პრევენციის მიმართულებით თუ რამეს ვაკეთებთ, ეს არის ჩვენი კეთილი ნება. ეს ჩვენი მოვალეობა არ არის. დანაშაულის პრევენციის ცენტრი ცალკე სტრუქტურული ერთეულია“.*

> *„ჩვენ არ ვართ პრევენციის განმახორციელებელი უწყება“.*

რეპონდენტების განმარტებით, პრევენციის ხელშეწყობისთვის პროკურატურა ორ აქტივობას ახორციელებს. პირველი: უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფორმატი - სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შექმნილია საქართველოს ყველა რეგიონში. ამ სამუშაო ჯგუფებში შედიან სხვადასხვა უწყებების (პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასამართლო, სოციალური მომსახურების სააგენტო და ა.შ.) რეგიონული წარმომადგენლები. ამ სამუშაო ჯგუფების მთავარი ამოცანა რეგიონში არსებულ პრობლემებზე მსჯელობა და ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება. ჯგუფის შიგნით განსახილველი საკითხები, როგორც წესი, არის: საკანონმდებლო რეგულაციებში არსებული ხარვეზები, სერვისების მოძიება ბენეფიციარებისთვის; უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება და ა.შ. ამ შეხვედრებზე მართლმსაჯულების საკითხების გარდა პრევენციული საქმიანობის გაუმჯობესებაზეც მსჯელობენ.

> *„პრევენციული მიმართულებით პროკურატურა ახორციელებს ორ აქტივობას. პირველი, ეს არის მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც **უშუალოდ** არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. ჯგუფში პროკურორთან ერთად არის ყველა იმ უწყების წარმომადგენელი, ვისაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან შეხება აქვს: სოციალური მუშაკი, მოსამართლე, შსს-ს წარმომადგენელი… “.*

მეორე აქტივობა არის საზოგადოებრივი პროკურატურა, რომლის ძირითადი ფუნქციაც საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაა. სამართლებრივი განათლების დონის ამღლებისთვის სკოლებში ტარდება ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: იმიტირებული

[40] საქართველოს გენერალური პროკურატურის, 02.02.19 წლის N13/7828 წერილი.

გამოძიება; დაზარალებულისადმი მიძღვნილი კვირეული; არტთერაპია; სალექციო კურსი - ოჯახურ ძალადობაზე, კიბერბულინგზე და ა.შ. ცნობიერების ამღლებისთვის პროკურატურას ცალკე გამოყოფილი სამიზნე ჯგუფი არ აქვს. პირველ ეტაპზე უფრო მეტი აქტივობა თბილისში ტარდებოდა, თუმცა შემდეგ ღონისძიებები რეგიონებშიც გაიმართა. რესპონდენტების განმარტებით, კონკრეტული სალექციო თემის შერჩევა ხდება თემის აქტუალობიდან გამომდინარე (ბულინგი, ოჯახური ძალადობა). ვინაიდან, ეს აქტივობები ძირითადად ორიენტირებულია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე, მისი შედეგების გაზომვა ვერ ხდება.

> *„**მეორე აქტივობა** საზოგადოებრივი პროკურატურაა. ამ პროექტის ფარგლებში სკოლებში სალექციო კურსს ვატარებთ. მაგალითად, შეიძლება ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული პროცესი ჩავატაროთ“.*
>
> *„გარდა ლექციებისა, პერიოდულად ვატარებთ ისეთ აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს სამართალდამცავთა ავტორიტეტის ამაღლებას. არასრულწლოვნებს ვაცნობთ გარკვეული საქმიანობის სპეციფიკას, ვასწავლით, რომ თანამშრომლობა "ჩაშვებას" არ ნიშნავს“.*

რესპონდენტების უმრავლესობამ ასევე განაცხადა, რომ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ამ პროცესში რესურსების სიმცირეა. მათი განმარტებით, ხშირად არის შემთხვევები, როდესაც მოზარდს აქვს გამოკვეთილი საჭიროება, მაგრამ შესაბამისი სერვისის და რესურსის მოძიება ვერ ხერხდება. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ აუცილებელია სხვა უწყებების, განსაკუთრებით კი ჯანდაცვის სამინისტროს და ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების გააქტიურება. მისი განმარტებით, განათლების სამინისტროში ამ მხრივ შეინიშნება პოზიტიური დინამიკა. **თუმცა, რესპონდენტთა თქმით, უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა სერვისი არ არის ხელმისაწვდომი, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სერვისი არსებობს, შესაძლოა, მისი ხარისხი ან სტანდარტი არ იყოს სათანადო.**

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროსა და ერთ-ერთ ძირითად ამოცანას განეკუთვნება: სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისათვის წინადადებების მომზადება[41]. ასევე მისი ფუნქციაა უფლებამოსილების ფარგლებში დანაშაულის პრევენცია, ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ამ სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.[42] იუსტიციის სამინისტროს ევალება როგორც პოლიტიკის განსაზღვრა, ისე კონკრეტული სერვისების მიწოდება.

[41] საქართველოს მთავრობის დადგენილება №389 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ, მ.3, 1, (რ).,
[42] იქვე, მ.3, 2, (რ).





საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე[43] შექმნილია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, დამტკიცებულია მისი შემადგენლობა და დებულება. საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს და განახორციელოს სისხლის სამართლის რეფორმა და კოორდინაცია გაუწიოს სისხლის სამართლის სფეროში უწყებათაშორის საქმიანობას. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან როგორც სამთავრობო უწყებების, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. საკოორდინაციო საბჭოს წესდება განსაზღვრავს საბჭოს წევრობასა და ფუნქციებს. საბჭოს თავმჯდომარეობს და მის საქმიანობას წარმართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.[44] საბჭოს ერთ-ერთი ამოცანაა - სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის თაობაზე შესაბამისი წინადადებების, რეკომენდაციების, კონცეფციების, კანონპროექტების და ამ მიმართულებით შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.[45]

საქართველოს პრეზიდენტის N235 ბრძანებულების საფუძველზე, დამტკიცდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, აღნიშნული საბჭოს ფარგლებში კი შემუშავდა არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის სფეროში პოლიტიკის მთავარი დოკუმენტებია.

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შექმნილია სპეციალური სამსახური - სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“, რომლის მთავარი ფუნქციაც საქართველოში დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა, რისკ-ჯგუფებთან მუშაობა და პირველადი დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებაა.[46] 2020 წლიდან განხორციელდა ორგანიზაციული ცვლილებები იუსტიციის სამინისტროში, რის შედეგადაც გაერთიანდა ორი უწყება (დანაშაულის პრევენციის ცენტრი და პრობაციის ეროვნული სააგენტო) და შეიქმნა დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, საკანონმდებლო დონეზე არსებითად არ შეცვლილა ახალი უწყების ის ფუნქციები, რაც არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციას ეხება.

ცენტრის სტრუქტურულ შემადგენლობაში შედიოდა - დანაშაულის პირველი დონის პრევენციისა და დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სამმართველოები.[47] დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სამმართველოს თანამშრომლები დასაქმებულნი იყვნენ მხოლოდ

[43] საქართველოს მთავრობის დადგენილება №316 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ.
[44] იქვე, მ.5 (1).
[45] იქქვე, მ.2.
[46] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №16 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ, მ.2.
[47] იქვე, მ.5.

ქალაქ თბილისში[48]. სულ სამმართველოში დასაქმებული იყო ცხრა თანამშრომელი, კერძოდ: ინოვაციური პროექტების მენეჯერი - ფსიქოლოგიის ბაკალავრი; ღონისძიებების ორგანიზების მენეჯერი - ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი; ახალგაზრდული პროექტების სპეციალისტი - პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი, პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი; ფსიქოლოგი - ფსიქოლოგიის ბაკალავრი; სოციალური სამუშაოს სპეციალისტი - სოციალური მუშაობის ბაკალავრი; ფსიქოსოციალური პროგრამების კოორდინატორი - სოციოლოგიის ბაკალავრი, სოციალური მუშაობის მაგისტრი; ახალგაზრდული მუშაკი - სოციალური მუშაობის ბაკალავრი; დამატებითი სპეციალობა - ფსიქოლოგია, საჯარო მმართველობის მაგისტრანტი; ახალგაზრდული მუშაკი - ფსიქოლოგიის ბაკალავრი ; სამმართველოს უფროსი - სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი, საჯარო მმართველობის მაგისტრანტი.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[49], მეორე დონის პრევენციის სამმართველოს მიერ 2014-2018 წლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები/ღონისძიებები. კერძოდ:

- 2014 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა; ადამიანის უფლებების თვე; მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ჩემპიონატი; ექსკურსია. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული იყო 130 ბენეციფიარი (გენდერულ ჭრილში ინფორმაცია არ მოგვაწოდეს);
- 2015 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გოგონათა კლუბი; ბავშვის უფლებები; ადამიანის უფლებათა თვე; კარიერული განვითარება; მშობელთა სკოლა; ზღაპართერაპია; დანაშაულის ქცევის გააზრება; ანტისოციალური ქცევის პრევენცია; ახალი ელექტრონული ანთოლოგია მოზარდებს; ერთად ვიზრუნოთ გარემოზე; ჯანსაღი ცხოვრება; კონფლიქტების მართვა; კინოს საღამოები; პიროვნული განვითარება. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული იყო 228 ბენეფიციარი, 104 ბიჭი და 124 გოგონა;
- 2016 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გოგონათა კლუბი; ბავშვის უფლებები; ადამიანის უფლებათა თვე; ადრეული პრევენცია განათლების სისტემაში; კარიერული განვითარება; მშობელთა სკოლა; პიროვნული განვითარების ტრენინგი მოზარდებისთვის; ზღაპართერაპია; არტთერაპია მოზარდთათვის. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული იყო 405 ბენეფიციარი, 190 ბიჭი და 215 გოგონა;
- 2017 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გოგონათა კლუბი; ბავშვის უფლებები; ადამიანის უფლებათა თვე; ადრეული პრევენცია განათლების სისტემაში; კარიერული განვითარება; მშობელთა სკოლა; პიროვნული განვითარების ტრენინგი მოზარდებისთვის; ზღაპართერაპია; არტთერაპია; ადიქციის პრევენცია; ექსკურსია; ადიქციის პრევენცია რეგიონში. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული იყო 483 ბენეფიციარი, 166 ბიჭი და 317 გოგონა;
- 2018 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სასიცოცხლო უნარების განვითარება მოზარდებში; გოგონათა კლუბი; ახალგაზრდული კლუბი სკოლაში; კულტურულ შემეცნებითი ტური თბილისში; ადრეული პრევენცია ზრუნვის სისტემაში; ადრეული პრევენცია განათლების სისტემაში; ვიზიტი თეატრსა და კინოში; კარიერული განვითარება; მშობელთა სკოლა; პიროვნული განვითარება; შენ ნიჭიერი ხარ; კალათბურთის წრე; ერთად ვიზრუნოთ გარემოზე; კინო საღამოები; ადიქციის პრევენცია; ექსკურსია. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული იყო 547 ბენეფიცარი, 445 ბიჭი და 102 გოგონა.

გარდა ამისა, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლიდან ცენტრი ახორციელებს ადიქციური ქცევის პრევენციაზე მიმართულ ტრენინგ-პროექტებს. 2017 წელს ჩატარდა 15 ღონისძიება, სადაც ჩართული იყო 165 ბენეფიციარი. 2018 წელს ჩატარდა 12 ღონისძიება და ჩართული იყო 126 ბენეფიციარი.

თვისებრივი კვლევის პროცესში რესპონდენტებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია მათი სამიზნე ჯგუფის, დანაშაულის პრევენციის ცენტრში არსებული სერვისების და ამ სერვისებში გადამისამართების პროცესსა და ხარისხის კონტროლის სისტემის თაობაზე.

რესპონდენტების განმარტებით, დანაშაულის პრევენციის ცენტრში არსებულ სერვისებში გადამისამართება ხდებოდა სხვადასხვა უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან, კერძოდ, განათლების სამინისტროდან (მანადატურის სამსახურიდან, სკოლებიდან), სოციალური მომსახურების სააგენტოდან, პროკურატურიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. მათი განმარტებით, ბენეფიციარები იყვნენ რთული ქცევის მქონე, ძალადობის მსხვერპლი, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარები, თვითდაზიანებისა და სუიციდური აზრების მქონე ბენეფიციარები და ზრუნვის სისტემიდან გასული ბავშვები. ზოგ შემთხვევაში დანაშაულის პრევენციის ცენტრი თვითონ უწევს მომსახურებას ბენეფიციარებს, ან ამისამართებს მათ იმ ორგანიზაციაში, რომელსაც კონკრეტულ ბენეციფიარზე უფრო მორგებული სერვისი აქვს.

ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მიმართებაში პრობლემაა ის, რომ მასწავლებლების უმრავლესობამ ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეფერირების მექანიზმის შესახებ არაფერი იცის. ამავე რესპონდენტის განმარტებით, სკოლების ადმინისტრაცია ცეტრში არსებული სერვისების თაობაზე ინფორმაციას ცენტრის იმ ბენეფიციარებისგან იღებს, რომლებიც მათ სკოლაში სწავლობენ.

რესპონდენტების უმრავლესობის განმარტებით, სერვისების რაოდენობა არ არის საკმარისი. მათი აზრით, სერვისების მიწოდება მთლიანად დანაშაულის პრევენციის ცენტრის ტვირთი არ უნდა იყოს და უწყებათაშორის თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

[48] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის წერილი N346, 27/06/2019
[49] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის წერილი N346, 27/06/2019

*„დანაშაულის პრევენცია მხოლოდ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ტვირთი არ უნდა იყოს. ჩემი აზრით, ყველა სერვისს სახელმწიფო არ უნდა ახორციელებდეს. თუ შესაძლებელია, რომ სერვისი მიაწოდოს არასამთავრობო ორგანიზაციამ, ეს უნდა გავაკეთოთ. არასამთავრობო ორგანიზაცია სახელმწიფოზე უკეთესად მოახერხებს მის ადმინისტრირებას“.*

*„ვერ ვიტყვი, რომ უწყებათაშორისი კოორდინაცია ეფექტიანია. არის გამოწვევები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების როლი გაიზარდოს და თვითონ მუნიციპალიტეტების დონეზე არსებობდეს გარკვეული სერვისები“.*

ერთ-ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მთავარი ფუნქცია პოლიტიკის განსაზღვრა უნდა იყოს და არა სერვისის მიწოდება. მეორე რესპონდენტი კი ფიქრობს, რომ სერვისების გარეთ - ე.წ აუთსორსზე გატანა უფრო მიზანშეწონილია. კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ყველა პირმა აღნიშნა, რომ ამ პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა მნიშვნელოვანია.

*„დანაშაულის პრევენციის ცენტრის როლი პოლიტიკის განსაზღვრა უნდა იყოს და არა სერვისების მიწოდება. სერვისების განხორციელება სხვა უწყებასაც შეუძლია, მაგალითად განათლების სამინისტროს, რომლის ფუნქციაა გამოწვევების იდენტიფიცირებაც”.*

*„ყველაზე მთავარი უწყებათაშორისი, საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესებაა. მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ დუბლირება არ ხდებოდეს და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები ერთსა და იმავე პროექტზე არ მუშაობდნენ“.*

ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, რეგიონებში ვერ ხერხდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ისეთი პირების მოძიება, ვინც ადგილზე შეძლებს ბენეფიციარებისთვის სერვისების მიწოდებას. მეორე რესპონდენტის თქმით, ხშირად ბენეფიციარებს არ აქვთ სერვისის მიღების მოტივაცია. არის შემთხვევები, როცა ბენეფიციარებს ბაზისური საჭიროება არ აქვთ დაკმაყოფილებული, რის გამოც სხვა სახის პროგრამაში მათი ჩართვა შეუძლებელია. რესპონდენტთა აზრით, პრობლემაა ისიც, რომ ცენტრს არ აქვს სამმართველოები ყველა რეგიონში, დისტანციური მუშაობა კი ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული.

*„ყველაზე დიდი გამოწვევა არის სერვისების ხარისხი.“*

*„რესურსი არ იყო საკმარისი და რა თქმა უნდა, ვერც იქნებოდა. სამმართველო იყო მარტო თბილისში. რეგიონების დაფარვა ხდებოდა მივლინების ხარჯზე. თბილისიდან რეგიონების მართვა საკმაოდ რთულია“.*

ხარისხის კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ მიწოდებული სერვისების ხარისხი იზომება სპეციალური კითხვარებით, პრე და პოსტტესტების მეშვეობით. გარდა ამისა, ისინი მათ მიერ განხორცილებული სერვისების თაობაზე ინფორმაციას ანგარიშის სახით აწვდიან უშუალო ხელმძღვანელს, რომლისგანაც უკუკავშირსაც იღებენ. განსხვავებულია ერთ-ერთი რესპონდენტის (მენეჯმენტის დონეზე) მოსაზრება, რომელმაც აღნიშნა, რომ სერვისების ხარისხის შეფასების კონკრეტული მექანიზმი არ აქვთ და შესაბამისად, ვერც მის შედეგებს ზომავენ.





კვლევის ერთ-ერთი მონაწილის განმარტებით, იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულია კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა ჩამოყალიბდეს 14 წელს მიუღწეველ ბავშვთა (რომლებიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადიან, ან/და რთული ქცევის მქონე ბავშვები) შესაბამის სერვისებში რეფერირების მექანიზმი. ამავე რესპონდენტის თქმით, სავარაუდოდ, აქცენტს უფრო მეტად გააკეთებენ იმ ბავშვებზე, ვინც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადის (კვლევის დასრულებისთვის კანონში ეს ცვლილება უკვე შეტანილი იყო).

ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე უწყებაში საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობენ. ამ ცვლილებების საფუძველზე, დანაშაულის პრევენციის ცენტრის ფუნქცია იქნება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია I და II დონეზე, განრიდების პროგრამის მართვა, არასრულწლოვანი ყოფილი პატიმრებისთვის სერვისების მიწოდება და სისხლის სამართლის მედიაცია. უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა 14 წლამდე ასაკის იმ ბავშვებს, რომლებიც რისკჯგუფის კატეგორიაში მოხვდებიან (კვლევის დასრულებისთვის კანონში ეს ცვლილება უკვე შეტანილი იყო).

## საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

### სასკოლო სერვისები, მანდატურის სამსახური და სკოლის პრევენციული ფუნქცია

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - განათლების სამინისტრო) არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კუთხით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია, რადგან სწორედ საგანმანათლებლო დაწესებულებებია ის ადგილი, სადაც არასრულწლოვნები თავიანთი დროის უდიდეს ნაწილს ატარებენ. განათლების სამინისტრო ძირითადად ახორციელებს პირველი დონის პრევენციის აქტივობებს, რომლებიც იგეგმება როგორც უშუალოდ სამინისტროს ცენტრალური აპარატის ინიციატივით, ისე სკოლებშიც. სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება ყველა მოსწავლე. შესაბამისად, პრევენციული ღონისძიებების ბენეფიციართა შორის ხვდებიან მეორე დონის პრევენციის რისკჯგუფებში მყოფი ბავშვები. რიგ შემთხვევებში ცალკეული სერვისები (უმეტესად მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური სერვისი) მიმართულია უკვე იდენტიფიცირებულ, ძალადობის მსხვერპლ ან რთული ქცევის მქონე ბავშვებზე.

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა, მისი გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და

გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.[50] სკოლა ვალდებულია მის ტერიტორიაზე ან/და მიმდებარე ტერიტორიაზე სასკოლო დროს შექმნას ჯანმრთელობისთვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და დაიცვას სკოლის უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი.[51]

“ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სკოლის როლს პრევენციულ საქმიანობაში. იგი ადგენს სკოლაში დისციპლინური გადაცდომის სახეებს და დისციპლინური დევნის პროცედურებს. დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნევა სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა, დისციპლინური დევნა კი არის სკოლის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანიც მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენაა.

კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი. სკოლა ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა დისციპლინურმა სახდელმა არ გამოიწვიოს მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისგან. დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას.[52]

ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს ეხება აგრეთვე „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი“.[53]

სკოლაში ძალადობისაგან თავისუფალი გარემოს შექმნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. ძალადობის პრევენციის მიზნით, სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ განახორციელოს ძალადობის რისკების შეფასება მოსწავლეებში და მასწავლებლებში. ასევე, სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ ჩაატაროს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. გარდა მოსწავლეებთან მუშაობისა, სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიება ჩაატაროს. [54]

[50] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 3;
[51] იქვე, მუხლი 9.
[52] იქვე, მუხლი 19;
[53]„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვი ს წესისა და პირობების შესახებ“ განათლების მინისტრის #06ნ ბრძანება, მუხლი 1;
[54] იქვე, მუხლი 8-10;





კანონმდებლობით განსაზღვრულია სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თითოეულ მოცემულ შემთხვევებში სკოლის რეაგირებისა და სხვა უწყებებთან და კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის პროცედურები.[55]

სკოლის დირექტორი სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს მანდატურის სამსახურთან და დაწესებულების მანდატურთან.[56] თავის მხრივ, სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, მანდატურის სამსახური განათლების სამინისტროსთან ერთად თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ინფორმაციის გაცვლისა და სხვადასხვა პრევენციული ღონისძიების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად.[57] 2019 წლის ოქტომბრის მონაცემებით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური 540 საჯარო სკოლაში (1422 მანდატური) ფუნქციონირებს. 2019 წლის ბოლომდე მანდატურის სამსახური დამატებით კიდევ 48 საჯარო სკოლაში უნდა შესულიყო.[58]

კანონმდებლობით განსაზღვრულია მანდატურის ძირითადი ფუნქციები. იმ სკოლებში, სადაც მანდატურის სამსახური არ არის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ უფლებამოსილ პირებს დაწესებულების ადმინისტრაცია განსაზღვრავს. სკოლის მასშტაბიდან გამომდინარე, შესაძლოა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირები მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად მუშაობდნენ. მანდატურის სამსახური ამტკიცებს უფლებამოსილი პირის მოსამზადებელ ტრენინგ-მოდულს და უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირის გადამზადებას; [59]

კანონმდებლობის თანახმად, მანდატურს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუძლებელია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. გამოყენებული ფიზიკური ძალა საფრთხის პროპორციული უნდა იყოს. მანდატურს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება აქვს შემდეგ შემთხვევებში: სამართალდარღვევის აღკვეთისას, მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრება სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; სამართალდამცავი ორგანოსათვის წარსადგენად დამნაშავის შეპყრობისას, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ეს პირი მიიმალება ან გარშემომყოფთ ზიანს მიაყენებს.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო 5 წლის განმავლობაში. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურმა ძალა ორჯერ გამოიყენა. ორივე შემთხვევაში საფრთხე ემუქრებოდა საგანამანათლებლო დაწესებულებაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი

[55]

[56] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 23.
[57]საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 2 აგვისტოს ერთობლივი ბრძანება №11ნ/№83 „საგანამანათლებლო დაწესებულების მანდატურის მოსამზადებელი კურსების დამტკიცების შესახებ“.
[58] განათლების სამინისტროს 09.10.2019 წლის #MES81901361765 წერილი.
[59] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი $48^3$.

პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. სამინისტროს განმარტებით, მანდატურმა გააფრთხილა პირი ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ და მისცა მას საკმარისი დრო მისი მოთხოვნის შესასრულებლად, ამასთან გამოყენებული ძალა წარმოქმნილი საფრთხის პროპორციული იყო.[60]

კანონმდებლობის თანახმად, სხვადასხვა სახის რისკების პრევენციის მიზნით, გამონაკლისის სახით, სკოლაში შესაძლებელია მოსწავლის პირადი გასინჯვა[61]. პირადი გასინჯვა დასაშვებია მაშინ, როდესაც მტკიცებულებები მიუთითებს კონკრეტულ პირზე და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირადი გასინჯვის შედეგად გამოვლინდება სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული გადაცდომა. მოსწავლის პირადი გასინჯვა შეუძლია მხოლოდ უფლებამოსილ პირს ან მანდატურს, სკოლის დირექტორის ან სკოლის დირექციის წარმომადგენლის ნებართვით ან ზედამხედველობით.

დისციპლინური ზომის სახით, მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება – სკოლის დირექტორს, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება – დისციპლინურ კომიტეტს. დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა.

მოსწავლისთვის სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრებისას უნდა განისაზღვროს: სასარგებლო საქმიანობის შინაარსი, მისი განხორციელების წესი და პირობები; სასარგებლო საქმიანობის განხორციელების ადგილი სკოლის ტერიტორიის ფარგლებში; მისი ხანგრძლივობა, რომელიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლისათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში 1 საათს, საბაზო საფეხურის მოსწავლისათვის – დღეში 2 საათს და საშუალო საფეხურის მოსწავლისათვის – დღეში 3 საათს.[62]

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, დასაშვებია უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების[63] განხორციელება. [64]

[60] განათლების სამინისტროს 01.02.2019 წლის #MES81900105805 წერილი;

[61] პირადი გასინჯვა - – მოქმედება, რომლის მიზანია დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენა და ამოღება სკოლაში, სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ ან მანდატურის მიერ სკოლის დირექტორის ან სკოლის დირექციის წარმომადგენლის ნებართვით ან ზედამხედველობით.

[62] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 19.

[63] უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება – იმავე სქესის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული იმავე სქესის საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით, ფიზიკური შეხების გარეშე ან/და ნივთის დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით. ამ პუნქტიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში არ არის მოსწავლის შესაბამისი სქესის პირი.





ადგილობრივი კანონმდებლობით, დასაშვებია განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში, უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლის/მოსწავლეების ქმედებით საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და ამ ნივთის აღმოჩენა სხვაგვარად შეუძლებელია. მოსწავლის განცალკევების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს, ხოლო მოსწავლის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში – სამართალდამცავ ორგანოს. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება უნდა განხორციელდეს მშობლის ან მშობლის მიერ განსაზღვრული პირის სკოლაში გამოცხადებამდე. მოსწავლის განცალკევების უფლება აქვს მანდატურს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – უფლებამოსილ პირს.[65]

ცხრილში მოცემულია საქართველოს მასშტაბით დაჯამებული ინფორმაცია ზედაპირული დათვალიერებისა და პირადი გასინჯვის შედეგად ამოღებული აკრძალული ნივთების შესახებ, წლების მიხედვით:

| ამოღებული ნივთი | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|
| ბლაგვი საგანი | 8 | 12 | 7 | 4 |
| თამბაქოს ნაწარმი | 27 | 51 | 25 | 21 |
| ბანქო/სხვა აზარტული სათამაშო | 11 | 16 | 19 | 23 |
| ასაფეთქებელი ან მომწამვლელი ნივთიერება | 1 | 3 | - | - |
| თამბაქო და სანთებელა | 41 | 54 | 33 | 33 |
| საახალწლო ასაფეთქებელი | 13 | 13 | 11 | 24 |
| ბასრი იარაღი | 6 | 5 | 5 | |
| კასტეტი | 12 | 13 | 13 | 4 |
| ცივი იარაღი | 17 | 25 | 30 | 12 |
| ელექტრო სიგარეტი | - | 4 | 12 | 11 |
| ელექტროშოკი | - | - | 1 | - |
| ნარკოტიკის მოხმარებისთვის საჭირო ნივთი | - | - | - | 8 |
| სანთებელა და ასანთი | - | 70 | 62 | 68 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირადი გასინჯვისა და ზედაპირული დათვალიერების შედეგად, უმეტესად ადგილი ჰქონდა თამბაქოს ნაწარმისა და ცივი იარაღის ამოღებას. თუმცა, ცხრილში ასევე საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება ისეთი ნივთებიც, როგორიცაა ცივი იარაღი, კასტეტი, თამბაქო, სანთებელა და სხვ.

გარდა სამაგიდე კვლევისა, პროექტის ფარგლებში განხორციელდა თვისებრივი კვლევაც, რომელიც შეეხო როგორც სამაგიდე კვლევის ფარგლებში მიმოხილულ საკითხებს, ასევე სხვა

[64] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 20.

[65] იქვე, მუხლი 20.

გარემოებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მეორე დონის პრევენციის პრაქტიკის შეფასებისთვის. თვისებრივი კვლევიდან ირკვევა, რომ სკოლების დიდ ნაწილში არის მინიმუმ 2 მანდატური და სქესთა ბალანსი დაცულია. თუმცა, ეს ყველა სკოლაში ვერ ხერხდება. სკოლის მასშტაბიდან გამომდინარე, რიგ სკოლებში მეტი მანდატურია. სკოლებში, სადაც მანდატურის სამსახური არ არის, სკოლების ნაწილში კი მანდატურის სამსახურის პარალელურად, დირექციის მხრიდან განსაზღვრულნი არიან უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირებიც, რომლებიც სკოლის თანამშრომლები არიან. უნდა აღინიშნოს, რომ მანდატურთა შორის სქესთა ბალანსის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირადი გასინჯვის ჩატარებისთვის, რომელიც იმავე სქესის პირის მიერ უნდა განხორციელდეს. თუ სკოლაში იგივე სქესის მანდატური არ არის, შესაძლოა, პროცედურა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა ჩაატაროს (თუ ის იმავე სქესის პირია). უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადება არ არის ისეთი ფართო და ხანგრძლივი, როგორც მანდატურის სტატუსის მქონე პირების. შესაბამისად, უმჯობესია, რომ მანდატურის სამსახური ყველა სკოლაში მუშაობდეს და სქესთა ბალანსიც დაცული იყოს.

განათლების სამინისტროდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია პირველი და მეორე დონის პრევენციის მიმართულებით სამინისტროს გეგმების, პრევენციული პროგრამების, სკოლებში იდენტიფიცირებული ბულინგის შემთხვევების გამოვლენისა და მათზე რეაგირების, მშობლებთან მუშაობის, რთული ქცევის ბავშვებისთვის განკუთვნილი პროგრამების და სკოლებში დისციპლინური ზომების გამოყენების შესახებ. სამინისტრომ ჩვენ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის სრული სახით არ მოგვაწოდა.

განათლების სამინისტრომ მხოლოდ ერთ პრევენციულ პროგრამაზე მოგვაწოდა ინფორმაცია. მათი განმარტებით, სსიპ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ახორციელებს პროექტს „ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია”. ამ პროგრამის მიზანია ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის პრევენცია, ამოცნობა და მასზე ეფექტიანი რეაგირება, პრობლემის წარმოქმნის რისკის შემცირება და მისი მინიმუმამდე დაყვანა. პროექტის სამიზნე ჯგუფს, ამ ეტაპზე, სკოლის პედაგოგები/ფსიქოლოგები მიეკუთვნებიან. ტრენინგი მოიცავს შემდეგ თემებს: კომუნიკაციის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ბავშვებისთვს დამახასიათებელი ქცევითი და ემოციური პრობლემები და მათზე რეაგირების ეფექტიანი სტრატეგიები, ძალადობრივი ქცევის ამოცნობა, რეაგირება და პრევენცია, ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების საბაზისო ნიშნები, დევიაციური/დესტრუქციული ქცევის ამოცნობა, ჩამოყალიბების საფრთხე და პრევენცია. პროექტი დაიწყო 2016 წლის დეკემბერში და გრძელდება დღემდე. ამ დროის განმავლობაში, მის ფარგლებში გადამზადდა 714 პედაგოგი და 52 სკოლის ფსიქოლოგი (როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებიდან). [66]

[66] განათლების სამინისტროს 01.02.2019 წლის #MES81900105805 წერილი;





დისციპლინურ სახდელებთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან გვაცნობეს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამეურვეო საბჭო სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს, სკოლიდან გადაყვანის პირობებს.

ქვემოთ მოცემულ დანართში ასახულია 2014-2018 წლებში თბილისის სკოლებში ძალადობის იდენტიფიცირებული შემთხვევების რაოდენობა, ასევე მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ შემთხვევაში გაიგზავნა შეტყობინება რეფერირების მექანიზმის გამოყენებით.[67]

| რესურსცენტრი | წელი | დიდუბე - ჩუღურეთი | ვაკე - საბურთალო | ისანი - სამგორი | ძველი თბილისი | გლდანი - ნაძალადევი |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკოლაში იდენტიფიცირებულ ძალადობის შემთხვევათა რაოდენობა | 2014 | 20 | 27 | 51 | 113 | 77 |
| | 2015 | 28 | 60 | 114 | 242 | 116 |
| | 2016 | 33 | 75 | 142 | 232 | 149 |
| | 2017 | 39 | 119 | 179 | 264 | 183 |
| | 2018 | 41 | 107 | 228 | 303 | 188 |
| შეტყობინებების რეოდენობა რეფერირების მექანიზმის გამოყენებით | 2014 | 14 | 2 | 8 | 5 | 11 |
| | 2015 | 18 | 11 | 36 | 8 | 12 |
| | 2016 | 17 | 9 | 46 | 5 | 20 |
| | 2017 | 26 | 18 | 54 | 5 | 20 |
| | 2018 | 33 | 21 | 43 | 10 | 24 |
| შეტყობინება შესაბამის ორგანოში | 2014 | 13 | 4 | 14 | - | 3 |
| | 2015 | 18 | 17 | 30 | 1 | 6 |
| | 2016 | 19 | 12 | 36 | - | 11 |
| | 2017 | 35 | 17 | 63 | 6 | 10 |
| | 2018 | 36 | 21 | 86 | 6 | 27 |

რაც შეეხება რეგიონებს, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ძალადობის ყველაზე მეტი შემთხვევა იდენტიფიცირებულია ზუგდიდის სკოლებში, ზოგიერთ რეგიონში კი ამ ტიპის შემთხვევები გამოვლენილი საერთოდ არ ყოფილა ან მხოლოდ ერთეულობით დაფიქსირდა (ქარელი, ამბროლაური, ქედა, დმანისი).

იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია სკოლაში გამოვლენილი უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შედეგების მულტიდისციპლინური მართვა, მანდატურის სამსახური სკოლის დირექტორის ან მრჩეველთა საბჭოს მიმართვის

[67] განათლების სამინისტროს 18.02.2019 წლის #MES61900185751 წერილი;

საფუძველზე, ასევე თავისი ინიციატივით, უფლებამოსილია, რომ სკოლაში მიავლინოს მობილური ჯგუფი. მასში, სიტუაციის გათვალისწინებით, შესაძლებელია შედიოდნენ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკი, მედიატორი, მართლწესრიგის ოფიცერი ან/და უბნის ინსპექტორი და სხვა სპეციალისტები.[68]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვთა მხარდაჭერისა და ზრუნვის პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრს. აღნიშნული ცენტრის ფუნქციები განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ განათლების მინისტრის #16ნ ბრძანებით.[69]

მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოლოგიური დახმარების მიღება შეუძლიათ როგორც მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან სატელეფონო კონსულტაციით, ასევე ონლაინ კონსულტაციით, ინტერნეტპორტალის – befriend.mes.gov.ge - სა და მობილური სატელეფონო აპლიკაციის საშუალებით. კანონმდებლობის თანახმად, ონლაინ კონსულტაცია და სატელეფონო აპლიკაცია უნდა იძლეოდეს მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების ანონიმურობის დაცვის შესაძლებლობას.[70]

ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის საფუძველია: მანდატურის/უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ან/და მასწავლებლის რეფერირება; მოსწავლის მიერ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრისთვის (სამმართველოსთვის) მიმართვა; მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრისთვის მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის მოთხოვნით მიმართვა.

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ვალდებულია, რომ ეს ინფორმაცია მიაწოდოს მანდატურს, სკოლის ადმინისტრაციას, მოსწავლის კლასის დამრიგებელს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მოსწავლის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის ფარგლებში, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგი ვალდებულია, რომ კონსულტაცია გაუწიოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს, მანდატურს,

[68] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ განათლების მინისტრის #16ნ ბრძანება, მუხლი 36;
[69] იქვე, მუხლი 34;
[70] იქვე, მუხლი 9





სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელს და ასევე იმ პირებს, რომლებსაც შესაძლოა, გავლენა ჰქონდეთ მოსწავლის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე.[71]

როგორც თვისებრივი კვლევიდან ირკვევა, კანონმდებლობის შესაბამისად, მანდატურის ფსიქოსოციალურ სამსახურში ბავშვებს რეფერირებას უკეთებენ სკოლის პედაგოგები ან მანდატურები. ზოგჯერ ამ სამსახურში ბავშვები და მშობლები თვითდინებითაც მიდიან. როგორც ცენტრის წარმომადგენლები აცხადებენ, მანდატური ფსიქოსოციალურ სამსახურში ბავშვს ამისამართებს რამდენიმე შემთხვევაში.

> *„თუ სკოლაში მანდატური შენიშნავს რაიმე პრობლემას ბავშვთან დაკავშირებით, მაგალითად, შეამჩნევს, რომ ის გარიყულია, ან მოწყენილია, ან მასწავლებელი ეტყვის, რომ გაკვეთილზე ვერ გრძნობდა თავს კარგად. შესაძლოა, მშობელი მივიდეს რაიმე ჩივილით. ისეთი შემთხვევაც არის, რომ ბავშვი მიდის ფსიქოლოგთან და ფსიქოლოგი ამბობს, რომ არანაირი პრობლემა არ არის და ვინც გადაამისამართა, ის შეცდა და ბავშვს არაფერი სჭირდება.“*

რეფერირების დროს უწყება ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 437-ე (ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის/რეფერირების პროცედურების დამტკიცების თაობაზე) დადგენილებით. როგორც მანდატურის ფსიქოსოციალურ ცენტრში განგვიმარტეს, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა რეფერირების პროცედურის შიდა ინსტრუქციაზე. ასევე აღინიშნა, რომ სკოლები ხშირად საჭიროებენ გაძლიერებას იმისთვის, რომ გამოწვევების ნაწილს ადგილზევე გაუმკლავდნენ და ყველა შემთხვევის რეფერირება არ მოახდინონ. ამ მიზნით სკოლის პერსონალი გადამზადდა 4 საპილოტე სკოლაში. 2019 წლის სექტემბრიდან დაგეგმილი იყო კიდევ 9 სკოლის დამატება. ასევე აღინიშნა, რომ იწყება სასკოლო მედიაციის კომპონენტის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს სკოლის დონეზე ცალკეული პრობლემების მოგვარებას.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სკოლა ვალდებულია მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში უზრუნველყოს დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიაცია, მათი კანონიერი წარმომადგენლების, მანდატურის/უფლებამოსილი პირისა და მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ჩართულობით. სკოლების მიერ მედიაციის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მანდატურის სამსახური უზრუნველყოფს სკოლებში მედიაციის სტანდარტული გეგმის შემუშავებას, რომლით ხელმძღვანელობაც სკოლისთვის სავალდებულოა. გარდა ამისა, სკოლა ვალდებულია გაატაროს მედიაციის სტანდარტული გეგმისგან განსხვავებული ისეთი ღონისძიებები, რომელიც მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიმართული იქნება კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისკენ. [72]

[71] „იქვე, მუხლი 9, 34;

[72] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ განათლების მინისტრის #16ნ ბრძანება, მუხლი 35;

მანდატურის სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით, მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტზე, რომელიც გაწერს პროცედურას და განისაზღვრება კონკრეტულ შემთხვევაზე რეაგირებისა და გადამისამართების ინსტრუქცია სკოლის, მანდატურის სამსახურისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს დონეზე.

სკოლის დირექტორებისა და პედაგოგების განცხადებით, მანდატურის სამსახური სკოლაში მნიშვნელოვანი რგოლია. მანდატურები მათ აწვდიან ინფორმაციას ცალკეული ბავშვების ქცევაზე. თუმცა, ასევე აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევებში ბავშვები უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ მანდატურები მათ გადაადგილებას აკონტროლებენ.

როგორც კვლევის დასაწყისში აღინიშნა, თვისებრივი კვლევაც ადასტურებს, რომ სკოლებში ძირითადად ხორციელდება პირველი დონის პრევენციული ღონისძიებები. ღონისძიებების ნაწილი იგეგმება სამინისტროს მიერ. ასევე, სამინისტრო განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში იმ ძირითად მიმართულებებს, რაც უნდა განახორციელოს თითოეულმა სკოლამ. თუმცა, ყველა სკოლა სარგებლობს ფართო ავტონომიით და დამატებითი პრევენციული პროგრამების განხორციელება შეუძლია.

როგორც კვლევიდან ირკვევა, სასკოლო ავტონომიის ფარგლებში პრევენციის მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების ინტენსივობა განსხვავებულია და ის დამოკიდებულია როგორც სკოლის ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებზე, ასევე სკოლის დირექციის აქტივობასა და ინიციატივებზე. უმეტესად პრევენციულ ღონისძიებებში სკოლის დირექტორები და პედაგოგები მოიაზრებენ სპორტულ აქტივობებსა და ოლიმპიადებს, ასევე გარკვეულ სამუშაოს ასრულებენ სადამრიგებლო საათისა და სხვა არაფორმალური განათლების ღონისძიებების (კლუბები, დარბაზები) ფარგლებში. ეს ღონისძიებები ძირითადად გულისხმობს ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვას, განხილვას, მის დაკავშირებას ცალკეულ პრობლემებთან, მშობლების ჩართვას, ფილმების განხილვასა და საკუთარი პოზიციების გამოხატვას. ამ დისკუსიის მოდერატორები და წარმმართველები ძირითადად სკოლის თანამშრომლები (დამრიგებლები, პედაგოგები), რიგ შემთხვევებში კი მოწვეული სტუმრები არიან.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ პედაგოგთა განმარტებით, დამრიგებლის საათი უმეტესად იმართება კვირაში ერთხელ, ხანდახან ორ კვირაში ერთხელ ან კვირაში ორჯერ, საჭიროების მიხედვით. ის ხშირად ეხება ძალადობას, ბულინგს, მშობლებთან ურთიერთობას, მიტევებას, თანატოლებთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას, ემიგრაციას და სხვ. როგორც კვლევიდან გაირკვა, თავად გამოკითხულ დამრიგებლებს ამ მიმართულებით გადამზადება გავლილი არ აქვთ და ინფორმაციის მიწოდებას ინტერნეტში მოძიებული რესურსებით და ცხოვრებისეული გამოცდილებით ახერხებენ.

გამოკითხული დირექტორები მიიჩნევენ, რომ პრევენციის მთავარი მონაპოვარი სკოლაში შექმნილი კეთილგანწყობილი გარემო, მეგობრული ატმოსფერო და გაზიარებული პასუხისმგებლობაა. ერთ-ერთი სკოლის დირექტორი ამბობს, რომ პრევენციის დადებითი





შედეგია ბავშვთა საჭიროებებზე სკოლის ინფრასტრუქტურის მორგებაც (ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, სპორტული მოედნები, ფანჩატური ეზოში), რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ ბავშვებმა გაკვეთილების დამთავრების შემდეგაც ისარგებლონ სკოლის ტერიტორიით და სკოლაში მეტი დრო გაატარონ.

სკოლის დირექტორებმა აქცენტი გააკეთეს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობაზეც, რაც მათთან ხშირი კომუნიკაციით და სხვადასხვა პრევენციულ პროგრამაში ჩართულობით გამოიხატება. სკოლის ერთ-ერთი დირექტორი აცხადებს:

> *„მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებზე ვმუშაობთ. ეს არის სიღარიბის დაძლევა... ბავშვებს უნდა ვასწავლოთ მოხუცებზე ზრუნვა. მივდივართ მოხუცთა თავშესაფრებში. ამით ხელს ვუწყობთ, რომ ბავშვები მოხუცების მიმართ უფრო გულისხმიერები გახდნენ ".*

კვლევაში ჩართულ სკოლებს შემუშავებული აქვთ წესდებები, თუმცა ცალკე ძალადობასთან ბრძოლის სტრატეგია აღნიშნულ სკოლებში არ არსებობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში პედაგოგებს შესაძლოა, თავად სჭირდებოდეთ გაძლიერება იმ უნარებში, რაც ცალკეული პრევენციული საკითხების მოსწავლეებისთვის სწორად მიწოდებას გულისხმობს. ხშირად, შესაძლოა, სწორი გზავნილის მიწოდებაც არასწორი ფორმით მოხდეს. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ მოსწავლეს ვუთხრათ, რომ ყველა, ვინც დაიბადა ადამიანად, არის ერთნაირი, შესაძლოა უმჯობესი იყოს აქცენტირება იმაზე, რომ ყველა მიუხედავად მრავალი განსხვავებისა, თანასწორია (ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ერთნაირი არ არის, მათ კანონმდებლობით თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები აქვთ/უნდა ჰქონდეთ). ერთ-ერთმა დამრიგებელმა აღნიშნა, რომ ის თანასწორობას მოსწავლეებს ასე განუმარტავს:

> *„ადამიანებს შორის განსხვავება არ არსებობს. ადამიანი გაჩნდა. მორჩა, დამთავრდა, ის ჩემნაირია, ზუსტად ისეთია, როგორიც მე ვარ."*

განათლების სამინისტროდან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, მანდატურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის თანამშრომლები, პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ ეხმარებიან ბავშვებს, მოზარდებს და მათი ოჯახის წევრებს ქცევითი და ემოციური პრობლემის მიზეზების დადგენასა და მართვაში. საჭიროების შემთხვევაში დახმარების აღმოჩენა ხორციელდება ადგილზე - სკოლებში. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში, საქართველოს მასშტაბით დასაქმებულია 39 ფსიქოლოგი, 11 სოციალური მუშაკი და ბავშვთა და მოზარდთა 2 ფსიქიატრი.

| ქალაქი | ფსიქოლოგი | სოციალური მუშაკი |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 3 |
| თელავი | 1 | - |
| რუსთავი | 2 | 2 |
| გორი | 2 | 2 |
| ქუთაისი | 5 | 3 |

| | | |
|---|---|---|
| ბათუმი | 3 | 1 |
| ახალციხე | 1 | - |
| ზუგდიდი | 1 | - |
| ფოთი | 2 | - |

ფსიქოგანათლების კუთხით მომსახურების ცენტრში ხორციელდება მშობელთა ჯგუფებთან საინფორმაციო და საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრები, რაც განათლების სამინისტროს აზრით, ხელს უწყობს მშობელსა და შვილს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, მათ შორის ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის განვითარებას. სამინისტროს განმარტებით, მშობლები სწავლობენ აღზრდის ეფექტურ ტექნიკას, ოჯახის დაცვითი მექანიზმების გაძლიერებას და პრობლემების დაძლევის სტრატეგიას, ოჯახური კონფლიქტების გადაწყვეტას, ბავშვის პოზიტიურ ჩართვას ოჯახურ აქტივობებში, მშობლის მიერ ბავშვის ქცევის მართვის ჩვევების გაუმჯობესებას, ბავშვის ქცევითი და ემოციური პრობლემების ამოცნობასა და მათი გადაჭრის პრაქტიკულ ხერხებს.[73]

მანდატურის ფსიქოლოგიურ სამსახურში ბოლო 5 წლის განმავლობაში გადამისამართების სტატისტიკა ასე გამოიყურება:[74]




მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ მანდატურის ფსიქოლოგიურ სამსახურში რეფერირებულ არასრულწლოვანთა მონაცემები წლიდან წლამდე იზრდება. რეფერირებული ბავშვებიდან განათლების სამინისტროს განმარტებით, ყველა იმ ბენეფიციარს გაეწია მომსახურება, ვისმა მშობელმაც სერვისის მიღებაზე თანხმობა განაცხადა. 2018 წელს მანდატურის ფსიქოლოგიურ სამსახურს დაახლოებით 3000-მა ბავშვმა მიმართა, საქართველოს მასშტაბით კი ამ სამსახურში მხოლოდ 39 ფსიქოლოგი მუშაობს. ცხადია, რომ იმისთვის, რომ ბავშვმა სრულყოფილი და დროული სერვისი მიიღოს,

[73] განათლების სამინისტროს 18.02.2019 წლის #MES61900185751 წერილი;
[74] განათლების სამინისტროს 01.02.2019 წლის #MES81900105805 წერილი;





ფსიქოლოგთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს. ამაზე რესპონდენტებიც ღიად საუბრობენ თვისებრივი კვლევის ფარგლებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალადობა და ბულინგი სკოლებში, ასევე ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მეორე დონის პრევენციის მიმართულებით, რადგან რისკჯგუფად უნდა განვიხილოთ როგორც ძალადობრივი ქცევის განმახორციელებელი, ისე ძალადობის მსხვერპლი ბავშვი.

როგორც კვლევამ აჩვენა, სკოლებს „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფციის თანახმად, განსაზღვრული აქვთ, რომ შეაფასონ ძალადობის რისკები და წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ძალადობის საწინააღმდეგო კამპანია ჩაატარონ. თუმცა, როგორც თვისებრივი კვლევით გაირკვა, ჩატარებული კამპანიების ხარისხის მონიტორინგს განათლების სამინისტრო არ ახორციელებს. განათლების სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით:

> *„მონიტორინგი ასე - ცენტრალიზებულად არ ხდება. შერჩევით, ალბათ, მოხდება და ჩატარებული კამპანიის ეფექტიანობა შეფასდება.“*

მანდატურის სამსახურის უფროსის განმარტებით, ბულინგის გამოვლენაში უკვე 800 პედაგოგია გადამზადებული:

> *„ბულინგის წინააღმდეგ კამპანია დაწყებული გვაქვს. ამ კამპანიას მართლწესრიგის ოფიცრები და მანდატურები ატარებენ. ამისთვის ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან. თუ ოჯახურ ძალადობაზე საუბრობენ, მაშინ საქმეში მართლწესრიგის ოფიცერი ერთვება. კამპანიაში კომპეტენციის მიხედვით ერთვებიან“.*

თუმცა კვლევის სხვა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სკოლებში ძალადობის იდენტიფიცირება ხშირად ვერ ხდება და მასწავლებლების და სკოლის დირექტორების დიდ ნაწილს ძალადობის ამოცნობა უჭირს.

ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, ყველა სკოლას უნდა ჰქონდეს უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის დოკუმენტი:

> *„პირდაპირ და გულწრფელად გეტყვით, რომ ალბათ სკოლების 98-99%-ს ეს დოკუმენტი აქვს, მაგრამ აქვს იმისთვის, რომ თუ ვინმე ამ საბუთს მოითხოვს, აჩვენოს. თქვენ თვითონაც რომ ნახოთ, ნახავთ რომ ყველა სკოლის დოკუმენტი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. თუ წაიკითხავთ, ისეთი ზოგადი დოკუმენტია, ვერაფერს გაიგებთ“.*

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა განცხადებით, სკოლა მაქსიმალურად ავტონომიური უნდა იყოს და ჰქონდეს გზამკვლევი - გარკვეული პრინციპები, რაც სკოლის შინაგანაწესში მაინც უნდა აისახოს.

> *„2017-2018 წლებში ბავშვის მიმართ ძალადობაზე მონიტორინგი ჩავატარეთ და აღმოჩნდა, რომ ძალადობის დაძლევის სტრატეგია არ არსებობს არც დოკუმენტირებული და არც ზეპირი სახით.“*

ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ხშირად ბულინგი არ არის აღქმული საფრთხედ და ის ზომები, რასაც შინაგანწესის ფარგლებში დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით იყენებენ, სადამსჯელო ხასიათისაა და არ არის ეფექტიანი:

*„ძალადობის ორივე მხარეს რომ არასრულწლოვანი დგას და ორივეს ისეთი სერვისი რომ უნდა შესთავაზო, რომელიც ორივე მათგანისთვის სასარგებლო იქნება, ეს ბევრს არ ესმის.“*

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა განმარტებით, პრობლემურია ის გარემოებაც, რომ ხშირად მანდატურის ფსიქოსოციალური სამსახურის ცენტრი განთავსებულია ქალაქში და სოფელში მცხოვრებ ბავშვებს იქ მისვლა ძალიან უჭირთ.

მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, თუ ადრე ცენტრში მხოლოდ თერაპიული მომსახურება ტარდებოდა, ამჟამად ფსიქოლოგი თერაპიული მომსახურების პარალელურად სკოლაში ბულინგის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებსაც ატარებს.

ცენტრის წარმომადგენელთა თქმით, რიგ შემთხვევებში სკოლები მათთან ბავშვებს უმნიშვნელო პრობლემის  გამო გზავნიან:

*„ყოფილა შემთხვევა, ბავშვი გამოუგზავნიათ იმის გამო, რომ ვიღაცამ თმა მოწიწკნა.“*

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლების მხოლოდ მცირე ნაწილს ჰყავს ცალკე შტატით გათვალისწინებული ფსიქოლოგი. სკოლებში ფსიქოლოგის ფუნქციას ძირითადად, ითავსებენ სპეცმასწავლებლები, რომლებიც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობენ. უმეტეს შემთხვევებში ისინი პროფესიით  ფსიქოლოგები არიან. მანდატურის სამსახურთან არსებობს კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი, რომელიც საქმეში მხოლოდ მაშინ ერთვება, როდესაც რეაგირება სკოლას უჭირს. ასეთი ჯგუფი არსებობს მანდატურის ყველა ფსიქოსოციალურ ცენტრში. ჯგუფში არის სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი. კრიზისული ინტერვენციის ჯგუფში ახლა ორი ფსიქიატრი მუშაობს: თბილისსა და ქუთაისში.  თბილისში მყოფი ფსიქიატრი აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისში მყოფი დასავლეთ საქართველოსაც ემსახურება.

სკოლის დირექტორების განმარტებით, არაფორმალურ გარემოში მოსწავლეების აქტიურმა ჩართულობამ და დაახლოებამ ძალადობის რისკები შეამცირა. მათ აღნიშნეს, რომ ამგვარი პრევენციული ზომების გატარება უფრო ადვილია მცირე ზომის სკოლებში და არა იქ, სადაც ზოგჯერ პედაგოგებიც კი არ იცნობენ ერთმანეთს. კვლევის რამდენიმე მონაწილემ განაცხადა, რომ პრევენციის პოლიტიკის გატარებაც და დაწესებულების მართვაც მცირე ზომის სასაწავლო დაწესებულებაში გაცილებით ადვილია.

კვლევის ფარგლებში, როგორც დამრიგებლებთან, ასევე სკოლის დირექტორებთან საუბრისას გაირკვა, რომ დამრიგებლები ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში მის მოგვარებას თავდაპირველად თვითონ ცდილობენ. ძალადობის მოგვარების გზად მათი დიდი ნაწილი ძალადობის მსხვერპლთან  და ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვთან გასაუბრებას ასახელებს, რთული შემთხვევის დროს კი გასაუბრებისთვის მშობლებსაც





იბარებენ. როგორც კვლევამ აჩვენა, სკოლა  და მასაწავლებლების დიდი ნაწილია ძირითადად ორიენტირებულია ძალადობის მსხვერპლი ბავშვის დახმარებაზე - მას გარკვეულ სერვისს სთვაზობენ, ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვის დახმარების საჭოროებას კი ვერ აცნობიერებენ. ერთ-ერთი კლასის დამრიგებელმა ისიც აღნიშნა, რომ რომელიმე პროგრამაში გადამისამართება ბავშვების გაღიზიანებას იწვევს.

*„ვერ გეტყვით, რომ რბილი მასწავლებელი ვარ, მაგრამ ბავშვის გადამისამართება არასდროს დამჭირვებია. მგონია, რომ გადამისამართება ბავშვს უფრო აღიზიანებს .“*

პედაგოგები და დირექტორები ცდილობენ, რომ ბავშვებთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა დაამყარონ, რომ ბავშვს თვითონ ჰქონდეს სურვილი, რომ ძალადობის შესახებ განაცხადოს. მათივე განმარტებით, იყენებენ დაკვირვების მეთოდსაც.

*„თუ არ გამიმხილა, როგორ გავიგო? ყოველთვის ვცდილობ, რომ დავაკვირდე კლასში არსებულ სიტუაციას. „მოენეები“ არასოდეს გამიჩენია კლასში. ეს მიმაჩნია ჩემს დამცირებად. ყოველთვის ვცდილობ, რომ გავესაუბრო მსხვერპლს. თუ მსხვერპლი მეუბნება, რომ იქ კიდევ ვინმე  სხვა იყო, ვესაუბრები მასაც და შემდეგ მოძალადესაც.“*

შეკითხვაზე, როგორ რეაგირებენ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი მუდმივად მოუწესრიგებელი დადის, ერთ-ერთმა პედაგოგმა გვიპასუხა:

*„ასეთი შემთხვევა არასოდეს მქონია. დავიბარე მშობელი, გავესაუბრე და გაირკვა, რომ ბავშვი სკოლაში მოსვლამდე გზაში თამაშობდა.“*

ამ პასუხიდანც ირკვევა, რომ პედაგოგები უგულვებელყოფის ეჭვის შემთხვევაშიც კი მხოლოდ  მშობელთან არკვევენ სიტუაციას, მის განმარტებას უპირობოდ იღებენ და არ მიმართავენ სხვა კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებსაც არსებული გარემოებების შესწავლა უფრო საფუძვლიანად შეუძლიათ.

დამრიგებლებმა აღნიშნეს, რომ ყველაზე რთულ შემთხვევებში მიმართავენ სკოლის დირექციასა და მანდატურს. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ დამრიგებელთა პასუხებიდან ირკვევა, რომ მათმა დიდმა ნაწილმა რეფერირების მექანიზმის ფარგლებში არსებულ საკუთარ ვალდებულებებზე არაფერი იცის. გარდა ამისა, პედაგოგებს არ აქვთ გავლილი ტრენინგი ძალადობის იდენტიფიცირების თაობაზე. ერთ-ერთმა დამრიგებელმა გვითხრა:

*„ბულინგის იდენტიფიცირებაზე გადამზადება არ მაქვს გავლილი. მე თვითონ მაქვს მასალები. ინტერნეტში უამრავი მასალაა.“*

კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, პედაგოგებს უჭირთ ბულინგის გამოვლენა:

*„პედაგოგებმა საერთოდ არ იციან სად გადის ზღვარი შეურაცხყოფასა და აღმზრდელობით საუბარს შორის. ბავშვებს შორის ბულინგის მაპროვოცირებელი ხშირად მასწავლებელია.“*

*„პატარა კინკლაობა ბიჭებს შორის, ან გოგოებსა და ბიჭებს შორის მასწავლებლის მხრიდან იმდენჯერ დაიგნორდა, რომ ეს გადაიზარდა მერე სერიოზულ კონფლიქტში. თავიდანვე რომ მომხდარიყო რეაგირება, კონფლიქტი არ მოხდებოდა .“*

ერთ-ერთმა რესპონდენტმა (მენეჯერმა) აღნიშნა, რომ ზოგჯერ დამრიგებლები ცდილობენ, რომ ცალკეული ინციდენტები დამალონ, მაშინ როცა აუცილებელია დირექტორის საქმის კურსში ჩაყენება, რადგან მდგომარეობის გართულების შემთხვევაში პასუხს დირექტორი აგებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები მტკივნეულად აღიქვამენ ფსიქოლოგთან ან სპეცმასწავლებელთან მათ გადამისამართებას და თუ გაირკვა, რომ ბავშვი გაყვანილი იყო სპეცმასწავლებელთან, ის სხვა ბავშვების მხრიდან ხდება ბულინგის მსხვერპლი. ბავშვის ფსიქოსოციალურ სერვისში გადამისამართებას მტკივნეულად აღიქვამენ მშობლებიც.

*„როდესაც მოსწავლეები ხედავენ, რომ რომელიმე ბავშვი წავიდა სპეცმასწავლებელთან, იწყებენ მის ბულინგს. ესეც ბულინგის ერთ-ერთი სახეა: ეს ფსიქოლოგთან დადის და ე. ი. რაღაცა ვერა აქვს კარგად.“*

ერთ-ერთი დამრიგებლის განმარტებით ძალადობის იდენტიფიცირების ტრენინგის გავლა პედაგოგებისთვის საჭიროა.

*„მანდატური მართლა მეხმარება, მაგრამ ძალიან მახვილი თვალი უნდა გქონდეს, რომ რამე არ გაგეპაროს. ადამიანები ვართ... მაინც კარგი იქნებოდა ტრენინგი.“*

როგორც კვლევის ფარგლებში მოწოდებული საჯარო ინფორმაციიდან ირკვევა, მანდატურის ფსიქოსოციალურ სამსახურში მოსწავლეთა რეფერირების რაოდენობა მზარდია, რაც თავის მხრივ რესურსების გაზრდას მოითხოვს და გარკვეულ სირთულეებს ქმნის. ეს გარემოება არაერთხელ იქნა ხაზგასმული თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც.

მანდატურის სამსახურის უფროსის განმარტებით, ისინი უმკლავდებიან გაზრდილ მიმართვიანობას და მისი კიდევ უფრო გაზრდის შემთხვევაშიც მათი მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები შეძლებენ საქმესთან გამკლავებას. თვითონ სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები კი აცხადებენ, რომ სერვისის მისაღებად ხშირად ბენეფიციარებს რიგში უწევთ დგომა. მათივე განმარტებით, გადაუდებელი შემთხვევის დროს ცდილობენ მოსწავლეს ურიგოდ მოემსახურონ.

*„ზოგჯერ ბავშვს ორი თვე უწევს ლოდინი. ეს არ არის კარგი, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს.“*

ცენტრის წარმომადგენელთა განმარტებით, კვლევის პროცესში სერვისის მიღებას 300 ბავშვი ელოდებოდა.

*„ეს ძალიან ბევრია და მიზეზი ის არის, რომ სულ* 55 თანამშრომელი გვყავს.“

კადრების სიმცირის გამო, ცენტრმა განსაზღვრა მომსახურებათა ის რაოდენობა, რაც თითოეულ ბენეფიციარს შეიძლება გაეწიოს:





*„სტანდარტად ავიღეთ 12 მომსახურება. ამის შემდეგ ისევ რიგში უნდა ჩადგეს თავიდან. იმედია, სექტემბრისთვის ახალი წესი გვექნება.“*

სსიპ მანდატურის სამსახურიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, სამსახურის ფსიქოლოგი საშუალოდ თვის განმავლობაში 24 შემთხვევას ატარებს. რეფორმის ფარგლებში სოციალური მუშაკიც იწყებს შემთხვევების მართვას და გარკვეული დროის შემდეგ, სოციალური მუშაკის მიერ თვის განმავლობაში წარმოებული შემთხვევების საშუალო მაჩვენებლის დათვლაც იქნება შესაძლებელი.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ერთ-ერთი თანამშრომლის განმარტებით, ადამიანური რესურსი არ არის საკმარისი:

*„გვყავს 39 ფსიქოლოგი, 11 სოციალური მუშაკი და 2 ფსიქიატრი. არ გვყოფნის ეს რესურსი. მომართვიანობა ყოველწლიურად იზრდება. თბილისში სულ ორი ცენტრი გვაქვს და თერაპიული მომსახურების დროს ძალიან ვიჭედებით ხოლმე.“*

კითხვაზე, ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, როდესაც ფიქრობენ, რომ კიდევ არის სამუშაო ბავშვთან, მაგრამ რადგან რიგში დგას ბავშვი, რომელსაც სწრაფად სჭირდება დახმარება, ცენტრის წარმომადგენელს მისთვის უარის თქმა უწევს, ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა:

*„დროებით ვასრულებთ მასთან მუშაობას და ვუკავშირდებით მაშინ, როგორც კი მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა ჩნდება. არის ხოლმე შემთხვევები, როცა ვცდილობთ, რომ ამ ბავშვთან მუშაობა დავასრულოთ და პარალელურად იმ რთულ "ქეისსაც" ვიწყებთ. ძალიან მძიმე რეჟიმში გვიწევს ხოლმე მუშაობა.“*

## სოციალური მუშაობა სკოლებში და ბავშვები, რომლებიც მხარდაჭერას საჭიროებენ

სოციალური მუშაობას მნიშვნელოვანი როლი აქვს არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის მიმართულებით. ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, სოციალური მუშაობა არის პრაქტიკულ საქმიანობაზე დაფუძნებული სპეციალობით მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფალ განვითარებას, მისი ინტეგრაციის ხელშეწყობას და ინდივიდის გაძლიერებით ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.[75] კანონმდებლობით სკოლებში სოციალური მუშაობა გულისხმობს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას, ჩაგვრის შემთხვევების შემცირების მიზნით პრევენციულ მუშაობას და მათ მართვაზე ზრუნვას, მათ შორის, მოსწავლეთა მშობლებთან, ოჯახთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან მუშაობას, სკოლებში არსებული სოციალური პრობლემების, კანონთან კონფლიქტში მყოფი, ქცევითი და ემოციური პრობლემების, აგრეთვე ინკლუზიური და სპეციალური საგანმანათლებლო

[75] საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მ. 2 (ი);

საჭიროებების მქონე მოსწავლეების იდენტიფიცირებას და მათთვის სოციალური მომსახურების მიწოდებას, მათ შორის, მოსწავლეთა რთული ქცევის მართვას, მათი ოჯახებისთვის კონსულტაციის გაწევას; მოსწავლის ზოგადი განათლების, ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობის უზრუნველყოფას და მისი სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას; ძალადობისა და უგულებელყოფის ფაქტების იდენტიფიცირებას და მათზე შესაბამის რეაგირებას.[76]

„სოციალური მუშაობის შესახებ" კანონით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირებისთვის აუცილებელი გეგმის შედგენა და 2021 წლის 1 იანვრამდე სოციალურ მუშაკთა სერთიფიცირების დასრულება. ეს პროცესი ეტაპობრივად უნდა დაწყებულიყო 2019 წლიდან. როგორც თვისებრივი კვლევიდან ირკვევა, ამჟამად სკოლებში სოციალური მუშაკები არ არიან, არც მათი გადამზადება მიმდინარეობს და როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, *„2021 წლისთვის ისინი ციდან ვერ ჩამოვარდებიან".*

კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვლევ ჯგუფს წარმოადგენდნენ რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნები, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი ბავშვები. არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის მიზნით, ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვავს რთული ქცევის მქონე და სს სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩამდენ ბავშვთა შესაბამის ცენტრში და სერვისებში გადამისამართების წესს. კანონმდებლობა განმარტავს, თუ რა მიიჩნევა რთულ ქცევად.[77] რეფერირების ახალი წესი ვრცელდება რთული ქცევის მქონე 10-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირის მიმართ დაწყებულია განრიდების პროცესი, ან მის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელის სახით მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა. წესი ასევე ვრცელდება 7-დან 14 წლამდე ასაკის იმ არასრულწლოვნებზე, რომლებთან მიმართებაშიც კომპეტენტური უწყებების მიერ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა[78].

რეფერირების სისტემა სხვა უწყებებთან ერთად აერთიანებს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს/სკოლებს.[79]

საქართველოს ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროები, მათი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები/სკოლები ცენტრის მიერ შემუშავებული სკრინინგ კითხვარის მიხედვით

[76] იქვე, მ.18, 36-37.
[77] საქართველოს მთავრობის #681 დადგენილება არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 2;
[78] იქვე, მუხლი 1;
[79] იქვე, მუხლი 3.





ახდენენ რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებასა და ცენტრის ინფორმირებას. ისინი ასევე უზრუნველყოფენ რეფერირების მექანიზმის ეფექტიანობისთვის საჭირო სერვისების/პროგრამების შემუშავებას და მიწოდებას, მონაწილეობენ ოჯახის სოციალური ფუნქციონირების მხარდამჭერი სერვისების განვითარებაში და თანამშრომლობენ ცენტრთან არასრულწლოვნის სერვისში/პროგრამაში ჩართულობის მონიტორინგის მიზნით.[80]

დადგენილებით განსაზღვრულია არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესი,[81] პროცესის მონიტორინგისა და არასრულწლოვნის მდგომარეობაზე ზედამხედველობის პროცედურები.[82]

ცენტრის გადაწყვეტილება შესაბამის სერვისში/პროგრამაში არასრულწლოვნის ჩართვის შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად. ასევე განსაზღვრულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან უარის თქმის შემთხვევაში არასრულწლოვნის, კანონიერი წარმომადგენლის/ფაქტობრივი მზრუნველის პასუხისმგებლობა.[83]

არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში შესაძლებელია 10-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის გაგზავნა. რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთი სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არასრულწლოვანს ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით გაუხანგრძლივდება არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში ყოფნის ვადა.[84]

არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში არასრულწლოვნის ყოფნის ვადის გასვლამდე ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ღონისძიების შეწყვეტის, შეცვლის ან ვადის გაგრძელების შესახებ. [85]

განათლების სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო 5 წლის განმავლობაში სამტრედიის სკოლაში გადამისამართდა 16 მოზარდი. სკოლაში ირიცხებოდა 5 მოსწავლე. საჯარო ინფორმაციის მიხედვით, გადამისამართების ძირითადი მიზეზები იყო: ანტისოციალური ქცევა, ქუჩაში ღამის გათევა, მოწყალების თხოვნა, ქურდობა, აგრესიულობა, ცივი იარაღის ტარება, კონფლიქტურობა, თვითდამაზიანებელი და სხვისი დამაზიანებელი ქცევა და სხვ. სამინისტროს განმარტებით, რესურსსკოლაში მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა საგანმანათლებლო-კულტურულ და ქცევის მართვის პროგრამებში. ამავე წერილით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებული არასრულწლოვნების გადამისამართების

[80] იქვე, მუხლი 4.
[81] იქვე, მუხლი 6.
[82] იქვე, მუხლი 7.
[83] იქვე, მუხლი 8-9.
[84] იქვე, მუხლი 10.
[85] იქვე, მუხლი 12.

(რეფერალი) საკითხების განმხილველი ექსპერტთა ჯგუფის მიერ სსიპ ქალაქ სამტრედიის N15 საჯარო სკოლაში არასრულწლოვანთა გადამისამართებასთან დაკავშირებით მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა სასამართლოში. ასევე, სამტრედიის სკოლაში მოსწავლის გადამისამართებასთან დაკავშირებით სამინისტროში საჩივარი არ დაფიქსირებულა.[86]

რაც შეეხება სამტრედიის სკოლას, სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სსიპ ქალაქ სამტრედიის N15 საჯარო სკოლა წარმოადგენს სპეციალიზებულ, ნახევრად დახურული ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას (სკოლა-პანსიონს) ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისათვის. „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ ქვეპროგრამის ფარგლებში, სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, რომლითაც ხდება ქვეპროგრამის ბენეფიციარებისა და ადგილობრივი თანატოლების საერთო ინტერესების გარშემო მოზიდვა/გაერთიანება და სასკოლო საქმიანობაში თანატოლებთან თანამონაწილეობით მოზარდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა, რითიც ქვეპროგრამის ბენეფიციარებს საშუალება აქვთ მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი:

1. კულინარიის, ცეკვის, თეატრისა და კითხვის კლუბი. თანატოლებთან სოციალიზაციის მიზნით, საერთო ინტერესის გარშემო გაერთიანდნენ სსიპ ქალაქ სამტრედიის N15 საჯარო სკოლის მოზარდები და სენაკის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეები. მომზადდა სპექტაკლები - „შეცვალე სამყარო“ და „უკანასკნელი ფოთოლი“. სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, აქტივობებმა ხელი შეუწყო სსიპ ქალაქ სამტრედიის N15 საჯარო სკოლის ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოზარდების სასწავლო და პრეპროფესიული უნარების გამომუშავებას; სსიპ ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოზარდებთან მიმართებაში საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების რღვევას; მოზარდებს გაუჩნდათ პატივისცემის გრძნობა თანატოლებისა და უფროსების მიმართ; გახდნენ ანგარიშვალდებულები მასწავლებლების მიმართ; მოზარდებმა გამოიმუშავეს მოსმენის კულტურა, გაკვეთილზე ჯდომის უნარი, გახდნენ ორგანიზებულები. არაფორმალურ გარემოში, სასიამოვნო და სახალისო გზით მიღებული ცოდნა კი აისახა მათ აკადემიურ მოსწრებაზე. მოხდა მოზარდების ინდივიდუალური უნარების, შესაძლებლობების და ინტერესების დადგენა და განვითარება. დღეისათვის დამეგობრებული მოზარდები ერთად გეგმავენ სათემო საქმიანობებს;
2. მოეწყო საზაფხულო სკოლა, სადაც დასაქმდა სამტრედიის N15 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, რომელიც გაუძღვა ტამტამის შესწავლის კურსებს და ხელმძღვანელობდა ცეკვის (brakedance da freestyle) კლუბს. მოზარდებს გაუჩნდათ პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელების მოტივაცია. ისინი ალტერნატიული გამოცდებით ჩაირიცხნენ იმ კოლეჯში (საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“), რომელსაც გააჩნია პანსიონური მომსახურება;

[86] განათლების სამინისტროს 03/07/2019 წლის #MES 81900891083 წერილი.





3. წერილიდან ირკვევა, რომ პრეპროფესიული უნარების განვითარების მიზნით ამუშავებული კლუბების საქმიანობის შემდეგ სამ ბენეფიციარს გაუჩნდა პროფესიულ კოლეჯში სწავლის გაგრძელების სურვილი. ალტერნატიული გამოცდებით ჩარიცხვის შემდეგ, მიმდინარე წელს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სსიპ ქალაქ სამტრედიის N15 საჯარო სკოლის ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე 6 კურსდამთავრებული დაეუფლა პროფესიას. ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ საცხოვრებლით და კვებით;
4. სკოლა პანსიონებში შემუშავდა სააღმზრდელო პროგრამა, სსმ მოზარდებში ინტერესთა სფეროს განსასაზღვრად, პროფესიული, ფუნქციური და სასიცოცხლო უნარების გამომუშავების მიზნით. სააღმზრდელო პროგრამა დაიტვირთა კითხვის და სწავლის მოტივაციის ამაღლების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის და პროფესიული განათლებით დაინტერესების ხელშემწყობი აქტივობებით. დაიხვეწა ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები, მოზარდებში მოხდა პრეპროფესიული უნარების გამომუშავება ხელგარჯილობასა და კულინარიაში. კულინარიამ ამავდროულად ხელი შეუწყო მოზარდებში ჯანსაღი კვების მნიშვნელობის გაცნობიერებას;
5. ტარდება სემინარები/კონფერენციები, რაც ხელს უწყობს მოზარდებში საჯარო გამოსვლის უნარის გაუმჯობესებას და თანმიმდევრულ აზროვნებას.[87]

განათლების სამინისტროდან მიღებულ წერილში ჩამოთვლილი სერვისებიდან პროგრამების გარკვეული ნაწილი ერთჯერადი ხასიათისაა. მოთხოვნის მიუხედავად, სამინისტრომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია პროგრამების მოდულების დეტალური შინაარსისა და ხანგრძლივობის შესახებ, რაც ნაწილობრივ მაინც შესაძლებელს გახდიდა, რომ გვემსჯელა პროგრამების ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და განგვესაზღვრა, რამდენად ახდენს ეს პროგრამები სკოლა-პანსიონში მყოფი ბავშვების რთული ქცევის შემდგომ პრევენციას. თვისებრივი კვლევა ცხადყოფს, რომ აღნიშნული პროგრამების ხარისხი დამაკმაყოფილებელი არ არის, სახელმწიფოს კი ბავშვის სკოლაში გადამისამართებამდე არანაირი პროგრამა არ აქვს, რაც ფაქტობრივად ტოვებს მხოლოდ ორ ალტერნატივას: შესაბამისი საჭიროების მქონე ბავშვები ან ყოველგვარი სერვისის გარეშე უნდა დარჩნენ და ან უნდა გადავიდნენ #15 სკოლა-პანსიონში, რომელიც თავისი კონცეფციით, სტრუქტურითა და სერვისებით პრევენციისა და რეინტეგრაციის მიზნებს ბოლომდე ვერ პასუხობს.

კვლევის მონაწილე არაერთმა რესპოდენტმა განაცხადა, რომ რთული ქცევის მქონე ბავშვების, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვნებისთვის, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, შუალედური სერვისი ფაქტიურად არ არსებობს. არსებობს სამტრედიის #15 საჯარო სკოლა, სადაც ხდება ბავშვების გადამისამართება. თუმცა, სკოლის

[87] განათლების სამინისტროს 03/07/2019 წლის #MES 81900891083 წერილი.

შეზღუდული ინფრასტრუქტურული რესურსის გამო ყველა ბავშვის ამ დაწესებულებაში გადაგზავნა შეუძლებელია. გამოკითხულთა უმრავლესობის მოსაზრებით, სამტრედიის სკოლაში გადამისამართება უნდა იყოს უკიდურესი ზომა, თუმცა, რეალურად ე.წ. შუალედური სერვისი და პრევენციული ჩარევა შესაბამისი პროგრამების არარსებობის გამო მანამდე ვერ ხორციელდება.

*„სამწუხარო არის ის, რომ არცერთი პრევენციული სერვისი დღეს სახელმწიფოს არა აქვს.“*

იგივეს ადასტურებენ კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

*„ნათელი წერტილი ბოლოს არის სამტრედია და სამტრედია რა არის, მოგეხსენებათ თქვენ.“*

განათლების სამინისტროში განაცხადეს, რომ სამტრედიის სკოლაში არსებული პროგრამები და გაწეული საქმიანობა ამ ეტაპისთვის არ არის დამაკმაყოფილებელი. მიუღებელია დაწესებულების ფორმაც, რის გამოც იგეგმება მისი მცირე საოჯახო ტიპის სახლად გადაკეთება, სადაც ბავშვები მიიღებენ შესაბამის სერვისებს. ამჟამად სკოლაში არის ცალკეული სპორტული და თერაპიული ღონისძიებები, არაფორმალური განათლების პროგრამა, პროფესიული განათლების კომპონენტი, თუმცა ეს სერვისები არ არის საკმარისი და მათი ხარისხიც, როგორც კვლევის მონაწილეები აცხადებენ, დამაკმაყოფილებელი არ არის.

*„რა თქმა უნდა, ეს არ არის ის სერვისი, რაც გვინდა, რომ იყოს. იმის გამო, რომ სამტრედია მოშორებულია, გვიჭირს სპეცილისტების მოძიება. გარდა ამისა, ეს ნახევრად დახურული ინსტიტუციაა და არ მოგვწონს ეს მოდელი… სამინისტრო მხოლოდ სკოლის სივრცეში შესთავაზებს იმ სერვისებს, რაც ამ ბავშვებისთვის იქნება საჭირო. მგონია, რომ ეს იქნება უფრო სწორი გზა, ვიდრე ჩაკეტილ ინსტიტუციაში ამ ბავშვების მოთავსება.“*

სხვა რესპოდენტიც ადასტურებს არსებულ პრობლემებს:

*„ასოციალურ ქცევასთან მიმართებაში ერთადერთი სამტრედიის მე-15 სკოლა მუშაობს. უკიდურეს შემთხვევაში ბავშვი იქ უნდა ჩაირიცხოს. შუალედური სერვისები საკმარისი არ არის - ცოტა უკმაყოფილოები ვართ ამ მხრივ. გვინდა, რომ აქ რაღაც შეიცვალოს.“*

შუალედური სერვისების არარსებობაზე საუბრობენ აგრეთვე სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებიც. რაც შეეხება საჯარო სკოლების დონეზე ამ ბავშვებთან პრევენციულ საქმიანობას, რესურსცენტრის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, სკოლებს უმეტესად საერთოდ არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, აქვს თუ არა, ან ჰქონია თუ არა რომელიმე კონკრეტულ ბავშვს კანონთან კონფლიქტი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა რეფერირების ახალი წესის თანახმად, 2020 წლის 1 სექტემბრამდე არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულების ფუნქციებს ასრულებს სსიპ ქალაქ სამტრედიის #15 საჯარო სკოლა (სკოლა-პანსიონი). ის ფაქტი, რომ ახალი წესის პირობებშიც, სამტრედიის სკოლა აგრძელებს ფუნქციონირებას როგორც





რეფერირების დაწესებულება, კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მის წინაშე არსებული გამოწვევების დროულ გადაწყვეტას.

## გაცდენები და მოსწავლის სტატუსის შეჩერება

იმის გამო, რომ ძალიან ხშირად დანაშაულის ჩადენის რისკი დაკავშირებულია არაორგანიზებულ თავისუფალ დროსთან, ხოლო სასწავლო პროცესს მიღმა დარჩენილი არასრულწლოვნები, შესაძლოა, რისკჯგუფს განეკუთვნებოდნენ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხსაც შევეხოთ. ხშირად გაცდენების მიზეზების გამორკვევა სხვადასხვა უწყებებს შორის გაურკვევლობის საგანი ხდება და როგორც განათლების სამინისტროს ცალკეული წარმომადგენლები, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის (შემდგომში ჯანდაცვის) სამინისტროს სოციალური მომსახურეობის სააგენტოს სოციალური მუშაკები მოსწავლის გაცდენების მიზეზების კვლევას ერთმანეთის კომპეტენციად მოიაზრებენ.

ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის თანახმად, სკოლა ვალდებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი, თუ იგი 90 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში და არ იღებს შეფასებას, მიემგზავრება საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას; 12 წლის სწავლის შემდეგ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე ან არასრულწლოვნის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით.

კანონმდებლობით შესაძლებელია მოსწავლის სტატუსის აღდგენაც. ამისთვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს იმ სკოლას, რომელმაც მოსწავლეს სტატუსი შეუჩერა. მოსწავლეს სტატუსი აღუდგება იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა.[88] რაც შეეხება მოსწავლის სკოლიდან გარიცხვას, კანონმდებლობით დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა დაუშვებელია.

როგორც კვლევიდან ირკვევა, გაცდენებთან და მისი მიზეზების გამოკვლევასთან დაკავშირებით პასუხისმგებელ უწყებასა და პირებზე სხვადასხვა უწყებას შორის და თვით განათლების სამინისტროს ფარგლებშიც კი განსხვავებული დამოკიდებულებაა. რაც შეეხება განათლების სამინისტროს სისტემაში არსებულ მოსაზრებებს, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, თუ ადრე გაცდენების შესახებ ინფორმაცია ეგზავნებოდა

[88] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის ბრძანება#04/ნ ზოგადსაგანამანათლებლო სკოლებში მსოწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ, მ.8-10

სოციალური მომსახურების სააგენტოს, ამჟერად მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკები არიან ჩართულნი ბავშვის სასწავლო პროცესის მიღმა ყოფნის მიზეზების გამორკვევაში.

რაც შეეხება დამრიგებლის მოვალეობებს გაცდენებთან დაკავშირებით, არც კანონმდებლობით და არც ეროვნული სასწავლო გეგმით დამრიგებელს პირდაპირ გაცდენების მონიტორინგის ვალდებულება არ აქვს. თუმცა, თითქმის ყველა სკოლა პრაქტიკის დონეზე სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში დამრიგებელს ამ ვალდებულებას აკისრებს. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით:

*„ჩვენ მაინც დამრიგებლებს ვთხოვთ, რომ პირველივე გაკვეთილის შემდეგ ვიცოდეთ, ვინ არ არის სკოლაში. თუ 10-15 დღე არ მოდის სკოლაში, ეს უნდა იყოს გამოკვლეული და აღწერილი და ამის გაკეთებას დამრიგებელს ვთხოვთ და ჩვენც ვერთვებით.“*

სკოლის კიდევ ერთი წარმომადგენლის განმარტებით, კანონი დამრიგებელს არ ავალდებულებს მოსწავლის სასწავლო გარემოს შემოწმებას ბინაზე მისვლით, თუმცა, გაცდენების შესახებ პედაგოგის ინფორმირების ვალდებულება მშობლებს პირველივე მშობელთა კრებაზე განემარტებათ.

თავად დამრიგებლებიც აღნიშნავენ, რომ თუ ბავშვი აცდენს თუნდაც ერთ დღეს, აუცილებლად უკავშირდებიან მშობლებს და არკვევენ გაცდენის მიზეზს:

*„თუ არ პასუხობს, დირექციასაც ვაგებინებ და გარკვეულ ზომებს ვღებულობთ.“*

*„პირველი გაცდენისთანავე ვარკვევთ, ბავშვი რატომ არ მოვიდა სკოლაში.“*

რესურს-ცენტრის ხელმძღვანელებს შორის აზრი გაიყო. ერთ-ერთი მათგანის განმარტებით, ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია გამოარკვიოს, რატომ არ დადის ბავშვი სკოლაში.

მეორე რესურს ცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით კი დამრიგებელს არც ამის მატერიალური რესურსი აქვს და არც დრო, რადგან დამრიგებლები ხშირად სხვა საგნებსაც ასწავლიან და თითოეული ბავშვის ოჯახში ვიზიტისთვის ფიზიკურად არ სცალიათ.

სკოლის დირექტორები განმარტავენ, რომ სადამრიგებლო პროგრამით, დამრიგებლებს აკისრიათ ეს ვალდებულება, თუმცა აღნიშნული პროგრამა არ არის ნორმატიული ხასიათის და ყველა დამრიგებელს თავისი ინდივიადუალური პროგრამა აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კვლევამ აჩვენა, დამრიგებლები რიგ შემთხვევებში არ არიან საქმის კურსში რა დოკუმენტი განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებას. რესპონდენტთაგან მხოლოდ ერთმა ახსენა ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასახული ვალდებულებები. დანარჩენებმა აღნიშნეს, რომ ისინი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოქმედებენ.

რაც შეეხება სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვებს, თვისებრივი კვლევიდან ირკვევა, რომ ამჟამად მუშავდება პროგრამა, რომლის მთავარი მიზანიც 6-დან 16 წლამდე ასაკის მქონე, სისტემისთვის უხილავი იმ ბავშვების აღმოჩენა იქნება, რომლებსაც არასოდეს უვლიათ





სკოლაში. პირველ ეტაპზე უნდა განხორციელდეს ასეთი ბავშვების აღრიცხვა, შემდეგ ეტაპზე კი მათი მოძიება და გარკვევა (უკვე მუნიციპალიტეტების ჩართულობით), ხომ არ არიან ძალადობის მსხვერპლნი ან ხომ არ ხდება მათი განათლების უფლების შეზღუდვა. შემდეგ ეტაპზე  კი ისინი სასწავლო პროცესში უნდა ჩართონ. განათლების სამინისტროში ისაუბრეს ასევე სამინისტროს მიერ დაფინანსებულ პროგრამაზე, რომელიც მიზნად ისახავს ბოშა ბავშვების მოზიდვას სკოლებში. პროგრამის ფარგლებში ფინანსდებოდა სხვადასხვა არაფორმალური წრეები და კვება. სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ამ პროგრამამ ძალიან კარგად იმუშავა, თუმცა ის არ იყო მასშტაბური.

რაც შეეხება იმ ბავშვებს, რომლებიც ერთხელ მაინც იყვნენ დარეგისტრირებულნი სკოლებში, განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სკოლა ვალდებულია გამოიკვლიოს და დაადგინოს, რატომ მოხდა სტატუსის შეჩერება.

გაცდენების საკითხზე კვლევის ფარგლებში ვესაუბრეთ სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებსაც. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, არსებული რეალობის გათვალისწინებით, დამრიგებელს არ აქვს  რესურსი, რომ მოიძიოს გაცდენის მიზეზები.

*„დამრიგებლობა ახლა აბსოლუტურად აღარ პასუხობს იმ გამოწვევებს, რა გამოწვევების წინაშეც ვდგავართ. დამრიგებლები ჩვეულებრივი მასწავლებლები არიან და არ აქვთ აკადემიური ცოდნა  მედიაციის ან ძალადობის ამოცნობის თაობაზე. არც გადამზადება  აქვთ გავლილი. განათლება რომც ჰქონდეთ, დრო არ აქვთ. თვითონაც ატარებენ გაკვეთილებს და რეალურად მათ ამისი დრო არ რჩებათ.“*

რესურსცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ხშირი და უმიზეზო გაცდენები ძალადობის ერთ-ერთი რისკფაქტორი და მაჩვენებელია და როდესაც ამის გამო ბავშვს სოციალური მომსახურების სააგენტოში გზავნიდნენ, სააგენტო მათ საყვედურობდა.

*„გვეუბნებოდნენ, რატომ გვიგზავნი,  ჩვენ ეს არ გვეხება,  სად გვაქვს ამდენი რესურსი, რომ ყველა ჯერზე            გადავამოწმოთ...“*

*“დამრიგებელი ვალდებულია, რომ გაცდენების შესახებ დირექტორს მიააწოდოს ინფორმაცია. დირექტორი უკავშირდება მშობელს. თუ მშობელს ვერ დაუკავშირდა, შემდეგ სოციალურ სამსახურს ატყობინებს. სოციალური სამსახური ან გვაძლევს უკუკავშირს, ან არ გვაძლევს. გადის 90 დღე და შემდეგ ხდება სტატუსის შეჩერება.“*

მნიშვნელოვანი საკითხია გაცდენისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების მიზეზიც. ხშირად დეკლარირებული მიზეზი რეალურისგან განსხვავდება. განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, მიზეზის შესწავლა მათ უფლებამოსილებას სცდება.

ერთ-ერთი სკოლის დირექტორის განმარტებით:

*„შეიძლება იყოს სტატუსის შეჩერების შესახებ მშობლის განცხადება და რეალური მიზეზი, მაგ. ნაადრევი ქორწინება,  დამალოს.“*

განათლების სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით კი სტატუსის შეჩერებისთვის განსაზღვრული 90-დღიანი ვადა ძალიან დიდია და ამიტომ შემუშავდა რეკომენდაცია მისი შემცირების თაობაზე. რეკომენდაცია, შესაძლოა რომელიმე ნორმატიულ აქტში ან მინისტრის ინდივიდუალურ აქტში აისახოს და დაიგზავნოს სკოლებში. ამავე რესპონდენტის განმარტებით, ზოგადი რეკომენდაციები ეფექტიანი არ არის და მას სავალდებულო სახე უნდა ჰქონდეს.

*„თუ ვერ ხერხდება გაცდენის მიზეზის დადგენა, აქ უკვე ერთვება დირექცია და მანდატური. თუ ამას შედეგი არ აქვს, მაშინ უკვე ერთვება 112 და ხდება გადამისამართება სოციალური მომსახურების სააგენტოში. დამრიგებელიც მიდის ბინაზე ,თუმცა მას ხშირად კარი დაკეტილი ხვდება. თუ შორიდან მოდის ბავშვი, დამრიგებელს არ აქვს რესურსი, რომ ადგეს და იაროს ტრანსპორტით.“*

სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებით, სანამ ბავშვს სოციალური მომსახურების სააგენტოში გადაამისამართებენ, დამრიგებელს და სკოლის ადმინისტრაციას ევალება, რომ სახლში მივიდნენ და გაარკვიონ, რატომ არ დადის ბავშვი სკოლაში.

*„2 კვირა რომ გამიცდენს და არ დამირეკავს, ხომ უნდა ავღელდე და ვიფიქრო, რომ შეიძლება რაღაც ხდება. ბევრჯერ არის, რომ მიდის დამრიგებელი და ხედავს, რომ ბავშვი სახლშიც არ არის და დედა ეუბნება, რომ არ იცის, სად არის. ასეთი ბავშვები ძირითად დროს ქუჩაში ატარებენ და კანონთან კონფლიქტში არიან.“*

არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაშინაც კი, თუ ბავშვი სკოლაში სისტემატურად არ დადის, სკოლა არ ინტერესდება მიზეზის გარკვევით. მან გაიხსენა შემთხვევა, როდესაც მიუსაფარ ბავშვთა ცენტრის ერთ-ერთი ბენეფიციარი მეორე კლასში ისე ირიცხებოდა, რომ სკოლაში ნამყოფი საერთოდ არ იყო.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთა განმარტებით, განათლების სამინისტროში არსებული სტატისტიკა სანდო არ არის. თუმცა, სასკოლო პროცესს მიღმა დარჩენილი ბავშვების რაოდენობა ამ სტატისტიკითაც კი საკმაოდ მაღალია (სტატისტიკური ინფორმაცია გამოვითხოვეთ სამინისტროდან, თუმცა ინფორმაცია არ მიგვიღია).

*„ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი ქვემო ქართლშია, სადაც ვიცით, რომ შეიძლება იყოს ადრეული ქორწინების მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ მიზეზების სტატისტიკაში ეს მაჩვენებელი მაღალი არ არის. არ ხდება ჯეროვანი აღრიცხვა… კანონიერი წარმომადგენლის განცხადებას ეყრდნობიან და მის უკან რა მიზეზი დგას, ამის იდენტიფიცირება არ ხდება.“*





## მიუსაფარი ბავშვები[89], სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები

განათლების სამინისტრო გარკვეულ პრევენციულ მუშაობას ახორციელებს მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებით. კერძოდ, მიუსაფარი ანუ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები ჩართულნი არიან სპეციალურ საგანმანათლებლო სერვისში - „ტრანზიტულ საგანამანათლებლო პროგრამაში“. სერვისის მიზანია სკოლის მიღმა დარჩენილი მიუსაფარი ბავშვების ფორმალურ განათლებაში ინტეგრაცია. მიმდინარეობს მუშაობა მათი სკოლებში ჩარიცხვისთვის, ასევე სწავლის მიტოვების პრევენციისთვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციითა და აკადემიური განვითარების ხელშეწყობით. პროგრამა ხელს უწყობს ბენეფიციარებს პროფესიულ ორიენტაციაში. 2016 წელს სერვისში ირიცხებოდა 80- მდე ბავშვი, 2017 წელს - 101 ბავშვი, 2018 წელს - 130 -მდე ბავშვი, 2019 წელს სხვადასხვა საანგარიშო პერიოდში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაა 125- დან 150 -მდე მერყეობდა.[90]

თვისებრივი კვლევით დასტურდება საჯარო წერილის სახით მიღებული ინფორმაცია და ირკვევა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს თანამშრომლობა მიუსაფარ ბავშვთა სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოქმედებს განათლების ტრანზიციის პროგრამა, რომლის მიზანია ჯანდაცვის სამინისტროს ფარგლებში მოქმედ დღის ცენტრებში მყოფი ბავშვების დაბრუნება სასკოლო სივრცეში. განათლების სამინისტროს პედაგოგები შედიან ცენტრებში და მუშაობენ როგორც სოციალური უნარების განვითარებაზე, ასევე იმაზე, რომ ეს ბავშვები დაუბრუნდნენ სასკოლო სივრცეს. თუმცა, როგორც განათლების სამინისტროს და რესურსცენტრების წარმომადგენლებმა განმარტეს, ბავშვები გრძნობენ მათ მიმართ არაკეთილისმსურველ დამოკიდებულებას, როგორც სკოლის ადმინისტრაციის და პედაგოგების, ისე თანატოლების მხრიდან და სკოლაში დაბრუნება არ უნდათ.

*„სამწუხაროდ, საზოგადოება ყოველთვის ხელს იშვერს ამ ბავშვებისკენ და ამბობს, რომ ამ ბავშვებშია პრობლემა. ამ ბავშვებს არ იღებენ თანაკლასელები და კლასელების მშობლები ... ყველაზე დიდი პრობლემა მაშინ იწყება, როდესაც ბავშვი მიდის სკოლაში და არ ხვდება ის გარემო, რასაც ელოდება. იქ, სადაც ბავშვი რისკს დაინახავს, აღარ დაბრუნდება. “*

სტიგმის შესახებ საუბრობენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რომლებიც სერვისს აწვდიან მიუსაფარ ბავშვებს. მათი განმარტებით, ამ ბავშვების მიმართ რიგ სკოლებში უარყოფითი დამოკიდებულებაა როგორც ადმინისტრაციის, ასევე მშობლებისა და თანაკლასელების მხრიდან, რაც ბავშვებში დემოტივაციას იწვევს. რესპონდენტებმა ისეთი შემთხვევაც გაიხსენეს, როდესაც ფაქტობრივად ბავშვისთვის სკოლის მოძებნა შეუძლებელი იყო:

[89] ***მიუსაფარი ბავშვი*** *- ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე არასრულწლოვანი, რომელიც იდენტიფიცირებულია ასეთად, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ რეფერირების პროცედურების შესაბამისად;* მთავრობის 437 დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, ტერმინთა განმარტება.

[90] განათლების სამინისტროს 03/07/2019 წლის #MES 81900891083 წერილი.

*„გვყავს ერთი ბავშვი, რომელსაც არცერთი სკოლა აღარ იღებს, არადა ბავშვს უნდა სკოლაში სიარული.“*

ერთ-ერთი სოციალური მუშაკის განმარტებით, მათ ხშირად უხდებათ სკოლებთან მიუსაფარ ბავშვთან დაკავშირებულ გამოწვევებზე მსჯელობა:

*“ზევრს უთქვამს, რომ ამ ბავშვების გამო მე სამსახურს დავკარგავ... იმ ბავშვეების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ არიან, ძალიან ცუდი დამოკიდებულება აქვთ. ყველამ იცის სკოლაში, რომ ეს ბავშვი მზრუნველობამოკლებულია.“*

განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა თქმით, განხორციელებული პროგრამის მიზანი არის არა მარტო ბავშვების დაბრუნება სკოლებში, არამედ ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობაც და ბავშვისთვის სკოლაში შესაბამისი გარემოს შექმნა. როგორც ირკვევა, სკოლა და ხშირ შემთხვევაში ბავშვები და მათი  მშობლებიც საქმის კურსში არიან, რომ მათი თანაკლასელი იმავდროულად მიუსაფარის სტატუსს ატარებს ან დღის ცენტრის ბენეფიციარია.

რაც შეეხება რესურსცენტრების პოზიციას, მათი განმარტებით ამ ბავშვების მიმართ სტიგმა და ნეგატიური დამოკიდებულება პირდაპირ არის დაკავშირებული სკოლის ხელმძღვანელობის პროფესიონალიზმთან: თუ სკოლა კარგად მუშაობს, ძალიან ადვილია მშობლის დარწმუნება, რომ მიუსაფარი ბავშვების ყოფნა მათი შვილების გვერდით არანაირ რისკს არ შეიცავს. ერთ-ერთი რესურს ცენტრის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ

*„თუ ადმინისტრაციას არ ესმის პრობლემის არსი, მაშინ მშობელსაც, ბუნებრივია, არ ესმის და უჩნდება ეჭვები და კითხვები. თუ ამ კითხვებზე ვერ პასუხობენ კომპეტენტურად, ეჭვები უფრო მეტად უღრმავდება.  თუ ესმის სკოლას პრობლემის არსი, მაშინ კითხვებსაც ძალიან მარტივად უპასუხებს.“*

## სხვა უწყებებთან თანამშრომლობა

რაც შეეხება პრევენციული პოლიტიკის განხორციელებისა და პრევენციული პროგრამების განხორციელების ეტაპზე სხვადასხვა უწყებებთან განათლების სამინისტროს თანამშრომლობას, თვისებრივი კვლევის ფარგლებში ამ კუთხით არსებულ პოზიტიურ მხარეებზე და სირთულეებზე, ასევე თანამშრომლობის სისტემურად მოუგვარებლობაზე თითქმის ყველა უწყების თანამშრომლებმა ისაუბრეს. კვლევის აღნიშნულ ნაწილში შევეხებით განათლების სამინისტროს ფარგლებში გაკეთებულ განცხადებებს.

მანდატურის სამსახურის განცხადებით, მჭიდრო თანამშრომლობა არსებობს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან (მართლწესრიგის ოფიცრის საპილოტე პროგრამის ფარგლებში, ასევე რეფერირების მექანიზმის მოქმედების ფარგლებში), ასევე ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან (როგორც აღინიშნა, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტზე, რომელიც დაარეგულირებს რა შემთხვევების





გადამისამართება მოხდება სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან და რა შემთხვევები გადამისამართდება  მანდატურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში).

განათლების სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის თანამშრომლობა აქტიურად მიმდინარეობს ასევე მიუსაფარი ბავშვების ნაწილში. როგორც აღინიშნა, სკოლის პედაგოგები შედიან სამინისტროს ფარგლებში მოქმედ დღის ცენტრებში და მუშაობენ ბავშვების სასწავლო პროცესში დასაბრუნებლად. განათლების სამინისტრო ასევე აქტიურად თანამშრომლობს ჯანდაცვის სამინისტროს მეურვეობისა და მზრუნველობის სამსახურთან, როცა საქმე სამტრედიის სკოლაში ბავშვის გადამისამართებას ეხება.

როგორც თვისებრივი კვლევიდან ირკვევა, პრევენციის მიმართულებით სკოლებში იმართება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიერ ორგანიზებული აქტივობები, ტრენინგები, ანტიძალადობრივი, თამბაქოსა და ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო კამპანიები. რესპონდენტების ნაწილმა ხაზი გაუსვა მართლწესრიგის ოფიცრის აქტიურ (საპილოტე) თანამშრომლობას სკოლებთან, თუმცა, კონკრეტული თანამშრომლობის ღონისძიებები დასახელებული არ ყოფილა. აღნიშნულთან დაკავშირებით მართლწესრიგის ოფიცრებისგან მიღებული ინფორმაცია ასახულია კვლევის სხვა ნაწილში.

მანდატურის ფსიქოსოციალური ცენტრი ასევე აქტიურად თანამშრომლობს დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, თუმცა, ეს თანამშრომლობა სისტემურად გაწერილი და რეგულირებული ჯერ არ არის.

*„ეს ნაწილი ასაწყობი გვაქვს და ვმუშაობთ. ინფორმაციის გაცვლა- გამოცვლა არ ხდება ისე, როგორც უნდა მოხდეს. ახლა ვქმნით დოკუმენტს, სადაც ეს ყველაფერი გაწერილი იქნება, თავისი ფორმებით და ვადებით. “*

ამჟამად მანდატურის სამსახურს შეუძლია, რომ რეფერირებული ბავშვის თაობაზე კვარტალში ერთხელ, სოციალური მომსახურების სააგენტოდან ინფორმაცია გამოითხოვოს. ინფორმაციის გამოთხოვა შეიძლება განხორციელდეს გათვალისწინებული ვადისგან განსხვავებული წესითაც.[91]

კვლევის ფარგლებში მითითებები გაკეთდა გარკვეულ სირთულეებზეც. მანდატურის ფსიქოსოციალური ცენტრის წარმომადგენელთა განმარტებით, ზოგჯერ პოლიცია მათ მუშაობაში ხელს უშლის.

*„ადგილზე მოდის პოლიცია და სამწუხაროდ, ხშირად გვიშლის ხელს  მუშაობაში. ზოგჯერ ბავშვი გულახდილად გვიყვება რაღაცას და არ უნდა ამ დროს სხვასთან შეხვედრა. ზოგჯერ*

[91] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის #120 ბრძანება „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მ8.

*მშობლის ნახვაც არ უნდა. ეს ძალიან სენსიტიური საკითხია. ამ დროს მოდის პოლიცია და ბავშვი მიჰყავს.“*

მანდატურის ფსიქოსოციალური ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, მანდატურის სამსახური ძირითადად თანამშრომლობს სკოლების ადმინისტრაციასთან, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც სკოლებს არ სიამოვნებთ, ცალკეული შემთხვევების შესახებ მანდატურის მხრიდან სკოლის მიღმა არსებული სამსახურების ინფორმირება.

სკოლის წარმომადგენელთა განმარტებით, სოციალური მომსახურების სააგენტოში რეფერირება არ იყო ეფექტიანი და ამის გამო ახლა ბავშვებს მანდატურის ფსიქოსოციალურ ცენტრში გზავნიან:

*„სოციალური მომსახურების სააგენტოში ბავშვის გაგზავნა იყო ძალიან არაეფექტური. მუდმივად პრეტენზიები ჰქონდათ, სულ ჩხუბობდნენ და ჩვენ გვაკისრებდნენ პასუხისმგებლობას“.*

## მშობლებთან მუშაობა

კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან მშობლებთან მუშაობის ინტენსივობის გაზრდაც. კვლევის მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მშობლის ჩართულობა ძალადობის პრევენციის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია. მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი აღნიშნავს:

*„ოჯახის, კანონიერი წარმომადგენლის, მშობლის ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ვმუშაობთ მშობლებთან ცნობიერების ამაღლებაზე. როდესაც საქმე გვაქვს მაღალი ემოციური პრობლემების მქონე არასრულწლოვანთან, მშობელს ვასწავლით, მასთან როგორ უნდა იურთიერთოს.“*

ერთ-ერთი რესურსცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით, უნდა დაზუსტდეს მშობლის უფლება-მოვალეობები, რადგან ხშირად ისინი არაჯანსაღად აღიქვამენ სკოლის მხრიდან მათი ბავშვის მიმართ განხორციელებულ რეაგირებას და პირდაპირ შეურაცხყოფაზე გადადიან.

ერთ-ერთი სკოლის დირექტორის აზრით:

*„ძალიან მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობა... ზოგიერთი მშობელს არ აქვს მიმღებლობა. ამ შემთხვევაში (კონკრეტულ ფაქტზე საუბრობს) გამიმართლა, რომ ეს მშობელი სწორად იყო ჩართული ამ საქმეში და ეს დამეხმარა ყველაზე მეტად, სიმართლე რომ გითხრათ.“*





## ალკოჰოლზე და ნარკოტიკზე დამოკიდებულება

რაც შეეხება ალკოჰოლსა და ნარკოტიკზე დამოკიდებულებას, განათლების სისტემის წარმომადგენლების განცხადებით (როგორც პედაგოგების, ასევე დირექტორებისა და რესურს ცენტრის წარმომადგენლების), ამჟამად სკოლებში ეს პრობლემა ნაკლებად აქვთ. ერთ-ერთი დირექტორის განმარტებით:

*„გამორიცხულია, ეგეთი მოსწავლეები ჩვენ არ გვყავს. თამბაქოს მოხმარების ფაქტი სკოლაში წლების განმავლობაში არ გვქონია.“*

სახალხო დამცველის წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც ომბუდსმენის აპარატმა ჩაატარა კვლევა სკოლებთან დაკავშირებით, გამოიკვეთა, რომ ხშირია თამბაქოს მოხმარების ფაქტები, მათ შორის ხშირად სკოლის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ნაკლებად კონტროლდება.

# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელეობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში ჯანდაცვის სამინისტრო) ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფოს მიერ დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით. ძირითადად სამინისტრო თავის პრევენციულ როლს ახორციელებს სოციალური მომსახურეობის სააგენტოს მეშვეობით. სააგენტო მუშაობს სხვადასხვა ჯგუფებთან, მათ შორის სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვებთან.

სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვი არის ბავშვი, რომელზეც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, რომლებიც აფერხებს მის შესაძლებლობას, სათანადო მხარდაჭერის გარეშე გაიაზროს სხვადასხვა გამოწვევა, წინააღმდეგობა გაუწიოს და გაუმკლავდეს მათ და აღიდგინოს რესურსები, მათ შორის, ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან/და აზარტულ თამაშობაზე დამოკიდებულება, ბავშვობისას მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენა, კანონთან კონფლიქტში ყოფნა, ძალადობა და მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები.[92]

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვისა და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში სოციალური მუშაობის მნიშვნელოვანი მიმართულებებია: ბავშვის მხარდაჭერა, მისი საუკეთესო ინტერესის დაცვა, მეურვეობა, მზრუნველობა და საპროცესო წარმომადგენლობა; ბავშვის ძალადობისა და უგულებელყოფისგან დაცვის მიზნით ზომების მიღება; მიუსაფარი ბავშვისა და მისი ოჯახის საჭიროებების განსაზღვრა; ოჯახის მხარდაჭერა, პრევენცია, პირის

[92] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ 3.

სპეციალიზებული დაწესებულებიდან რეინტეგრაცია და მისი მდგომარეობის მონიტორინგი, 24-საათიანი ზრუნვის სისტემასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება; ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობაში დახმარების გაწევა; მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება; ბავშვის ძალადობისგან, პირის ოჯახში ძალადობისგან და ქალთა ძალადობისგან დაცვის მიზნით ზომების მიღება; ბავშვის 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის მიზნით განთავსებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, მათ მონიტორინგი და სხვ.[93]

დანაშაულის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია როგორც ოჯახის გაძლიერება და მხარდაჭერა, ასევე ძალადობის მსხვერპლთან შესაბამისი მუშაობა, ძალადობრივი ქცევის მქონე ბავშვებთან მუშაობა, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნების უფლებათა დაცვა, მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობა და სხვ.

მოცემული კვლევის ფარგლებში, შევეხებით მხოლოდ აღნიშნულ მიზნობრივ ჯგუფებთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა, თითოეული მიმართულება იმდენად ვრცელია, რომ მათი სრულად დაფარვა ერთი კვლევის ფარგლებში ვერ მოხდება. შესაბამისად, კვლევაში საუბარი იქნება მხოლოდ იმ ფაქტორებზე, რომლებიც უკავშირდება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას და რომელთა შესწავლაც თვისებრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა.

## ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები

ბავშვთა მიმართ ძალადობა არის არასრულწლოვნებში დანაშაულის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი. შესაბამისად, ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მიზნით, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (შემდგომში - რეფერირების) პროცედურებს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა უწყებებს შორის[94] კოორდინირებულად მუშაობის წესს, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს და უფლებამოსილი ორგანოების უფლება-მოვალეობებს. კანონმდებლობით განსაზღვრულია ძალადობის ფორმები, რომლებსაც შეიძლება ბავშვები დაექვემდებარონ და რაზეც სახელმწიფო უწყებებს შემუშავებული უნდა ჰქონდეთ რეაგირების ეფექტიანი ზომები. კერძოდ: ფიზიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, იძულება - უგულებელყოფა.[95]

[93] საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ", მ.16.
[94] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 1 (2).
[95] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 3.





რეფერირების სისტემა მოიცავს:

- ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას;
- ბავშვის მდგომარეობის შეფასებას;
- ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას;
- საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განცალკევებასა და განთავსებას ბავშვთა სათანადო სპეციალიზებულ დაწესებულებაში/თავშესაფარში/მინდობით აღზრდაში, რომელიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებასა და რეაბილიტაციას;
- ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობას.

რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტები არიან:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს პროკურატურა;
- სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი;
- საბავშვო ბაღები;
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური;
- საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები და თავშესაფრები;
- სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები);
- მუნიციპალიტეტების გამგეობა/მერია;
- საქართველოს განათლების სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დაწესებულებები და ამ სამინისტროთა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული/მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები.
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.[96]

სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან ბავშვის დასაცავად მიიღოს შესაბამისი ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები, მათ შორის, შექმნას ეფექტიანი მექანიზმები ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერისთვის, ბავშვის მიმართ ან ბავშვებს შორის ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციისთვის, დაზარალებული ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და მისი უფლებების აღდგენისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.[97]

ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ევალება რეფერირების პროცედურების ყველა დაწესებულებასა და ორგანოს, რომელსაც შეხება აქვს ბავშვებთან ან/და მათ ოჯახებთან ან იმ გარემოსთან, სადაც ბავშვი იმყოფება. უწყებების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, გადაამოწმონ ბავშვზე ძალადობასთან

[96] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 4-5.
[97] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 53, პ6.

დაკავშირებული შემთხვევა, განახორციელონ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და მართონ შემთხვევა.

ქვემოთ მოცემულია ბავშვთა მიმართ გამოცემული და ბავშვის თანდასწრებით ძალადობის შემთხვევებზე გაცემული ორდერების სტატისტიკა (2016-2018 წლის მონაცემები):

















დიაგრამებიდან ჩანს, რომ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობისა და ძალადობის დადასტურებული შემთხვევების მონაცემები წლიდან წლამდე მზარდია, რაც შესაძლოა, ძალადობის მსხვერპლთა ცნობიერების ამაღლებისა და შესაბამისი უწყებების მიერ ოჯახური ძალადობის კუთხით საქმიანობის გააქტიურების შედეგი იყოს. ამასთანავე, ვერც ოჯახური ძალადობის ფაქტები რეალურ ზრდას გამოვრიცხავთ.

ძალადობის მსხვერპლ ბავშვთათვის არსებული სერვისების შეფასება კვლევის ფარგლებში არ განხორციელებულა, თუმცა, სახალხო დამცველის ანგარიშების მეორადი ანალიზი

ცხადყოფს, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ბავშვის უსაფრთხოებისა და ინტერესების დაცვა, ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენა, მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირება და შემდგომში მათი შესაბამისი ფსიქოსოციალური სერვისებით მხარდაჭერა. ქვეყანაში ამ დრომდე არ არსებობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციისა და უსაფრთხოების დაცვის სისტემა და მხოლოდ რიგ შემთხვევებში, ისიც მინიმალურ დონეზეა უზრუნველყოფილი ბავშვთა ფსიქოლოგის ჩართულობა.

„საჭიროა, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე დროული რეაგირების მიზნით, სახელმწიფომ სრულად გაიაზროს ამ პროცესში სოციალური მუშაკის როლი და პასუხიმგებლობა და აღნიშნული პროფესიის წარმომადგენლებს მიეცეთ შესაძლებლობა, მათზე დაკისრებული ვალდებულებები სათანადო სამუშაო პირობებში შეასრულონ. ისინი უნდა სარგებლობდნენ დაცვისა და მხარდაჭერის მაღალი სტანდარტით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალური სისტემის რეფორმირებამდე განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ რჩებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, რომლებიც საზოგადოებისა და პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისგან ვერ იღებენ სათანადო მხარდაჭერას."[98]

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, წლებისა და რეგიონების მიხედვით ძალადობის შესახებ მიღებული შეტყობინებების სტატისტიკა ასე გამოიყურება:[99]

**2015 წელი**

| რეგიონი | ბავშვთა რაოდენობა |
|---|---|
| თბილისი | 199 |
| იმერეთი | 138 |
| კახეთი | 74 |
| შიდა ქართლი | 69 |
| აჭარა | 39 |
| სამცხე-ჯავახეთი | 22 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | 24 |
| გურია | 9 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 5 |
| ალტერნატიულ სერვისებში განთავსებულ ბავშვთა რაოდენობა | 94 |
| ჯამი | 694 |

[98] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 345.
[99] საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს 2019 წლის 8 ოქტომბრის #01/17274 წერილი.





**2016 წელი**

| რეგიონი | ბავშვთა რადენობა |
|---|---|
| თბილისი | 220 |
| იმერეთი | 122 |
| კახეთი | 75 |
| შიდა ქართლი | 91 |
| აჭარა | 32 |
| სამცხე-ჯავახეთი | 43 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | 36 |
| გურია | 8 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 6 |
| ქვემო ქართლი | 69 |
| მცხეთა-მთიანეთი | 53 |
| ალტერნატიულ სერვისებში განთავსებულ ბავშვთა რაოდენობა | 87 |
| ჯამი | 755 |

**2017 წელი**

| რეგიონი | შეტყობინებების რადენობა |
|---|---|
| თბილისი | 290 |
| იმერეთი | 118 |
| კახეთი | 103 |
| შიდა ქართლი | 56 |
| აჭარა | 50 |
| სამცხე-ჯავახეთი | 72 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | 32 |
| გურია | 18 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 1 |
| ქვემო ქართლი | 68 |
| მცხეთა-მთიანეთი | 32 |
| ალტერნატიულ სერვისებში განთავსებულ ბავშვთა რაოდენობა | 121 |
| ჯამი | 840 |

**2018 წელი**

| რეგიონი | ბავშვთა რადენობა |
|---|---|
| თბილისი | 1249 |
| იმერეთი | 177 |
| კახეთი | 169 |
| ქვემო ქართლი | 618 |
| აჭარა | 452 |
| სამცხე-ჯავახეთი | 104 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | 57 |
| გურია | 52 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 15 |
| შიდა ქართლი | 359 |
| მცხეთა-მთიანეთი | 82 |
| ალტერნატიულ სერვისებში განთავსებულ ბავშვთა რაოდენობა | 82 |
| ჯამი | 3334 |

**2019 წელი (7 თვის მონაცემები)**

| რეგიონი | ბავშვთა რადენობა |
|---|---|
| თბილისი | 735 |
| იმერეთი | 163 |
| კახეთი | 121 |
| შიდა ქართლი | 287 |
| აჭარა | 224 |
| სამცხე-ჯავახეთი | 101 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | 90 |
| გურია | 17 |
| რაჭა-ლეჩხუმი | 8 |
| ქვემო ქართლი | 389 |
| მცხეთა-მთიანეთი | 56 |
| ალტერნატიულ სერვისებში განთავსებულ ბავშვთა რაოდენობა | 97 |
| ჯამი | 2191 |





**უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გადმოგზავნილ ინფორმაციაში, ძალადობის შესახებ წლიური შეტყობინებების სტატისტიკა არ ემთხვევა იმავე წლის რეგიონული მაჩვენებლების ჯამს.*

კვლევის ფარგლებში გამოკითხული სოციალური მუშაკების განმარტებით, ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ისინი მაქსიმალურად მოკლე დროში რთავენ ყველა შესაძლო პროგრამაში, რათა არ გახდეს საჭირო მისი სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანა, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით პრევენციული კომპონენტი ძალიან სუსტია: თბილისში, მაგალითად მხოლოდ ორი ფსიქოლოგი მუშაობს. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის განმარტებით, არის შემთხვევები, როდესაც საჭიროა ფსიქოლოგის ჩართვა, თუმცა ეს ვერ ხერხდება:

> *„ჩვენი ფსიქოლოგი მეუბნება, რომ ფსიქოთერაპიას ვერ ჩაატარებს, რადგან დრო არ აქვს. თვითონ ბავშვს არ უნდა, რომ ჩემს გარეშე ვინმესთან იაროს. ერთი ბავშვის დედამ მითხრა, ბავშვს რომ ელაპარაკები და მიდიხარ, უფრო ვიძაბებით ყველანიო. მონახულების რეჟიმში ვარ და ინტერვენციას ვერ ვაკეთებ. მრცხვენია, რომ მივდივარ."*

თვისებრივი კვლევის პროცესში გაირკვა, რომ ფსიქოლოგებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქმეთა რაოდენობა. ფსიქოლოგთა განმარტებით, ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ისინი ურიგოდ იღებენ.

## ოჯახის გაძლიერების კომპონენტი

ბავშვის მიტოვების, დანაშაულის ჩადენისა და სხვა რისკების პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესია ოჯახის გაძლიერება და იმის ხელშეწყობა, რომ ბავშვის ინტერესები დაცული იყოს საკუთარ ოჯახში.

ბავშვის უფლებათა კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენციის მიზნით, მიიღოს სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოს ადეკვატური საცხოვრებელი პირობების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სერვისების, ინკლუზიური განათლების, უთანასწორო მოპყრობისა და ძალადობისგან დაცვის ეფექტიანი მექანიზმებისა და ყველა სხვა უფლების დაცვის გარანტიების ყველა ბავშვისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა.[100] კოდექსით განსაზღვრულია ოჯახის მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო ქმნის ბავშვის აღზრდისთვის

[100] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 57.

პასუხისმგებელი პირის მხარდაჭერის პროგრამებს მატერიალური და არამატერიალური დახმარების გაწევის მიზნით.[101]

საქართველოს მთავრობის #684 დადგენილებით, განსაზღვრულია სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება, ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება და ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის ღონისძიებები მოიცავს: კანონმდებლობით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფისათვის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას; აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით საყოფაცხოვრებო საქონლით უზრუნველყოფას (შესყიდვა და გადაცემა). ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2019 წელს განისაზღვრა 1 800 000 ლარით. ერთ ოჯახზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულება ამ ქვეპროგრამის ფარგლებში არ უნდა აღემატებოდეს 800 ლარს. მიწოდებული საქონლის ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება მატერიალიზებული ვაუჩერი, რომელიც განკუთვნილია მიწოდებული საქონლის დაფინანსებისათვის; ერთი ვაუჩერი ითვალისწინებს საკვები პროდუქტების დაფინანსებას ბენეფიციარზე გაცემული კვების პროდუქტების ფაქტობრივი ჯამური ღირებულების შესაბამისად, არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამას ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო.[102]

რაც შეეხება ოჯახის გაძლიერებისა და მხარდაჭერის კომპონენტს, თვისებრივი კვლევის ფარგლებში სოციალური მომსახურეობის სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ბავშვი, რომელსაც მზრუნველობამოკლებულის სტატუსი ერთხელ უკვე ჰქონდა, განმეორებით არ გახდეს ამ სტატუსის მატარებელი.

კვლევის ამავე მონაწილის განმარტებით, ამისთვის არსებობს სახელმწიფო პროგრამა რომელიც სოციალურ პროგრამებს მოიცავს. სოციალური პროგრამა, ისევე როგორც სოციალური მუშაკის მუშაობა დაყოფილია 3 მიმართულებით: პრევენცია, რეაბილიტაცია და რემედიაცია. შესაბამისად, პროგრამებიც ასეა დალაგებული. პრევენციული ოჯახის მხარდამჭერი პროგრამები არსებობს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. სერვისი შესაძლოა, მოიცავდეს დღის ცენტრის მომსახურებას როგორც ჯანმრთელი, ისე შშმ ბავშვებისთვის. შესაძლოა, ეს იყოს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვის ან ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა, რეაბილიტაცია/აბილიტაციის ან ადრეული განვითარების ქვეპროგრამა. რესპონდენტმა ასევე ხაზი გაუსვა სერვისების ნაწილში არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობას.

> *„ძალიან ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებიც არიან ჩართულნი ამ საქმეში. განსაკუთრებით მაშინ, როცა ოჯახში კრიზისია. სახელმწიფოს ფინანსური მექანიზმი არ არის მოქნილი და გარკვეული დრო სჭირდება სახელმწიფო პროგრამიდან დახმარების მიღებას. ამ მხრივ ძალიან კარგი თანამშრომლობა გვაქვს არასამთავრობო სექტორთან. კიდევ შეიძლება*

[101] იქვე, მუხლი 28.

[102] საქართველოს მთავრობის დადგენილება #684, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, მუხლი 2-3.





> *რამე საჭიროება გამოიკვეთოს, მაგალითად, საცხოვრებელი ფართის ან ბინის ქირის. აქ უკვე თვითმმართველობებთან გვიწევს თანამშრომლოა და აი, ასეთი მულტისექტორული თანამშრომლობით ვახორციელებთ ოჯახის გაძლიერებას.“*

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, დღის ცენტრებში ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან როგორც კვებით, ასევე ფსიქოსოციალური სერვისებითა და არაფორმალური განათლების შესაძლებლობებით.

თუმცა, კვლევის მონაწილეები საუბრობენ არსებულ გამოწვევებზეც. მათი განმარტებით, ოჯახის დახმარების არსებული ფინანსური მექანიზმი არ არის მოქნილი.

ასევე აღინიშნა, რომ ოჯახებს მატერიალური დახმარების გარდასხვა დახმარებაც სჭირდებათ, რადგან არ იციან მაგ. ბიუჯეტის დაგეგმვა, და არ აქვს ბევრი საჭირო უნარ-ჩვევა.

> *„ისინი კრიტიკულ სიტუაციაში არასწორ გადაწყვეტილებებს იღებენ და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ისევ ნაჩუქარი მაცივრის გარეშე დარჩნენ. მატერიალურ დახმარებაზე მეტად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში სჭირდებათ დახმარება. ასეთი პროგრამები არ არის.“*

ძალიან მნისვნელოვანია, რომ იყვნენ ისეთი პროფესიონალები, რომლებსაც ამ სერვისის მოწოდების უნარი აქვთ. ამავე კვლევის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმაც განმარტა, რომ ბავშვის ან მისი მშობლის ფსიქოლოგიური სერვისით მომსახურება, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ბავშვს ოჯახი შეუნარჩუნდეს, ვერ ხერხდება.

კვლევის რესპონდენტი სოციალური მუშაკები საუბრობენ არსებული ოჯახის გაძლიერების სერვისების მოუქნელობაზეც. მათი განცხადებით, როგორც ოჯახის კრიზისული დახმარების, ასევე მწვავე/გადაუდებელი კრიზისული დახმარების სერვისში ჩართვის პროცედურა საკმაოდ ბიუროკრატიულია:

> *„მწვავე ჰქვია შემთხვევას - ბავშვს, შესაძლოა, შიმშილის გამო რამე დაემართოს და ამ დროს საკითხის გარკვევას 1 თვე სჭირდება. მეორე პროგრამაში (არა გადაუდებელში) თუ ჩასვი, 3-4 წელი უწევს ლოდინი.“*

> *„ხშირად არის ხოლმე, რომ ბავშვს სჭირდება ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, სასკოლო ნივთები, ჩანთა, მაგრამ აქედან არაფერს არ ყიდულობენ. უფრო ხშირად რასაც ყიდულობენ, ეს არის მაგიდა, საწოლი და საკვები.“*

კვლევის ამავე მონაწილის განმარტებით, უფრო ეფექტიანად მუშაობს მწვავე კრიზისული ინტერვენციის ქვეპროგრამა, თუმცა მეორე და მესამე დღეს რეაგირება არც იქ ხდება.

კვლევის კიდევ ერთი რესპონდენტის განცხადებით, ოჯახიდან ბავშვის გაყვანა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა გამოსავალი არ არსებობს ან ბავშვის კეთილდღეობას საფრთხე ექმნება. სხვა შემთხვევებში, თუ მაგალითად ოჯახს მხოლოდ ფინანსურად უჭირს, ცდილობენ, რომ ოჯახი გააძლიერონ. დანარჩენი რესპონდენტების მსგავსად, კვლევის ამ მონაწილემაც დაადასტურა, რომ მშობლებს არ აქვთ შესაბამისი უნარ-ჩვევები და სწორად ვერ საზღვრავენ საჭიროებებს.

კვლევის კიდევ ერთი მონაწილე ხაზს უსვამს, რომ არსებობს ოჯახის გაძლიერების ხელშემწყოფი ქვეპროგრამა, რაც გულისხმობს მიტოვების რისკის მქონე ბავშვთა დღის ცენტრებს, ასევე კრიზისული ინტერვენციის პროგრამას, თუმცა, აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ჩარევისთვის ფორმის შევსება უფრო ბიუროკრატიული გახდა და ბევრ დროს მოითხოვს.

აქვე რესპონდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ მწვავე კრიზისის პროგრამა რეალურად ვერ უზრუნველყოფს ამ მდგმარეობიდან ოჯახის ამოყვანას.

იმ ფაქტს, რომ კრიზისული ინტერვენციის პროგრამა რეალურად ვერ მუშაობს, ადასტურებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც. მათი აზრით ეს არ არის ოჯახის გაძლიერება. რეალური დახმარება და გაძლიერება არის დღის ცენტრები, რომლებიც ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იმართება და სერვისის დიდი ნაწილის ანაზღაურებაც (მათი განმარტებით დაახლოებით 80%) მათ საკუთარი ხარჯით უწევთ, რადგან სახელმწიფოს მიერ გაცემული ვაუჩერი ამ ხარჯებს ვერ ფარავს.

> *„დაფინანსება რომ გაიზარდოს, მოთხოვნა უნდა იყოს. ხალხმა არ იცის, რომ ეს სერვისი ეკუთვნით. ძალიან ბევრმა არ იცის, მაგრამ რომ იგებს და მიდის, მერე იქ მომლოდინეთა სიაში წლობით უწევს ლოდინი და ამასობაში გახდება ბავშვი 18 წლის ან ამოყოფს თავს სხვაგან.“*

არასამთავრობო ორგანზიაციების განმარტებით, დღის ცენტრის პროგრამა ითვალისწინებს კვებას, სოციალიზაციას, დამატებით განათლებას, თუმცა 6-ლარიანი ვაუჩერით ამის მიღწევა შეუძლებელია.

> *„ცენტრში ვცდილობთ, რომ ბავშვებს ბევრი სერვისი მივაწოდოთ, მაგრამ პროგრამა ითვალისწინებს მინიმალურს.“*

> *„გამორიცხულია, რომ დღის ცენტრში რისკის ჯგუფის ბავშვებთან მუშაობა საბიუჯეტო თანხით ვინმემ შეძლოს, თუნდაც უხარისხოდ. უბრალოდ, გამორიცხულია.“*

არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ რისკჯგუფში მყოფ ბავშვებში სახელმწიფო მოიაზრებს სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვებს, თუმცა, შესაძლოა ოჯახს არ ჰქონდეს სოციალურად დაუცველის სტატუსი, მაგრამ სხვა რისკები არსებობდეს. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის განმარტებით, რისკჯგუფის მხარდაჭერის სერვისი, საქართველოში არ არის და ამ სერვისის შესაქმნელად მთელი რიგი ნაბიჯებია გადასადგმელი. პირველ რიგში კი მნიშვნელოვანია რისკჯგუფების განსაზღვრა და იდენტიფიცირება.

ასევე დღის ცენტრში უნდა არსებობდეს მხარდამჭერი, დამხმარე და სარეაბილიტაციო სერვისები.

კანონმდებლობაში საუბარია ოჯახის განვითარების მრავალმხრივ კომპონენტზე, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მატერიალურ მხარდაჭერას, არამედ მშობლების დახმარებას აღზრდის პოზიტიური მეთოდების შესახებ, მათ ფსიქოემოციურ მხარდაჭერას, თემზე დაფუძნებული სერვისების ხელმისაწვდომობას, მედიაციისა და შერიგების სერვისის





განვითარებას, მოზარდთა მხარდაჭერის პროგრამებს, რაც ამ ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი არ არის. რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამების იმ მწირ სპექტრს, რაც არსებობს, მათი ბიუროკრატიულობიდან გამომდინარე, სერვისში ოჯახების ჩართვა დროში იწელება და არ აქვს სისტემატიური ხასიათი. წელიწადში ერთჯერადად ამ მოცულობის დახმარების მიღება, ისიც საკმაოდ დიდი დაგვიანებით, ვერ უზრუნველყოფს ოჯახის გაძლიერებას და ბავშვის მიტოვების პრევენციას. ყველა ბავშვს აქვს უფლება ცხოვრების ისეთ სტანდარტზე, რომელიც შეესაბამება მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფომ რესურსების ფარგლებში უნდა გაუწიოს მშობელს ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული მიზნობრივი მატერიალური და არამატერიალური დახმარება და განახორციელოს მხარდაჭერის პროგრამები, განსაკუთრებით – საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის მიზნით.[103]

## სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვები

არსებული კანონმდებლობით სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს დროებით ან სამუდამოდ მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის, აგრეთვე იმ ბავშვის განსაკუთრებული დაცვა და მხარდაჭერა, რომლის ოჯახში დარჩენა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება. თუ ალტერნატიული ზრუნვის მიზნით ბავშვის განთავსება აუცილებელია და ალტერნატიული ზრუნვის ფორმა სრულად შეესაბამება ბავშვის უფლებათა დაცვისა და ბავშვზე ზრუნვის როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, უფლებამოსილი ორგანო იღებს ალტერნატიული ზრუნვის მიზნით ბავშვის განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი პროფესიული კადრებით დაკომპლექტებული მულტიდისციპლინური ჯგუფის შეფასებისა და რეკომენდაციის საფუძველზე, ბავშვის მონაწილეობით და ბავშვის ინტერესებისთვის მორგებული პროცედურების დაცვით.[104]

საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ ადგენს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის წესებსა და პირობებს, აწესრიგებს ურთიერთობებს, რომლებიც შვილად აყვანისას/მინდობით აღზრდისას წარმოიშობა სახელმწიფოსა და მშვილებელს/მინდობით აღმზრდელს შორის.[105] ბავშვის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის თაობაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს მისთვის ისეთი სტაბილური ოჯახური გარემოს შექმნას, რომელიც ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, აღემატება მინდობით აღზრდის მიზნით გადაცემისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს და რომელშიც ბავშვს ექნება იმაზე უკეთესი

---

[103] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 46.
[104] იქვე, მუხლი 29.
[105] საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, მ.1.

პირობები და განვითარების შესაძლებლობები, რომლებიც შვილად აყვანამდე ან მინდობით აღზრდამდე ჰქონდა.[106]

შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის პროცესის კოორდინირება ევალება სოციალური მომსახურების სააგენტოს.[107]

მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს, როგორც სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს, გარკვეული სახის უფლებამოსილება აქვს მინდობით აღზრდის სფეროში. კერძოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო უზრუნველყოფს: თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ბავშვის უფლებების დაცვას; ბავშვის გაშვილების მსურველი პირისთვის და ბავშვის მიტოვების მსურველი პირისთვის კონსულტაციის გაწევას; ბავშვისთვის საჭირო კონსულტაციის გაწევას მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით; მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის შეფასებასა და რეგისტრაციას; მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირის, მინდობით აღზრდის მსურველი პირის, მინდობით აღსაზრდელისა და მინდობით აღმზრდელის რეგისტრაციას და აღნიშნულ პირთა შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებას; მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის თავსებადობის შეფასებას; მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებას და ამ გეგმის განხორციელების მონიტორინგს; მინდობით აღსაზრდელის საცხოვრებელი პირობების, აღზრდა-განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობას, აგრეთვე მინდობით აღმზრდელის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების ზედამხედველობას, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებას და ამ გეგმის განხორციელების მონიტორინგს. [108]

კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ახორციელებს ბავშვის უთანასწორო მოპყრობისგან დასაცავად, მათ შორის, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის დისკრიმინაციისგან, სტიგმისა და გარიყვისგან დასაცავად, საჭირო ყველა ადმინისტრაციულ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებას.[109] ყველა ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სერვისების (მათ შორის, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, სტაციონარული მომსახურების, რეაბილიტაციის) გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობით. ბავშვისთვის შეთავაზებული და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისი განვითარების ხელშემწყობი სოციალური აქტივობის პროგრამები; სოციალური აქტივობის პროგრამის ძირითადი მიმართულებები შეიძლება იყოს: არაფორმალური განათლება, გონებრივი განვითარებისა და ფიზიკური აქტივობის

[106] იქვე, მ.4 (2).
[107] იქვე, მ.6
[108] იქვე, მ.7.
[109] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ 7





ხელშემწყობი სპორტული და გასართობი ღონისძიებები; სასკოლო ან შრომით ვალდებულებებსა და ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ღონისძიებები; საერთაშორისო ახალგაზრდული პროგრამები; ბავშვთა დასვენების პროგრამები; ბავშვთა საკონსულტაციო პროგრამები; კულტურული და სახელოვნებო პროგრამები; წინაპროფესიული უნარ-ჩვევების განმავითარებელი პროგრამები.[110]

საქართველოს მთავრობის დადგენილებით ყოველწლიურად მტკიცდება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამები. 2019 წლის პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა.[111]

ასევე ამავე პროგრამით დამტკიცებულია მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებია ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები ან ჩასარიცხი 6-დან 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდაში განთავსება ვერ ხერხდება. ასევე, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები 18 წლის ასაკს გადაცილებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები. მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბენეფიციარის მომსახურების დაფინანსების ოდენობა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისათვის შეადგენს დღეში 30 ლარს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არმქონე ბავშვებისთვის – დღეში 20 ლარს.

2019 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 2 691 200 ლარი. საქართველოს მასშტაბით განსაზღვრულია 388 ადგილი, სადაც შესაძლებელია ასეთი საჭიროების მქონე ბავშვების განთავსება. იხილეთ დეტალური ცხრილი:

| ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული | | ლიმიტი |
|---|---|---|
| 1. | ქ. თბილისი | 124 |
| 2. | ქ. რუსთავი | 8 |
| 3. | გარდაბნის მუნიციპალიტეტი | 18 |
| 4. | მცხეთის მუნიციპალიტეტი | 20 |
| 5. | დუშეთის მუნიციპალიტეტი | 8 |
| 6. | ქ. ქუთაისი | 57 |
| 7. | ხონის მუნიციპალიტეტი | 10 |
| 8. | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი | 8 |
| 9. | საჩხერის მუნიციპალიტეტი | 8 |
| 10. | ქ. ბათუმი | 6 |

[110] იქვე მ.50.
[111] საქართველოს მთავრობის #145 დადგენილება სოციალური დახმარების შესახებ, მ $10^4$.

| | | |
|---|---|---|
| 12. | თელავის მუნიციპალიტეტი | 25 |
| 13. | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | 10 |
| 14. | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | 16 |
| 15. | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი | 8 |
| 16. | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი | 16 |
| 17. | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი | 8 |
| 18. | ამბროლაურის მუნიციპალიტეტი | 8 |
| 19. | გორის მუნიციპალიტეტი | 10 |
| 20. | ხაშურის მუნიციპალიტეტი | 20 |
| სულ | | 388 |

მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვის განთავსების წესი და პროცედურა დადგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №52/ნ ბრძანებით -„სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ."




საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის მიზეზების შესახებ 2017-2018 წლის მონაცემები ასე გამოიყურება:

| **წელი** | **ძალადობა, უგულებელყოფა** | **ეკონომიკური სიდუხჭირე** | **მშობლების ჯანმრთელობის მძიმე** | **მშობლების მხრიდან მიტოვება** | **ბავშვის ქცევა** |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მდგომარეობა | | |
| 2017 | 71% | 17% | 2% | 10% | - |
| 2018 | 72,4% | 19% | 1,6% | 5,4% | 1,6% |





წლებისა და რეგიონების მიხედვით, სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვთა გადაყვანის (ახალი შემთხვევების) სტატისტიკა ასეთია:

| წლები | 2015 | | 2016 | | 2017 | | 2018 | | 2019 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბავშვთა რაოდ. | | ბავშვთა რაოდ. | | ბავშვთა რაოდ. | | ბავშვთა რაოდ. | | ბავშვთა რაოდ. | |
| რეგიონი | მინდობით აღზრდა | მცირე საოჯახო | მინდობით აღზრდა | მცირე საოჯახო | მინდობით აღზრდა | მცირე საოჯახო | მინდობით აღზრდა | მცირე საოჯახო | მინდობით აღზრდა | მცირე საოჯახო |
| რაჭა-ლეჩხ./ქვემო სვანეთი | 0 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 |
| აჭარა | 11 | 3 | 4 | 23 | 3 | 13 | 2 | 7 | 1 | 5 |
| გურია | 19 | 3 | 24 | 1 | 24 | 9 | 19 | 1 | 23 | 13 |
| თბილისი | 78 | 34 | 134 | 32 | 75 | 48 | 51 | 43 | 47 | 50 |
| იმერეთი | 39 | 22 | 38 | 11 | 18 | 15 | 44 | 29 | 30 | 26 |
| კახეთი | 36 | 19 | 38 | 10 | 0 | 11 | 66 | 12 | 68 | 10 |
| მცხეთა-მთიანეთი | 12 | 3 | 19 | 2 | 56 | 4 | 10 | 3 | 6 | 5 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 8 | 6 | 31 | 12 | 17 | 8 | 8 | 8 | 1 | 1 |
| ქვემო ქართლი | 11 | 3 | 32 | 13 | 17 | 3 | 34 | 5 | 11 | 8 |
| შიდა ქართლი | 14 | 11 | 33 | 11 | 24 | 8 | 11 | 16 | 12 | 6 |
| სამცხე-ჯავახეთი | 11 | 0 | 33 | 0 | 27 | 4 | 31 | 3 | 16 | 5 |

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილები ცხადყოფს, ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის უმთავრესი მიზეზი ძალადობაა, მეორე ადგილზე კი ეკონომიკური პირობებია.

როგორც სახელმწიფოს, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, რომლებიც კვლევაში მონაწილეობდნენ, დადებითად შეაფასეს ის რეფორმა, რომელიც წლების წინ დაიწყო ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში და რომელიც დიდი ზომის ინსტიტუციების გაუქმებასა და ბავშვებისთვის ოჯახთან მიახლოებული გარემოს შექმნას გულისხმობდა. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმას (მის თავდაპირველ ეტაპს) დადებითად აფასებენ

ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენლებიც, თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ რეფორმის დაწყებიდან დაახლოებით ათი წლის შემდეგ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა ისევ სერიოზული კრიზისის წინაშე დგას.

სახელმწიფო სტრუქტურების (სამინისტროს) თანამშრომლებიც მიიჩნევენ, რომ რეფორმის დაწყებამდე არსებობდა სავალალო მდგომარეობა და დიდი ზომის ინსტიტუციებში ბავშვთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა და განვითარების შესაძლებლობები არ იყო სახარბიელო. შესაბამისად, როდესაც მუშაობა მიმდინარეობდა მათთვის მზრუნველობის ფორმის შესარჩევად, პრიორიტეტი ენიჭებოდა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებას, თუ ეს არ ეწინააღმდეგებოდა ბავშვი ინტერესებს. ოჯახში დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში კი ხდებოდა ბავშვის მინდობით აღზრდაში გადაყვანა. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ შედარებით დიდი ასაკის ბავშვებმა, რომლებსაც გამოცდილება უკვე ჰქონდათ, თავიდანვე უარი თქვეს მინდობით ოჯახში განთავსებაზე და მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლებში გადავიდნენ. მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებით, რეფორმის შედეგად ბავშვებისთვის შეიქმნა ისეთი გარემო, სადაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, თვითონ ჩართულიყვნენ პროცესებში და შეეძინათ ყოფითი უნარ-ჩვევები. ყველა მოდელში ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებაზე პასუხისმგებელი იყო კონკრეტული აღმზრდელი, რომელიც ინდივიდუალური განვითარების გეგმას ადგენდა. ამ მიმართულებით აღმზრდელებიც გადამზადდნენ. ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესს ზედმხედველობდა სოციალური მუშაკი.

ერთ-ერთი რესპონდეტის განმარტებით, ამჟამად საქართველოს მასშტაბით ფუქნციონირებს 47 მცირე საოჯახო ტიპის სახლი. ეს სახლდები რამდენიმე სახისაა. პოლონური მოდელის მიხედვით, სახლში საქმიანობენ აღმზრდელები და ლიდერი. აღმზრდელები იცვლება ცვლის მიხედვით. ასევე არის ერთი ლიდერი, რომელიც ყოველდღიურად მუშაობს (ამ ტიპის სახლში მაქსიმალურად თავსდება 10 ბავშვი). ბრიტანული მოდელი - სადაც არის დედობილ-მამობილი და ჩამნაცვლებელი - შაბათ-კვირის დედობილ-მამობილი (ამ მოდელში არის მაქსიმუმ 8 ბავშვი). არსებობს კიდევ ერთი მოდელი, სადაც არის დედა და დამხმარე დეიდა (თავსდება 5 ბავშვი). კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების განმარტებით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში სოციალური მუშაკი აფასებს ბავშვის მდგომარეობას, გამოკვეთს ბავშვის საჭიროებებს და წერს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმას აღმზრდელთან და ბავშვთან ერთად. ამის შემდეგ უკვე აღმზრდელი ადგენს თავისი მომსახურების გეგმას. გეგმაში შედის სამედიცინო, განვითარებისა და სოციალიზაციის საკითხები.

სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებით, თუ ადრე სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვები ეკონომიკური პრობლემების გამო გადაჰყავდათ, ახლა წამყვანი ფაქტორი ძალადობა გახდა (რასაც მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციაც მოწმობს). მისივე განმარტებით, ასეთ შემთხვევებში პირველი ალტერნატივა სახელმწიფოსთვის არის ბავშვის მესამე პირთან განთავსება, ან ნათესაური მინდობითი





აღზრდა. თუ ეს არ ხერხდება, მაშინ სახელმწიფო მას სთავაზობს 24-საათიან მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურებას, რომელიც ოჯახთან ძალიან მიახლოებული მომსახურებაა, ანდა მინდობით აღზრდას.

ისევე როგორც ბიოლოგიურ ოჯახში, მცირე საოჯახო ტიპის სახლებშიც ბავშვებს აქვთ სხვადასხვა ტიპის საჭიროებები. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ოჯახიდან გამოყვანილ ბავშვებს ხშირად აქვთ ძალადობის გამოცდილება, ნაწილს ახასიათებს რთული ქცევა, რაც მათ საჭიროებებს შემდგომი პრევენციისა და რეინტეგრაციის კუთხით კიდევ უფრო ზრდის.

როგორც თვისებრივი კვლევიდან ირკვევა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების ფსიქოლოგიურ მომსახურებას ახორციელებენ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგები, ხოლო ფსიქიატრიული მომსახურების საჭიროების შემთხვევაში ფსიქონევროლოგიური დისპანსერები. სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, ფსიქიატრის ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან ბავშვთა ფსიქიატრი ყველგან არ არის. ფსიქონევროლოგიურ დისპანსერებში ხდება ბავშვის დარეგისტრირება, თუმცა თუ არის სტაციონარული ფსიქიატრიული მომსახურების საჭიროება, ეს სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ თბილისში. რესპონდენტთა უმრავლესობის მოსაზრებით, ფსიქოთერაპიის ჩატარება სააგენტოს ფსიქოლოგის ვალდებულებაში არ შედის. თუმცა, თავად ფსიქოლოგისა და რესპონდენტთა ნაწილის განმარტებითაც, სააგენტოს ფსიქოლოგი ფსიქოთერაპიას მაინც ატარებს. კვლევა ასევე ცხადყოფს, რომ ფსიქოთერაპიული მომსახურების მისაღებად ბავშვებს ხშირად უწევთ რიგში დგომა, რადგან ადამიანური რესურსი საკმარისი არ არის. თითო რეგიონში სააგენტოს თითო ფსიქოლოგი ჰყავს. თბილისსა და ქუთაისს ბოლო პერიოდში დაემატა კიდევ თითო-თითო ფსიქოლოგი; რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგის მომსახურება საკმაოდ ძვირადღირებული სერვისია, რომლის მისაწოდებლადაც სახელმწიფოს მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა საკმარისი არ არის. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, უფასო ფსიქოთერაპიული მომსახურება სამწუხაროდ, არ არსებობს, ეს სერვისი კი ძალიან საჭიროა:

> *„ზოგს ცუდი ინსტიტუციური გამოცდილება აქვს, ზოგი ძალადობის მსხვერპლია, ზოგი ქუჩაში ცხოვრობდა. ისინი მოკლებულნი იყვნენ მშობლების ზრუნვას, აქვთ ქცევის პრობლემა და ფსიქოთერაპიის კურსი აუცილებლად სჭირდებათ.“*

ამავე რესპონდენტის განცხადებით, ფსიქოთერაპიული სერვისის არარსებობის გამო, ასეთ ბავშვებს ძალიან ხშირად მდგომარეობა უმწვავდებათ, რის გამოც მათი ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაყვანა ხდება საჭირო. დროული ფსიქოთერაპიული სერვისის მიწოდებას კი ასეთი გამწვავების პრევენცია შეუძლია.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის სხვა საკითხებს, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მოთავსებული ბავშვები სარგებლობენ საყოველთაო დაზღვევის პაკეტით. ამ კუთხითაც არსებობს მთელი რიგი საჭიროებები. კერძოდ. კვლევის მონაცემებით, გამოწვევად რჩება

სტომატოლოგიური სერვისის მიღება და ძვირადღირებული ამბულატორიული კვლევები (მაგალითად მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია), რომელსაც საყოველთაო დაზღვევის პაკეტი არ ფარავს. ამ ტიპის საჭიროებების არსებობისას, მომსახურების თანხას იხდის სერვისის მიმწოდებელი. სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, თუ რაიმე ტიპის სერვისი არ შედის საყოველთაო დაზღვევაში, ისინი მიმართავენ ჯანდაცვის სამინისტროში არსებულ რეფერალური დახმარების კომისიას და მისივე განმარტებით, არ ყოფილა შემთხვევა, რომ საჭირო სერვისი არ დაფინანსებულიყო, თუმცა ეს არ მოიცავს სტომატოლოგიას.

რაც შეეხება ქცევის კორექციის/დანაშაულის პრევენციის მიმართულებით არსებულ სერვისებს, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებით,ასეთი სერვისების მიწოდება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ თვითონ სერვისის მიმწოდებელი დაგეგმავს რაიმე ტრენინგს. პრევენცია შესაძლოა განხორციელდეს აღმზრდელების ინდივიდუალური მუშაობის ფორმით, შესაძლებელია მანდატურის სამსახურის სერვისში ჩართვაც (რადგან 9 კლასის ჩათვლით ყველა ბავშვი სავალდებულოდ დადის სკოლაში, შესაბამისად ისინი განეკუთვნებიან მანდატურის სამსახურის სამიზნე ჯგუფს). სხვა მხრივ ასეთი სერვისები ხელმისაწვდომი არ არის. კვლევის ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ გამოწვევას წარმოადგენს მომსახურებების სიმწირე, განსაკუთრებით კი სარეაბილიტაციო მომსახურების არარსებობა, რაც ძალადობის მსხვერპლისთვის აუცილებელია:

*„ფსიქოლოგის ჩართულობა და ოკუპაციური თერაპევტის დახმარება აუცილებელია“.*

სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებით, სერვისის მიწოდება არასამთავრობო სექტორის დახმარებით ხდება:

*„საჭიროა სარეაბილიტაციო სერვისის შექმნა. წლებია, გვჭირდება, იმიტომ, რომ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ესაჭიროებათ ასეთი სარეაბილიტაციო მომსახურება. ასეთი მომსახურება ახლა არ არის.“*

რაც შეეხება სკოლების მხრიდან არსებულ სტიგმას სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების მიმართ, სააგენტოს წარმომადგენელი ადასტურებს, რომ ასეთი დამოკიდებულება ნამდვილად არსებობს და ხშირად ითხოვდნენ, სკოლებიდან ასეთი ბავშვების გადაყვანას, თუმცა, თანდათან ეს პრობლემა გვარდება:

*„არ უნდათ, რომ მათ სკოლაში იაროს, მაგრამ სკოლა ტერიტორიულად ახლოს არის და უარის თქმის უფლება არა აქვს. ყოფილა შემთხვევა, რომ უთქვამთ, გადაიყვანეთ აქედან, მისი ქცევა ხელს უშლის სხვა ბავშვებს და ა. შ. როდესაც ბავშვის ასეთ სტიგმატიზაციას ახდენენ, ეს ბავშვზეც უარყოფითად მოქმედებს. ახლა ნელ-ნელა სწორდება ეს პრობლემა.“*

ამავე რესპონდენტის განმარტებით მსგავს შემთხვევებში ერთვება სოციალური მუშაკი, როგორც კანონიერი წარმომადგენელი და წარმოქმნილის პრობლემის მოგვარებას ცდილობს.

კვლევის რამდენიმე მონაწილე საუბრობს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არსებულ ძალადობის პრობლემებზე. მათი განმარტებით, ბავშვებს შორის ხშირად ხდება ძალადობა.





მომსახურების მიმწოდებლები ვალდებულები არიან, რომ მუდმივად თვალყური ადევნონ ბავშვებს. ამ დროს შესაძლოა, მოხდეს ბავშვების სხვადასხვა ოთახში გადაყვანა, თუმცა, რისკი მაინც რჩება, რადგან ეს ბავშვები ეზოში ისევ ხვდებიან ერთმანეთს და ეს საფრთხეები სულ არის.

რამდენიმე რესპონდენტის განცხადებით, რჩება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფომ მცირე საოჯახო ტიპის სახლები მთლიანად სერვისპროვაიდერებს გადააბარა.

*„ეს სერვისი თუ არ განვითარდა, ის აუცილებლად უკუგანვითარებას განიცდის და უარყოფითი პროცესი წავა, თუ უკვე წასული არ არის.“*

რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ აღმზრდელთა ნაწილს ძალადობის გამოვლენა არ შეუძლია. მათი განმარტებით, სახელმწიფოს არ აქვს იმ პრობლემების დაძლევის რესურსი, რის გამოც ბავშვი მცირე საოჯახო ტიპის სახლში ხვდება.

*„სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ ბავშვების ყოფნის შემთხვევაში ძალიან ხშირად გვხვდება განმეორებითი ძალადობის ფაქტები, მათ შორის, სისტემაში. აქ მთავარი პრობლემა არის სერვისების არარსებობა და არა ნაკლებობა. არის რეგიონები, სადაც მხოლოდ ერთი ფსიქოლოგის იმედად არიან დარჩენილები და არის რეგიონები, სადაც ფსიქოლოგი საერთოდ არ ჰყავთ.“*

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ არის სექსუალური ძალადობის შემთხვევები მცირე საოჯახო ტიპის სახლებშიც და გამოძიება იწყება. თუმცა, სანამ გამოძიება დასრულდება, ეს ბავშვები (მსხვერპლი და მოძალადე) ერთ სივრცეში რჩებიან, არ ხდება მათი განცალკევება:

*„მათთან არ მუშაობს ფსიქოლოგი, არიან აღმზრდელების იმედად. აღმზრდელებს ასეთი შემთხვევების მართვა უჭირთ. რეალურად, მათი პროფესიონალიზმის იმედი ვერ გვექნება. აქ უნდა იყოს ჩართული ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი. ტრამვის მქონე ბავშვს, რომელსაც სიბნელის შიში აქვს, არის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი და არსებობს იმის საფრთხე, რომ კიდევ გახდეს ძალადობის მსხვერპლი მისი თანატოლის მხრიდან, ნათურა არ ჰქონდა ღამე ოთახში. ამ დროს მისი აღმზრდელი გონზე არ არის და არ იცის, ამ ბავშვს რა სჭირდება.“*

ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, მინდობით აღმზრდელებს არ სურთ სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონე ბავშვების მიღება, სხვა სერვისი კი არ არის.

*„ფსიქოლოგების ჩართულობა არის ფრაგმენტული. ფსიქოლოგი ერთხელ მიდის, აფასებს და მორჩა. თერაპიული კუთხით მუშაობა, ფაქტობრივად, არ ხდება. მაგალითად, 2018 წლის დასაწყისში რომ დაწერა ფსიქოლოგმა დასკვნა, რომ არსებობს ამ სახლში სექსუალური ძალადობის ნიშნები და სავარაუდოდ, მოხდა სექსუალური ძალადობის ფაქტი და დაიწყო გამოძიება, სანამ ეს ბავშვი სრულწლოვანი არ გახდა და არ ამოირიცხა მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან, მანამდე ისევ მოძალადესთან ერთად ცხოვრობდა და სავარაუდოდ, კიდევ იყო ძალადობის შემთხვევა.“*

კვლევის რესპონდენტთა ნაწილი გამოწვევად მიიჩნევს არაორგანიზებული თავისუფალი დროის არსებობას. მათი განმარტებით ბავშვებს აქვთ ძალიან ბევრი თავისუფალი დრო,

მაშინ როდესაც მთელი დღე უნდა იყოს გაწერილი, რაც პრევენციის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია. კვლევის რამდენიმე მონაწილის განმარტებით, რადგან მცირე საოჯახო ტიპის სახლების სოციალური მუშაკების ნაწილი ხშირად თავს ვერ ართმევს ბავშვის რთული ქცევის მართვას, ცდილობენ ბავშვი უბრალოდ სხვა საოჯახო სახლში გადაიყვანონ და „მოიცილონ“ თავიდან - რეალურად ბავშვის საჭიროებების გათვალისწინება არ ხდება. შესაბამისად, ზოგჯერ ბავშვი ისე გადაჰყავთ სხვა მცირე საოჯახო ტიპის სახლში, რომ ფუთავენ ვითომ სხვა პრობლემით და რეალურად კი თავიანთ პრობლემას სხვას გადასცემენ.

კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბავშვებს შორის გაუგებრობა ხდება, თუმცა ასეთ შემთხვევში ერთვება სააგენტოს ფსიქოლოგი. ბავშვები სერვისს იღებენ მაშინ, როცა რიგი უწევთ. თუ დიდხანს უწევთ რიგში დგომა, სერვისის მიმწოდებელი თვითონ უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მომსახურებას. თუმცა, ყველა მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლს ამისი ფუფუნება არა აქვს. ამავე მოსაზრებას იზიარებს სააგენტოს ერთ-ერთი წარმომადგენელიც. მისი განმარტებით, თუ ხდება ისეთი ძალადობის შემთხვევა, რომ აუცილებელია განცალკევება, ბავშვი სხვა მომსახურებაში გადაჰყავთ და ფსიქოლოგიც ერთვება.

> *„მსხვერპლისა და მოძალადის განცალკევება ხდება და ამავე დროს საქმეში ფსიქოლოგიც ერთვება.“*

ამავე რესპონდენტის განმარტებით, ზოგიერთ მომსახურებას ჰყავს თავისი ფსიქოლოგი. ასევე შესაძლებელია სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ფსიქოლოგის ჩართვაც.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტთა ნაწილის მხრიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გამოწვევად დასახელდა ადგილების ნაკლებობა.

> *„თავისუფალი ადგილები არის, ვერ ვიტყვი რომ ახლა ძალიან ბევრია, თითო - ორი ადგილი შეიძლება იყოს დარჩენილი.“*

კვლევის ამავე მონაწილის განმარტებით, შემთხვევა, როდესაც არ იციან სად წაიყვანონ ბავშვი, არ ყოფილა.

> *„შეიძლება ბავშვისთვის უკეთესი იყოს რომელიმე ერთ კონკრეტულ რეგიონში დარჩენა და იმ რეგიონში ადგილი არ იყოს.”*

სააგენტოს ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსებული ბავშვები ჯანმრთელობის კუთხით უზრუნველყოფილნი არიან და ამ მიმართულებით უკიდურესი პრობლემა არ არსებობს. უზრუნველყოფილნი არიან ასევე როგორც სასკოლო, ისე სკოლის შემდგომი უფასო პროფესიული განათლების მიღების თვალსაზრისითაც. უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრისას მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მთავრობის დადგენილებით, ეძლევათ გრანტი, შესაბამისად, განათლების მიღების შესაძლებლობა აქვთ. რესპონდენტის აზრით, უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევა დგება მაშინ, როცა ბავშვის 18 წლის ხდება და მის ცხოვრებაში სერვისის დატოვების ეტაპი დგება. მისი





განმარტებით, სრულწლოვანთა ძალიან მცირე ნაწილი უბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახს. მათ ძირითადად დამოუკიდებლად უწევთ ცხოვრება და შესაბამისად, მათთვის სერვისების შექმნა მნიშვნელოვანია,

> *„ბევრი ძალისხმევაა მიმართული, რომ ეს ბავშვები მომზადდნენ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, მაგრამ მაინც სჭირდებათ მხარდაჭერა.“*

ჯანდაცვის სამინისტრო მონიტორინგს უწევს მინდობით აღზრდის სერვისის სტანდარტთან შესაბამისობას. ამჟამად მონიტორინგის სამმართველოში ორი თანამშრომელია, რომლებსაც 14 პროგრამის მონიტორინგი ევალებათ. რაც შეეხება მცირე საოჯახო ტიპის სახლების სტანდარტთან შესაბამისობის მონიტორინგს, სამინისტროს თანამშრომელთა განმარტებით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ძირითადად რთული ქცევის პრობლემებია, რასთან გამკლავების მიზნითაც ხდება დედობილებისა და მამობილების გადამზადება. რესპონდენეტების განცხადებით დაფინანსების სიმწირის საკითხზე გარკვეული მცირე ოჯახური ტიპის სახლებიდან სმენიათ, თუმცა მიიჩნევენ რომ არსებული დაფინანსება სრულიად საკმარისია.

> *„ეს თანხა ჩვენი სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ჩვენ უამრავი ისეთი ორგანიზაცია შეგვრჩა, რომელსაც აღარ ჰყავს დონორი და ახერხებენ ცხოვრებას. ცხოვრობენ ეს ბავშვები და ისინი ჩვენი საზოგადოების წევრები არიან.“*

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სტომატოლოგიური სერვისი ყველა ორგანიზიაციას მოგვარებული *აქვს.* კვლევის ერთ-ერთი მონაწილე აცხადებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ არასამთავრობოების თანამონაწილეობა აღარ იქნება, სახელმწიფო დაფარავს ბავშვის ყველა საჭიროებას.

## მინდობით აღზრდა

მინდობით აღზრდის ნაწილშიც მთელი რიგი გამოწვევები არსებობს. სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთა განმარტებით, თუ ადრე ოჯახის მატერიალური სიდუხჭირის გამო ხდებოდა ბავშვების ოჯახიდან გამოყვანა, ამჟამად წამყვანი ადგილი ძალადობას უჭირავს (იხ. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა). ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ამჟამად საქართველოს მასშტაბით მინდობით აღზრდაში 1570 – 1580-მდე ბავშვია. რეგულარულად მინდობით აღზრდისთვის ანაზღაურება 580 ლარია, გადაუდებელი აღზრდისთვის კი - 600 ლარი. გადაუდებელი მინდობით აღზრდა 90-დღიანია, თუმცა ამ 3 თვის განმავლობაში სახელმწიფო ვალდებულია ბავშვი რეგულარულ ზრუნვაში გადაიყვანოს, ან იმუშავოს ბავშვის ოჯახში დაბრუნებაზე.

ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ მინდობით აღზრდის მიზანია ოჯახურ გარემოს მიახლოებული პირობების შექმნა და არსებული სერვისებით სარგებლობა.

*„ფსიქოთერაპიას ვთავაზობთ. ჩვენი ფსიქოლოგები, არასამთავრობო ორგანიზაციები ძალიან გვეხმარებიან და თუ კი საჭიროა სტაციონარში გადაყვანა, #5 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში შეგვყავს.“*

რესპონდენტმა ასევე განმარტა, რომ ფსიქოთერაპიის სერვისი უმეტესად არ არის სისტემატიური და ამ ვალდებულებას სახელმწიფო ვერ ფარავს.

*„არასამთავრობო ორგანიზაციები რომ არ იყვნენ, ვერაფერს გავაკეთებდით.არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებაც ზღვაში წვეთია.“*

სხვა რესპონდენტის განმარტებით:

*„ბავშვს მარტო ჭამა და სმა არ სჭირდება. სხვა ბევრი რამეა კიდევ, რასაც მოკლებულნი ვართ. როგორც კი ბავშვი გარკვეულ ასაკს მიაღწევს, მასთან მუშაობა რთულდება. მერე სხვა სერვისში გადაგვყავს“.*

მიმღებ ოჯახში მყოფი ბავშვები სარგებლობენ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისით. სხვა სერვისებს სახელმწიფოს მიერ გაცემული თანხა ფარავს. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული თანხა სერვისის მისაწოდებლად საკმარისი არ არის.

*„0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვის მინდობაში აყვანაზე ყველა მიმღები მშობელი უკვე თავს იკავებს. რატომ? პამპერსი, წამალი, ბევრი რამეა საჭირო და ამ საჭიროებას ის თანხა ვერ ფარავს“.*

კვლევის ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ხშირია შემთხვევები, როცა მიმღებ ოჯახებს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა არ ჰყოფნით, რადგან ჩვილი ბავშვის მოვლა კიდევ უფრო მეტ ფინანსურ რესურსს მოითხოვს.

*„მთელი საქართველოს მასშტაბით ვეძებთ ადგილს... ნეტავ სადმე რეგიონში მაინც იყოს ადგილი“.*

მინდობით აღზრდისთვის განკუთვნილი თანხებისა და შეღავათების სიმწირეზე სხვა რესპონდენტიც საუბრობს:

*„თვითონ მინდობით აღმზრდელიც ცოდოა. მასაც უნდა ჰქონდეს რაიმე დახმარების პაკეტი, რომ უფრო დაინტერესდეს და მოტივირებული იყოს. კომუნალურ გადასახადებში შეღავათი გაუწიონ, ან მუნიციპალიტეტი დაეხმაროს.“*

მინდობით აღზრდის მსურველებისთვის ტარდება 3-დღიანი ტრენინგი და დამატებით 1-დღიანი გადამზადება ბავშვის სპეციალური საჭიროების შემთხვევაში. ტრენინგი უტარდება ოჯახის იმ წევრს, რომელთანაც ხდება მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. გადამზადების ვალდებულება რეფორმის საწყის ეტაპზე არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰქონდათ აღებული, თუმცა, ამჟამად ეს სახელმწიფოს მოვალეობაა. როგორც კვლევიდან ირკვევა, უკვე თითქმის ერთი წელია, სახელმწიფომ აღარ გამოყოფს თანხას ტრენინგისთვის, რაც თავის მხრივ ამცირებს მინდობით აღზრდაში არსებულ თავისუფალ ადგილებს და ზრდის ტრენინგის მომლოდინეთა რიგებს. ყველა მინდობით აღმზრდელმა





სამ წელიწადში ერთხელ უნდა გაიაროს გადამზადების კურსი. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს:

*„600 ოჯახს უნდა ბავშვის მინდობით აღზრდაში აყვანა. პრობლემა არის ის, რომ ტრენინგი აღარ ტარდება. 2018 წლიდან სერტიფიკატის არმქონე ოჯახში ბავშვები ვეღარ შეგვყავს..“*

სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებით, ტრენინგის გავლის შემდეგ, მინდობით აღმზრდელთა ნაწილი უარს აცხადებს თანამშრომლობის გაგრძელებაზე

*„გადამზადებულებიდან ბევრი აღარ მოგვმართავს. ალბათ, პასუხისმგებლობას აცნობიერებენ. აცნობიერებენ, რომ ის თანხა, რასაც სახელმწიფოსგან მიიღებენ, არ არის იმისთვის საკმარისი, რომ თვითონაც მოიხმარონ. ამიტომ ძალიან მცირდება მომართვიანობა.“*

თითქმის ყველა რესპონდენტი საუბრობს მიმღები ოჯახების მოძიების სირთულეზე:

*„ერთ-ერთ გამოწვევად შეგვიძლია დავასახელოთ მიმღები მშობლის მოძიება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პერმანენტულად ტარდებოდეს საინფორმაციო კამპანია“.*

*„ბავშვი თუ პატარაა ძალიან, გადაგვყავს ჩვილ ბავშვთა სახლში. შემდეგ გადაგვყავს გადაუდებელ მინდობით აღზრდაში. ახლა ვერ მოიძიებთ ვერც მინდობით აღმზრდელს… თბილისში მიმღები მშობლები არ გვყავს. ბავშვი გამოგვყავს, აცილებ, ბიოლოგიურ გარემოს, ამხელა სტრესს აყენებ და კიდევ იძულებული ხარ, რომ რაიონში გაუშვა, სადაც მისთვის სრულიად უცხო გარემოა. თბილისში აღარ გვყავს მინდობით აღმზრდელი და რაიონებში უფრო არიან. მცირე ანაზღაურებაა და დიდი პასუხისმგებლობა და არ უნდათ.“*

კიდევ ერთი რესპონდენტი აცხადებს:

*„ბოლო 2 თვეა გვყავს ბავშვები და არ გვყავს მიმღები ოჯახები. ჩემი აზრით, პოპულარიზაცია უნდა მოხდეს მიმღები მშობლობის. ახლა არის რამდენიმე ადამიანი რიგში, მაგრამ ტრენინგები არ აქვთ გავლილი და ვერ რეგისტრირდებიან მიმღებ მშობლად.“*

სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებით, ამ ეტაპზე შესაძლებელია ბავშვის გადაუდებელი დროებითი განთავსება და შემდეგ რეგიონში გადაყვანა.

როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მინდობით აღმზრდელებს უჭირთ რთული ქცევის ბავშვებთან ურთიერთობა და ყოფილა ფიზიკური დასჯის შემთხვევაც. მშობლები თავს არიდებენ როგორც 0-დან 3 წლმდე, ასევე 10 წლის ზემოთ ბავშვების აყვანას მინდობით აღზრდაში. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი განმარტავს, განსაკუთრებით უჭირთ 13-დან 18 წლამდე არასრულწლოვნის მინდობით აღზრდაში აყვანა - ამ ასაკის ბავშვები აღმზრდელებს აღარ ემორჩილებიან და მათაც პასუხისმგებლობის აღება აღარ უნდათ.

სააგენტოს წარმომადგენელიც ადასტურებს, რომ როგორც მიმღებ ოჯახებს, ისე დედობილ-მამობილებს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ძალიან უჭირთ რთული ქცევის მქონე ბავშვებთან ურთიერთობა.

*„ძალადობის მსხვერპლიც თავისებურად მოძალადეა - ისინი თავისზე სუსტსა და პატარებზე ძალადობენ. ძალიან მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო ცენტრების არსებობა, სადაც ისინი*

> *გარკვეულ რეაბილიტაციის კურსს გაივლიან. საჭიროა მინდობით აღმზრდელების გადამზადებაც, იმისთვის, რომ ბავშვის რთული ქცევის მართვა ისწავლონ“.*

მინდობით აღზრდის ნაწილში სააგენტოს წარმომადგენელი გამოწვევად მიიჩნევს ასევე პრევენციული ღონისძიებების არარსებობას, არაფორმალური განათლების პროგრამების სიმწირეს, განსაკუთრებით რეგიონში. სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, ის არ მისცემდა მინდობით აღმზრდელს ასაკის არჩევის შესაძლებლობას, რადგან ხშირად მოთხოვნა მხოლოდ გარკვეული ასაკის ბავშვებზეა

კვლევის მონაწილეების განმარტებით, არსებობენ ჩამნაცვლებელი მიმღები მშობლებიც, რომლებსაც ანაზღაურების სახით დღეში 30 ლარი აქვთ განსაზღვრული და მათ შესაძლებელია 15 დღის განმავლობაში ჩაანაცვლონ მიმღები მშობელი. რესპონდენტების განმარტებით, ეს გაკეთდა იმისთვის, რომ მინდობით აღმზრდელმაც დაისვენოს, თუმცა ჩანაცვლების მსურველ მშობელთა რიცხვიც ძალიან მცირეა.

სააგენტო ახდენს მინდობით აღზრდაში გადაყვანილი ბავშვის მონიტორინგს, პირველ თვეს ხორციელდება მინიმუმ 4 ვიზიტი. მოწმდება ისეთი საკითხები, როგორიცაა ჯანმრთელობა და განათლება. სააგენტო არკვევს, როგორ შეეგუა ბავშვი ოჯახს. მაკოორდინირებელ სამმართველოში ხდება ასევე რთული შემთხვევების განხილვა, კონფერენციების მოწყობა და სუპერვიზია. სამმართველო უზრუნველყოფს თანამშრომლებს პროფესიული კონსულტაციებით. შესაძლოა ისეთი სპეციალისტის მოწვევაც, რომელიც ჩართულია კონკრეტულ ბავშვთან მუშაობის პროცესში.

კვლევის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ასევე სოციალური მუშაკების კომპეტენციაზეც. ისინი აღნიშნავენ, რომ ორი ტიპის სოციალური მუშაკები არსებობენ: ისინი, ვინც კეთილსინდისიერად ახორციელებენ თავის საქმიანობას და მეორე ნაწილი, რომელიც ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს.

> *„თუ არ გინდა მუშაობა, მაშინ უნდა წამოხვიდე, იმიტომ, რომ ადამიანების და ბავშვების სიცოცხლესთან გაქვს საქმე. 12 წლის სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვს რომ მოიყვანს 28 წლის სოციალური მუშაკი და ზის გამომძიებელთან ერთად და ირონიული სახით ამბობს, აბა, რა ეგონა, ახლა კანფეტის საჭმელად წაიყვანდაო, იმან რომელ მოტივაციაზე უნდა ისაუბროს. ვამბობ იმას, რაც სისტემატიურად ხდება. კარგი სოციალური მუშაკებიც არიან, ამას არავინ უარყოფს“.*

როგორც მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, წელიწადში დაახლოებით 40 მინდობით აღმზრდელის (ოჯახის) შემოწმება ხდება. მონიტორინგების რაოდენობა წლის მანძილზე განსაზღვრულია. ოჯახები შეირჩევა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ან რიგგარეშე წესით, თუ არსებობს ბავშის უფლებების დარღვევის შესახებ შეტყობინება. გამოკითხული რესპონდენტების თანახმად, შესაძლოა არსებობდეს ისეთი ოჯახი, სადაც მონიტორინგი 5 წლის მანძილზე საერთოდ არ ჩატარებულა, თუმცა, ეს პრობლემას არ ქმნის, რადგან მათივე განმარტებით, სოციალური მუშაკები ოჯახებთან თანამშრომლობენ და იციან, როგორ მიმდინარეობს ბავშვის მინდობით





აღზრდის პროცესი. რესპონდენტებს გაუჭირდათ ზოგადად მონიტორინგის შედეგებზე საუბარი, განაცხადეს, რომ ბოლო მონიტორინგის მონაცემების განზოგადება ჯერ არ მომხდარა და ასეთი ანალიტიკური შეჯამება მხოლოდ წელიწადში ერთხელ ხორციელდება.

კვლევის ამავე რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ ქვეპროგრამის ყველა კომპონენტი დაკმაყოფილებული იყო. თუმცა, შემდეგ მაინც დასახელდა რამდენიმე ძირითადი გამოწვევა, რომელიც მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმებისას გამოიკვეთა და რომლის გაუმჯობესებაც, მათი აზრით, სასურველია. კერძოდ, ოჯახებსა და სოციალურ მუშაკებს შორის კოორდინაცია, ასევე კოორდინაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს, მინდობით აღმზრდელსა და მონიტორინგის სამსახურს შორის. რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა შედგეს მინდობით აღმზრდელის აქტიური ჩართულობით - რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილებას ცალმხრივად სოციალური მუშაკი იღებს და მინდობით აღმზრდელმა ოჯახმა ამ მიზნების შესახებ არაფერი იცის. .

რესპონდენტის განმარტებით, რთული ქცევის მართვის კუთხით ოჯახები საჭიროებდნენ სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მეტ ჩართულობას. ასევე ხაზი გაესვა იმასაც, რომ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების კვალიფიკაციის გაუმჯობესება და მათი რაოდენობის გაზრდა, თუმცა, აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევებში მინდობით აღმრზდელი ყველა აღნიშნულ საკითხს დამოუკიდებლად აგვარებს. რესპონდენტთა აზრით, სასურველია, რომ გაძლიერდეს მინდობით აღზრდაში მყოფ ბავშვთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების კომპონენტი - მათი პროფესიული ორიენტაციის პროგრამები, დამატებითი გადამზადება ბიუჯეტის განკარგვის, ფინანსური და დროის მენეჯმენტის საკითხებში. რაც შეეხება ქვეპროგრამის ფინანსურ მხარეს, რესპონდენტების განმარტებით, ოჯახების აბსოლუტურ უმრავლესობას ამ საკითხზე პრეტენზია არ ჰქონია.

> *„არასოდეს გამიგია არცერთი მიმღები მშობლისგან, რომ რაღაცაში თანხა არ ეყო. შეიძლება ამ თვეში არ ეყო, სამაგიეროდ მომდევნო თვეში მორჩება და თვითონ შეუძლია ლავირება. ინფლაციის გათვალისწინები პროგრამებში ბევრი რამე შევცვალეთ და თანხა გავზარდეთ“.*

რაც შეეხება მინდობით აღმზრდელთა გადამზადების საკითხებს, სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, მათი სერტიფიცირების პროგრამა წინა თვეშიც ჩატარდა (2019 წლის სექტემბერი), თუმცა, კვლევის ყველა სხვა მონაწილის განცხადებით, ასეთი ტრენინგი უკვე რამდენიმე თვეა (თითქმის ერთი წელი) აღარ ჩატარებულა.

## მიუსაფარი ბავშვები

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #648 დადგენილებით (დანართი 1-11) განსაზღვრულია მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის ღონისძიებები. 2019 წლის მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის ამოცანაა მიუსაფარ ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და

ინტეგრაცია. დღის ცენტრის მომსახურების უზრუნველყოფა და სადღეღამისო თავშესაფრის მომსახურება.

აღნიშნული ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნებიან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით იდენტიფიცირებული 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვები. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 183 400 ლარით. ერთი მობილური ჯგუფის მომსახურებისთვის თვეში ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 3 300 ლარს. ვაუჩერზე თვეში ასანაზღაურებელი თანხა, დღის ცენტრის და თავშესაფრის შემთხვევაში,ანგარიშდება დღიური დაფინანსების ოდენობის ნამრავლით მომსახურების მიღების თვეში ბენეფიციარის მიერ მიღებული მომსახურების დღეების რაოდენობაზე. ერთ ბენეფიციარზე გათვალისწინებული დღიური ანაზღაურების ოდენობა შეადგენს:

- დღის ცენტრის მომსახურების შემთხვევაში – 9 ლარს;
- თავშესაფრის მომსახურების შემთხვევაში – 20 ლარს.
- ამასთან, მომსახურების თვეში შეუვსებელი, ლიმიტით განსაზღვრული ადგილები დღის ცენტრში ანაზღაურდება დღეში 5 ლარით, თავშესაფარში – დღეში 10 ლარით, მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი მომსახურების ლიმიტით განსაზღვრული ადგილების 50%-ისა. ქვეპროგრამას განახორციელებს სააგენტო.[112]

ჯანდაცვის სამინისტროდან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 6 დღის ცენტრი, აქედან 4 თბილისში, 1 რუსთავში და 1 ქუთაისში. წლების მიხედვით დღის ცენტრითა და სადღეღამისო თავშესაფრით სარგებლობის მაჩვენებელი ასე გამოიყურება:

| წელი | ბენეფიციართა რაოდენობა | სკოლაში ჩაირიცხულ ბენეფიციართა რაოდენობა |
|---|---|---|
| **2015** | 232 | 26 |
| **2016** | 239 | 21 |
| **2017** | 270 | 6 |
| **2018** | 280 | 37 |
| **2019** | 222 | 5 |

გარდა ნორმატიული აქტების ანალიზისა და მიღებული საჯარო ინფორმაციისა, მნიშვნელოვანია იმ პრაქტიკულ გამოწვევებზე საუბარი, რომლებიც თვისებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა. როგორც თვისებრივი კვლევიდან გაირკვა, ქვეპროგრამის ფარგლებში არსებულ მობილურ ჯგუფებს გადანაწილებული აქვთ ქალაქის ტერიტორიები. თითოეული ჯგუფი გადის ველზე, ურთიერთობს ბავშვებთან და ცდილობს მოახდინოს მათი იდენტიფიცირება. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, ეს ყოველთვის სხვადასხვა

[112] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #648 დადგენილება, დანართი 1-11.





დროს მოითხოვს, შესაძლოა მოხდეს 3 თვის შემდეგ, შესაძლოა პირველ ჯერზევე. შემდეგ ხდება იმის განსაზღვრა, ნამდვილად არის თუ არა ბავშვი მართლაც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე. შესაბამისად, განეკუთვნება თუ არა მათ სამიზნე ჯგუფს. კვლევის კიდევ ერთი რესპონდენტი ადასტურებს, რომ შესაძლოა ნდობაში შესვლის ეტაპი 5 წელიწადს გაგრძელდეს და მხოლოდ შემდეგ მოხდეს ბავშვის იდენტიფიცირება. ასევე გამოწვევად დასახელდა აზერბაიჯანის მოქალაქე მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობა, რადგან ხშირად მათ და მათ მშობლებს აქვთ დოკუმენტების პრობლემა, რაც აფერხებს მათ სახელმწიფო პროგრამებში ჩართვას. თუ ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, ეს სქმეს შედარებით აიოლებს. თუ მშობლები აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან, არ აქვთ მოქალაქეობა ან მათი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, ბავშვების სახელმწიფო პროგრამებში ჩართვა ვერ ხორციელდება. რესპონდენტების განმარტებით, მაშინაც, როდესაც ბავშვი ათ წელს არის მიღწეული და უარს აცხადებს ცენტრში მისვლაზე, მობილური ჯგუფი აგრძელებს მასთან და მის ოჯახთან მუშაობას, თუმცა ეს ბავშვი ოფიციალურად თავშესაფარში/დღის ცენტრში არ ირიცხება და იურიდიული პასუხისმგებლობა ამ ბავშვზე არავის აქვს. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

> *„სახელმწიფოც იცილებს პასუხისმგებლობას თუ რა ხდება? ძალიან რთული საკითხია. ამ ბავშვს რომ ხვალ რამე მოუვიდეს?"*

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ როგორც ჩვილი ბავშვები, ასევე 18 წლამდე არასრულწლოვნები. თუმცა კვლევის რესპონდენტების განმარტებით, თუ ბავშვი არის 5 წლამდე და შესაბამისი საჭიროება არსებობს, ამ შემთხვევაში ის ძირითადად გადადის მიმღებ ოჯახში ან სხვა ალტერნატიულ სერვისში. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, მობილური ჯგუფი შესაძლებლობის ფარგლებში ასევე მუშაობს ოჯახის გაძლიერებაზე, მაგრამ შეთავაზებული პროგრამების მოქნილობის კუთხით არსებობს გარკვეული გამოწვევები:

> *„სიმართლე გითხრათ, კრიზისული ინტერვენციის პროგრამა დროში ძალიან გაწელილია. ეს არ არის ისეთი შესაძლებლობა, რომ ოჯახს დახმარება მყისიერად, დაუყოვნებლივ გაეწიოს."*

რესპონდენტის განმარტებით, პროგრამაში ჩართვამდე ხშირად არსებობს ბავშვისთვის საბუთების და სხვა ბაზისური საჭიროებების მოგვარების აუცილებლობა. მხოლოდ შემდეგ ხდება ბავშვის სერვისებში ჩართვა. რაც შეეხება ოჯახს, ამავე რესპონდენტის განმარტებით, შესაძლოა წელიწადზე მეტი დასჭირდეს იმას, რომ ოჯახი სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართონ და შესაბამისად, ამ პერიოდში მას სხვა პროგრამით გაძლიერება სჭირდება.

რესპონდენტთა განმარტებით, მხოლოდ ერთჯერადი ტიპის დახმარების უზრუნველყოფა ქუჩაში გასვლის პრევენციას ვერ მოახდენს და რეალური პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, რომ ოჯახის სისტემატიური დახმარების შესაძლებლობა არსებობდეს.

როგორც თვისებრივი კვლევით ირკვევა, დღის ცენტრის ბენეფიციარებს დღის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუძლიათ მივიდნენ ცენტრში. ცენტრის წარმომადგენლები ცდილობენ, რომ მათი საგანმანათლებლო და ჯანდაცვის საჭიროებები უზრუნველყონ.

რაც შეეხება მიუსაფარი ბავშვების სასკოლო პროცესში ჩართვას და დაბრუნებას, რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა პოზიტიურად შეაფასა განათლების სამინისტროს ფარგლებში მოქმედი პროგრამა - „მეორე შანსი“, რომლის ფარგლებშიც პროექტის წარმომადგენლები შედიან თავშესაფრებში/დღის ცენტრებში და ამზადებენ ბავშვებს სკოლაში დასაბრუნებლად ან წასასვლელად.

*„ყველა არ ერთვება ამ პროგრამაში, მაგრამ ვინც ერთვება, ძალიან მოსწონს. კარგად ჰყავთ შერჩეული თანამშრომლები. ძალიან კარგად თანამშრომლობენ ჩვენთან, ყველაფრის შესახებ საქმის კურსში გვაყენებენ. ფაქტობრივად, სკოლას და ჩვენს შორის დამაკავშირებელი რგოლია და ბავშვებს ეს ძალიან მოსწონთ.“*

თავშესაფარში მყოფი მოზრდილი ასაკის ბავშვებისთვის არსებობს პროფესიული გადამზადების პროგრამა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, ბავშვებს ეძლევათ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობაც. ამ შემთხვევაში მათ თავშესაფარში დარჩენა სრულწლოვანების მიღწევის შემთხვევაშიც შეუძლიათ, სწავლის საფასურს კი განათლების სამინისტრო აფინანსებს.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ პატარა ასაკის ბავშვების მოტივირებას სკოლაში წასასვლელად უფრო ადვილად ახერხებენ, დიდების სკოლაში დაბრუნება კი შედარებით რთულია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ ქუჩაში ყოფნის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ და სკოლაში არასოდეს უვლიათ.

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა საუბრობს იმ სტიგმაზე, რაც არსებობს სკოლებში თავშესაფრიდან მიყვანილ მიუსაფარ ბავშვებთან მიმართებაში. რიგ შემთხვევებში ეს განპირობებულია მიუსაფარი ბავშვების რთული ქცევით, ასევე მათი სტატუსით. თუმცა, აღინიშნა, რომ არის სკოლები, რომლებთანაც თავშესაფრები უკვე წლებია თანამშრომლობენ და მათთან ამგვარ პრობლემებს უფრო იშვიათად აწყდებიან. იმ შემთხვევებში, როცა ამ სკოლებში ადგილები არ არის და ბავშვის მიყვანა სხვა სკოლაში უწევთ, სტიგმის საკითხი ძალიან აქტუალური ხდება.

*„ყველას უნდა, რომ თავშესაფრიდან მიყვანილი ბავშვი თავიდან აირიდოს. ჰგონიათ, რომ ის მონსტრია და სკოლას გადაძაგავს. ეს ნაკლებინფორმირებულობის და მზაობის პრობლემაა. სკოლების ადამიანური რესურსი ტიპური სირთულეების მქონე ბავშვს ვერ უმკლავდება და მითუმეტეს ვერ გაუმკლავდება ასეთი გამოცდილების მქონე ბავშვს.“*

რესპონდენტები აცხადებენ, რომ სკოლის ამგვარი განწყობა მოქმედებს ბავშვებსა და მათ მოტივაციაზე, ისევე როგორც მათ ფსიქოლოგიურ განწყობაზე

*„რომ მიდიან, ძალიან იმედგაცრუებულები არიან ხოლმე ეს ბავშვები. ძალიან მტკივნეულია ამის ყურება.“*





კვლევის მონაწილე რამდენიმე რესპონდენტის განმარტებით, მნიშვნელოვანია უფრო მეტად იყოს ხელმისაწვდომი არაფორმალური განათლების კომპონენტი - დამატებითი წრეები, რომლებიც ბავშვის ასაკის და ინტერესის გათვალისწინებით უნდა იყოს შერჩეული. თუმცა, როგორც კვლევის მონაწილეები აცხადებენ, ამის რესურსი არ არის. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, არსებული სერვისების განხორციელება შესაძლებელია იმ ადამიანური რესურსით, რაც არსებობს, თუმცა დამატებითი ფსიქოსოციალური მომსახურება, რომლის საჭიროებაც აქტუალურია, დამატებითი სპეციალისტების მოზიდვის საჭიროებასაც გააჩენს.

რაც შეეხება მიუსაფარ ბავშვებთან პრევენციული ტიპის საქმიანობას, კვლევის ერთ-ერთი მონაწილის აზრით, ქუჩაში პრევენციის კომპონენტის განხორციელება შეუძლებელია. მისი მოსაზრებით, თუ ბავშვს ქუჩაში ცხოვრების დიდი გამოცდილება აქვს, მასთან პრევენციული ღონისძიებების გატარება ნაკლებეფექტიანია.

რესპონდენტი აქვე აღნიშნავს, რომ რესურსები ყველგან საკმარისი არ არის. თუმცა, პროვაიდერები არასამთავრობო ორგანიზაციები საქმეს კარგად უმკლავდებიან. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ აჭარის რეგიონში არსებობს მობილური ჯგუფის, ასევე დღის ცენტრის შექმნის აუცილებლობა, რადგან საჭიროება დიდია, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც აჭარაში მიუსაფარ ბავშვთა სეზონური მიგრაცია ხდება. თუმცა, ამ ეტაპამდე ვერ მოხერხდა ადამიანური რესურსის მოძიება, რაც შესაძლებელს გახდიდა აჭარის რეგიონში მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის განხორციელებას.

როგორც კვლევის მონაწილე სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი აცხადებს, აჭარაში სერვისის მიმწოდებელი ვერ მოიძებნა პროგრამის მწირი დაფინანსების გამო - სერვისი საკმაოდ ძვირია და მისი მართვა რთულია.

კვლევის სხვა რესპონდენტის განცხადებით, არსებული სახელმწიფო პროგრამა ვერც დანაშაულის და ვერ იმის პრევენციას ახდენს, რომ ეს ბავშვები ისევ ქუჩას და მოწყალების თხოვნას არ დაუბრუნდნენ.

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ რესურსის არარსებობის გამო, ვერ არკვევენ, რატომ არიან ბავშვები ქუჩაში და რატომ ითხოვენ მოწყალებას. თავად ბავშვები უარყოფენ, რომ ვინმე აიძულებთ ქუჩაში ყოფნას, სოციალური მუშაკი კი სიღრმეულ მიზეზებს ვერ ადგენს.

კვლევის კიდევ ერთი მონაწილე ადასტურებს, რომ თავშესაფრებში/დღის ცენტრებში დანაშაულის პრევენცის პროგრამები ვერ ხორციელდება, რადგან საჭიროა არა ფრაგმენტულად ინფორმაციის მიწოდება, არამედ პერმანენტული პროგრამები, რისთვისაც ცენტრებში საკმარისი ადამიანური რესურსი არა ჰყავთ.

*„რუტინულად იმუშავო ბავშვთან და იყო 10 ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი, ამავე დროს იმუშაო ბავშვის ოჯახთან და სკოლასთან და კიდევ ველზე გქონდეს სამუშაო, არის*

*წარმოუდგენელი. ამას სჭირდება ცალკე სპეციალისტი, რომელიც ორიენტირებული იქნება უშუალოდ ამ პროგრამაზე და ბავშვებს ამ სერვისს სტრუქტურირებულად მიაწვდის.“*

რესპონდენტების დიდმა ნაწილმა ისაუბრა ფსიქოთერაპიული და ფსიქიატრიული სერვისის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. მათი აზრით პრევენციის კუთხით ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

კვლევის რესპონდენტების განმარტებით, მე-5 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე არსებული ფსიქიატრიული მომსახურება ერთადერთია, სადაც შესაძლებელია შესაბამისი საჭიროების მქონე ბავშვის განთავსება. თუმცა, ეს არ არის სრულყოფილი და კარგი მომსახურება. ის დროში გაწელილი სერვისია და არის შემთხვევები, როდესაც სახეზეა ქცევითი აშლილობები, რთული ქცევა, რომლის მართვაშიც აღმზრდელთან ერთად ჩართული უნდა იყოს მულტიდისციპლინური გუნდი. რესპონდენტის განმარტებით, ასეთი სერვისი არის ძალიან მნიშვნელოვანი. კვლევის სხვა მონაწილეც ადასტურებს ფსიქიატრისა და ფსიქოთერაპიის აუცილებლობას:

*„ბავშვი გყავს, რომელსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა აქვს. შეიძლება ვინმეს დანა ესროლოს ან გაიქცეს და მერე მოგიწიოს ამ ბავშვის დევნა.“*

კვლევის ფარგლებში გამოკითხული კიდევ ერთი პირი მიიჩნევს, რომ ფსიქიატრიული სერვისის კუთხით პრობლემებია არა მხოლოდ ცენტრის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ის განმარტავს, რომ ფსიქიატრიული სერვისის კუთხით მისი გამოცდილება ძალიან ცუდია:

*„ერთი და იგივე დიაგნოზი იწერება ყველა სირთულის ბავშვთან მიმართებაში და ერთსა და იმავე წამლებს უწერენ. რა ხდება, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში ეს ინტერვენცია არ არის საკმარისი.“*

კვლევის მონაწილე სერვისის მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა მხოლოდ მომსახურების 50%-ზე ჰყოფნით (დანარჩენს თვითონ ამატებენ), ჯანდაცვის ნაწილში, კერძოდ კი ფსიქიატრის და სტომატოლოგის (რასაც სახელმწიფო დაზღვევის პაკეტი, რომლითაც ბავშვები სარგებლობენ ვერ ფარავს) მომსახურების ხარჯებს თვითონ ფარავენ:

*„არის უფასო მომსახურება, თუმცა, ჩვენ იმ მომსახურებით საერთოდ ვერ ვსარგებლობთ, იმიტომ რომ ხარისხი არ არის. მე- 5 დისპანსერი საერთოდ საოცრებაა, რომელსაც არასდროს აქვს ადგილი. ფსიქიატრის უფასო მომსახურებაც უხარისხოა, ვინაიდან შედეგი არასდროს დაიდო და გვირჩევნია, გადავიხადოთ და გვქონდეს შედეგი. სტომატოლოგიაში საერთოდ არ არსებობს სერვისი.“*

სტომატოლოგიურ სერვისთან დაკავშირებით რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ჯანდაცვის კომისიაზე საკითხის გატანის შემთხვევაშიც, ბავშვისთვის საჭირო სტომატოლოგიური სერვისის მხოლოდ მცირე ნაწილი დაფინანსდა და დანარჩენის დაფარვა სერვისის მიმწოდებელს დასჭირდა.





რაც შეეხება ფსიქოლოგის თერაპიულ მომსახურებას, სერვისის მიმწოდებლების ფსიქოლოგები ბავშვებს უწევენ ფსიქოთერაპიულ მომსახურებას, თუმცა, რთული შემთხვევების დროს უწევთ კერძო ფსიქოთერაპევტის გამოყენება.

*„ერთ სეანსში მინიმუმ 30 ლარს ვიხდით და სახელმწიფო გვაძლევს 9 ლარს.“*

კვლევის რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ ფსიქოლოგიური სერვისის საჭიროებისას იმ ბავშვებისთვის, რომლებიც სკოლაში დადიან, მანდატურის ფსიქოსოციალური სამსახურის დახმარებას იყენებენ. რაც შეეხება დღის ცენტრებს, იქ არიან ფსიქოლოგები, რომლებიც ჯგუფში მუშაობენ და რთული პრობლემის შემთხვევაში ბავშვიო დაქირავებულ ფსიქოთერაპევტთან მიჰყავთ, რისთვისაც დამატებითი თანხაა საჭირო.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული პირები აცხადებენ, რომ თავშესაფარშიცარის ბავშვებს შორის ძალადობის ფაქტები. ამ დროს მოძალადისა და მსხვერპლის განცალკევების შესაძლებლობის საკითხი იმის მიხედვით წყდება, არის თუ არა ადგილები სხვა თავშესაფარში. თუ მოძალადეც და მსხვერპლიც ერთ დაწესებულებაში რჩებიან, იქ აღმზრდელი აკონტროლებს, რომ მსგავსი შემთხვევა არ განმეორდეს, საჭიროების შემთხვევაში კი ბავშვი კვალიფიციურ სპეციალისტთან მიჰყავთ.

*„ზოგი მოძალადეა, ზოგი ძალადობის მსხვერპლია და ვერ გავაკეთებთ თავშესაფარს ცალკე მოძალადეებისთვის და ცალკე ძალადობის მსხვერპლებისთვის. ყველაფერს აკეთებს ცენტრი და თუ თავს ვერ ართმევს, მაშინ ხდება ბავშვის გადამისამართება კვალიფიციურ სპეციალისტთან“.*

კვლევის რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ადასტურებს, რომ ცენტრის/თავშესაფრის ფსიქოლოგები არ მართავენ ბენეფიციარებთან ხანგრძლივ თერაპიულ შეხვედრებს. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ბავშვების ცენტრში ყოფნა ფაქტიურად მიზნად ისახავს მათ დახსნას უკიდურესი მდგომარეობიდან.

სხვა რესპონდენტის განცხადებით, ფსიქოლოგების პროფესიული რესურსი ფაქტობრივად, მინიმალურია და იქ, სადაც ფსიქოლოგების საკადრო დეფიციტი არ არის, ამ რესურსს სათანადოდ ვერ იყენებენ.

თვისებრივი კვლევის მონაწილე დღის ცენტრის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ჯანდაცვის კუთხით არსებულ საჭიროებებს რიგ შემთხვევებში სერვისი ანაზღაურებს, რიგ შემთხვევებში კი ჯანდაცვის სამინიტროს მიმართავენ და თანხას სამინისტრო გამოყოფს.

*“ბავშვი მომსახურების გარეშე არასოდეს რჩება. ყოველთვის გამოიძებნება ხოლმე რაღაც რესურსი.“*

რაც შეეხება თავშესაფარში ბავშვის ყოფნის ხანგრძლივობას, დღის რუტინასა და სხვა სერვისებს, რესპონდენტთა ნაწილის განმარტებით, თავდაპირველად დღის ცენტრები წარმოადგენდნენ მხოლოდ კრიზისულ ცენტრებს, სადაც ბავშვი მაქსიმუმ 3 თვით უნდა დარჩენილიყო. თუმცა, გარკვეული გამოცდილების დაგროვების შემდეგ ცხადი გახდა, რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ბავშვებს არ ჰქონდათ ხანგრძლივ ზრუნვაში

გადასვლის არანაირი მზაობა და თავშესაფარში ყოფნის ვადა ცენტრის ინდივიდუალური გადაწყვეტილებით, 18 თვემდე გაგრძელდა. რაც შეეხება დღის რეჟიმს, ერთ-ერთი სერვისის მიმწოდებლის განმარტებით, ზაფხულში ბავშვებს უფრო თავისუფალი გრაფიკი აქვთ, სკოლის პერიოდში კი სხვადასხვა აქტივობებით არიან დაკავებულები. თუმცა, რესპონდენტის განმარტებით, „არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებსაც ვერაფერს გაუწერ."

სერვისის მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა ისაუბრეს სახელმწიფოს მხრიდან მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის დაფინანსების სიმწირეზეც. მათი განმარტებით, ხარჯების 50%-ის დაფარვა ქვეპროგრამის ფარგლებში საკუთარი რესურსით უწევთ. მობილური ჯგუფისთვის გამოყოფილი თანხები მეტ-ნაკლებად საკმარისია (დაახლოებით 20%-ს ამატებს სერვისის მიმწოდებელი), თუმცა, სხვა სერვისებისთვის ორგანიზაციებს მეტი ხარჯის გაღება უწევთ, რადგან პროგრამა არ ეხმარება ბავშვს და ოჯახს, თუ ბავშვი უკვე ქუჩაში არ იმყოფება.

> *„პრევენცია სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება. სახელმწიფო არ გასცემს თანხას ბავშვზე მანამდე, სანამ ის ქუჩაში ხელს არ გაიწვდის ან რამეს არ მოიპარავს. თუ ბავშვი უკვე ქუჩაშია, იმას არ თვლის ჯერ თავის ბენეფიციარად. თუმცა, ჩვენ მაინც ვეხმარებით."*

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ასევე გამოწვევად ასახელებენ ნახევრად დახურული სისტემის არარსებობას, სადაც შესაძლებელი იქნება განსაკუთრებით რთული ქცევის ბავშვების განთავსება.

> *„ბავშვისთვის საჭიროა ნახევრად დახურული სისტემა, სადაც ძალიან მაგარი გარემო იქნება და ძალიან მაგარი სპეციალისტები იქნებიან".*

ისინი ასევე ასახელებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც უჭირთ ისეთი მცირე საოჯახო ტიპის სახლის მოძებნა, რომელიც თავშესაფრიდან გადასულ ბავშვს მიიღებს. ის ორგანიზაციები, რომლებსაც მცირე საოჯახო ტიპის სახლების სერვისიც აქვთ, კონტიგენტს ფაქტობრივად მათივე დაქვემდებარებაში არსებული დღის ცენტრებიდან/თავშესაფრებიდან ავსებენ. გამოწვევებს აწყდებიან სერვისის მიმწოდებლები მაშინაც, როდესაც საკითხი 6 წლამდე ასაკის ბავშვს ეხება, რომელიც მცირე საოჯახო ტიპის სახლში ვერ მოხვდება. ხშირად მინდობით აღმზრდელი ოჯახის მოძიებაც ვერ ხერხდება და ბავშვი ხანგრძლივი დროით რჩება თავშესაფარში, სადაც მისთვის საჭირო სერვისებს ვერ იღებს:

> *„ასეთებიც გვყავს, იმიტომ, რომ ვერსად  წაიყვან ამ ბავშვებს. ხშირია, როცა მიმღები არ იძებნება, მცირე საოჯახო ტიპის სახლი უარს ამბობს მის მიღებაზე და ფაქტიურად, ბავშვი იღუპება."*

კვლევის მონაწილეთა ნაწილის განმარტებით, ასეთ ბავშვებთან ცენტრის ფსიქოლოგის მუშაობა შედეგიანი აღარ არის. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს:

> *„შარშან შემოვიდა ჯანდაცვის მონიტორინგის ჯგუფი და დაგვიწერა რეკომენდაცია, რომ სააგენტომ და სერვისის პროვაიდერმა ერთობლივად იზრუნონ, რომ ბავშვი გავიდეს მინდობით აღზრდაში. მე რა მანდატი მაქვს, რომ წავიდე და ოჯახი ვეძებო? მე ჩამიწერეს ის, რაც თვითონ ჯანდაცვამ უნდა გააკეთოს."*





მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე მობილური ჯგუფები და დღის ცენტრები საქმიანობის განხორციელების პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ მთელ რიგ სახელმწიფო უწყებებთან. იუსტიციის სამინისტროსთან მიმდინარეობს თანამშრომლობა ბავშვების დოკუმენტაციის მოწესრიგებისა და მათი სერვისში ჩართვის კუთხით. როგორც რესპონდენტები განმარტავენ, სერვისებში ჩართვისთვის მიუსაფარი ბავშვის საბუთის მოპოვება გამარტივებულია, რაც მათ ბევრად უმსუბუქებს შრომას. თუმცა, გარკვეული გამოწვევებია აზერბაიჯანის მოქალაქეებთან მიმართებით, რომელთა ვინაობის იდენტიფიცირებაც ხშირად ვერ ხერხდება, შესაბამისად მათი ვინაობის დადგენა და მათთვის დოკუმენტების დამზადება, ხანგრძლივ ბიუროკრატიასთან არის დაკავშირებული.

აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს აგრეთვე განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებთან (მიუსაფარ ბავშვთა სასკოლო სივრცეში დაბრუნებისა და მათი ჯანმრთელობის მიმართულებით არსებული საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით). სკოლასთან თანამშრომლობის მიმართულებით, დაუძლეველ ბარიერად რჩება დღის ცენტრებსა და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით არსებული სტიგმა, რაც უმეტეს შემთხვევაში ამ ბავშვების დემოტივაციას და იმედგაცრუებას იწვევს. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის განმარტებით, სკოლებს არ ჰყავთ გადამზადებული კადრები, რომლებსაც ექნებოდათ რთული ქცევის მქონე ბავშვთან  ურთიერთობის შესაბამისი უნარი.

რესპონდენტთა ნაწილმა ისაუბრა  დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და ტრენინგების მნიშვნელობაზეც. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, აღინიშნა, რომ სამინისტრო ხშირად უძლურია დაადასტუროს ბავშვის მიერ მოწყალების მოთხოვნის იძულების ფაქტები და ისევ სოციალურ მუშაკებს უწევთ ამ კუთხით აქტიურობა.

> *„სანამ მე არ დავრეკავდი პოლიციაში, არ ჰქონდა პოლიციას რეაგირება იმაზე, რომ ბავშვი იყო ქუჩაში. მქონია შემთხვევა, რომ ბავშვს უთქვამს, პოლიცია აქ არის მთელი დღე და არაფერს მეუბნება და შენ რა გინდაო. ბოლო პერიოდში ცოტა უფრო მეტად თანამშრომლობენ, მაგრამ ეს არ არის ის, რაც უნდა იყოს,"*-აცხადებს ერთ-ერთი რესპონდენტი.

კვლევის ფარგლებში, ასევე აღინიშნა, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მობილური ჯგუფის წარმომადგენლები ეუბნებიან ბავშვს შეწყვიტოს მოწყალების თხოვნა ქუჩაში, სთავაზობენ სახლში წაყვანას და როდესაც პატრულს ახსენებენ, ბავშვი პასუხობს

> *„პატრულმა აგერ გაიარა და არაფერი  მითხრა."*

კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად ბავშვის ინტერესიდან გამომდინარე, უმჯობესია, რომ მშობელს ჩამოერთვას მშობლის უფლება და შესაძლებელი გახდეს ბავშვის გაშვილება, რომ მას მიეცეს ნორმალური განვითარების შესაძლებლობა. თუმცა, სოციალური მუშაკები თავს იკავებენ ასეთი ღონისძიებების ინიცირებისგან.

*„მშობელი, რომელიც ბავშვს ცხოვრებას უმწარებს, სასამართლოში რატომ არ მიჰყავთ, ამას თუ ვინმე ამიხსნის, ძალიან მადლობელი ვიქნები.“*

კვლევის სხვა მონაწილემაც გაიხსენა ანალოგიური შემთხვევა:

*„7 წელიწადია მინდობით აღზრდაში ჰყავს ქალს ბავშვი, რომელიც მიუყვანეს 5 წლის ასაკში, საშინელ მდგომარეობაში. თუ კი რამე შეიძლებოდა, ყველაფერი სჭირდა. ნაცემიც იყო. ეს ქალი თვითონ ექიმია და გაზარდა, გამოაჯანმრთელა, ფეხზე დააყენა, ასწავლა. ამ ბავშვს ჰყავს დედა, რომელიც არის ნარკოტიკის მომხმარებელი და თან გაურკვეველი ყოფაქცევის და ხან სად არის და ხან სად. ვინმემ გამცემს პასუხი, რატომ არ ართმევს სააგენტო 7 წელია ამ ბავშვის დედას მშობლობის უფლებას? სოციალურ მუშაკს რომ ვკითხე, პასუხი არ ჰქონდა.“*

რაც შეეხება მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამის სტანდარტთან შესაბამისობას, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ეს პროგრამა ძალიან კარგად მუშაობს. მობილური ჯგუფების საქმიანობა განსაკუთრებით დადებითად შეფასდა, თუმცა, აღინიშნა, რომ ამჟამად ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა განსაკუთრებით აგრესიული კონტიგენტია. რესპოდენტების განცხადებით, მათი რეაბილიტაცია იშვიათად ხერხდება. ხშირია გარკვეული პერიოდის შემდეგ ცენტრის დატოვების შემთხვევებიც, რაც რეინტეგრაციას ართულებს. რესპონდენტებმა აღინიშნეს, რომ ბათუმში მიუსაფარ ბავშვთა ქვეპროგრამა ვერ ხორციელდება.

რესპონდენტთა თქმით, იქ, სადაც არსებობს დღის ცენტრები და 24-საათიანი სერვისი, მიუსაფარ ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ, რომ იქ მივიდნენ და ჩაერთონ ცალკეულ სერვისებში. ყველა ცენტრში არის შემეცნებითი და გასართობი პროგრამები და ჰყავთ ფსიქოლოგი. რაც შეეხება რეინტეგრაციის ან უფრო ხანგრძლივ ზრუნვაში გადაყვანის საკითხს, რესპონდენტებმა განმარტეს, რომ მცირე ნაწილი უბრუნდება ოჯახს, ნაწილი კი მინდობით აღზრდაში ან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გადადის. მათ მინდობით აღმზრდელთა და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არსებული ადგილების დეფიციტის შესახებ ინფორმაცია არ დაადასტურეს.

რაც შეეხება ზოგადად ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს რეფორმას, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელ რესპონდენტთა ნაწილმა რეფორმის მიმდინარეობა ცალსახად პოზიტიურად შეაფასა.





## ალკოჰოლზე და ნარკოტიკზე დამოკიდებულება

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, აკრძალულია ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმელის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისგან კაფსულის უსასყიდლო ან სასყიდლიანი მიწოდება, გარდა ბავშვის მიერ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების ექიმის დანიშნულებით მიღების შემთხვევებისა. მავნე ნივთიერებების ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის მიზნით პრევენციულ ღონისძიებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი მუნიციპალური სამსახური.[113] სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ბავშვის აღზრდისთვის შესაფერისი კულტურული გარემოს შექმნისა და ბავშვის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისკენ.[114] კანონმდებლობით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ოჯახის დამხმარე სოციალური სერვისების არსებობა, მათ შორის ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან სხვა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა მხარდაჭერის სერვისიც.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ცხადი გახდა, რომ მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო სახელმწიფო პროგრამა/სერვისი არ არსებობს. ამ ტიპის ბავშვებთან სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები მხოლოდ მაშინ მუშაობენ, თუ ისინი მათ ბენეფიციართა შორის არიან. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ სოციალურ მუშაკთა უმეტესობა ვერ იხსენებს სახელმწიფო სერვისს, სადაც მსგავსი პრობლემის მქონე ბავშვის გადამისამართებაა შესაძლებელი, თუმცა, აღნიშნავენ რომ პირადი კონტაქტების გამოყენებით კონსულტაციისთვის გადააგზავნიან რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ფსიქოლოგთან. კითხვაზე, როგორ იქცევიან ასეთ შემთხვევაში, რესპონდენტმა განაცხადა:

*„უფრო გამოცდილ თამანშრომელს ვეკითხებით აზრს. ვრეკავთ სხვა სერვის ცენტრში, სადაც უფრო მეტად გამოცდილი თანამშრომელი მუშაობს.“*

კვლევის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არსებობს უფასო სერვისი 14-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის, რომლის მომსახურება მოიცავს ადიქტოლოგების კონსულტაციასაც - ცენტრი ემსახურება ადიქციის მქონე პირებს, ნარკოდამოკიდებულებს და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების მქონე პირებს. თუმცა, აღნიშნული სერვისს ერთ-ერთი დონორი აფინანსებს და არასამათავრობო ორგანიზაცია ახორციელებს და იქ სახელმწიფო არ არის ჩართული. ცენტრში დასაქმებული არიან ფსიქოლოგები, ადიქტოლოგები, და სოციალური მუშაკები. შესაძლებელია ფსიქიატრის მომსახურების მიღებაც. იგივე ცენტრი ემსახურება ქცევითი პრობლემებისა და ემოციური სირთულეების მქონე პირებსაც.

[113] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ 63
[114] იქვე, მ 68

კვლევის რესპონდენტთა ნაწილი აცხადებს, რომ ადიქციასთან გამკლავების სერვისების არარსებობა ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან მიუსაფარ ბავშვებს ხშირად ხელი მიუწვდებათ გარკვეულ მედიკამენტებზე, რომლებზეც წესით წვდომა არ უნდა ჰქონდეთ, ხშირად სუნთქავენ გაზს, რაც მათი ჰოსპიტალიზაციით მთავრდება.

> *„ძალიან ბევრი ბავშვია ნივთიერებაზე დამოკიდებული. ყლაპავენ მედიკამენტებს და ძალიან მარტივად მიუწვდებათ ხელი ისეთ წამლებზე, რომელზეც არ უნდა მიუწვდებოდეთ. კიდევ რაღაცა გაზის ბალონებია, რომელიც 2 ლარი თუ ლარი ღირს და შეიძლება ერთი ბავშვისგან 10 ბალონი ამოიღო ერთ დღეს და მერე სასწრაფოს გამოძახება დაგჭირდეს. ეს კიდევ ცალკე პრობლემაა: საავადმყოფო ბავშვს არ იტოვებს იმიტომ, რომ სჭირდება მეურვე ან ვინმე, ვინც ღამეს გაუთევს. ჩვენი რესურსით ამის გაკეთება შეუძლებელია.“*

## სხვა უწყებებთან თანამშრომლობა

სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა უწყებასთან. ფუნქციების მიხედვით აღნიშნულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა ბავშვთა კეთილდღეობის ერთიანი სისტემის შეკვრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ერთ-ერთ ასეთ უწყებას წარმოადგენს მართლწესრიგის ოფიცერი, რომელიც შედარებით ახალი ინსტიტუტია და რომლის დეტალურ ფუნქციებზეც ინფორმაციაც სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯერ არ აქვს.

ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან დაკავშირებით, რეფერირების მექანიზმის ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. თუმცა, განათლების სამინისტროსთან ერთად ჯერ არ არის გაწერილი რეფერირების შიდა ინსტრუქციები - კონკრეტულად რა შემთხვევებში უნდა მოხდეს სააგენტოს სოციალურ მუშაკთან სკოლიდან ბავშვის გადმომისამართება და პირიქით.

სოციალური მუშაკები საუბრობენ მანდატურის ფსიქოსოციალურ სამსახურთან პოზიტიურ თანამშრომლობაზე. მათი განმარტებით, ადრე თუ ბავშვი დადიოდა მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან და ამავდროულად გადამისამართებული იყო სააგენტოს სოციალურ მუშაკთან, სოციალურ მუშაკს ფსიქოლოგისგან არ ჰქონდა უკუკავშირი, ახლა კი ფსიქოლოგისგან ბავშვის ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შესახებ წერილობით დასკვნას იღებენ.

> *„ახლა ძალიან გაუმჯობესდა ჩვენი თანამშრომლობა. ძალიან აქტიურები გახდნენ.“.*

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ერთეულებს, მაგალითად საპატრულო პოლიციას, რესპონდენტის განმარტებით მათთან თანამშრომლობის კუთხით ძალიან უჭირთ.





> *„როცა არასრულწლოვნის გამოკითხვის პროცესს ვესწრები, არ მომწონს არასრულწლოვნის მიმართ პოლიციელების დამოკიდებულება. იქ ვარ და თავში წამოარტყამენ ხოლმე ბავშვს და წარმოიდგინეთ, მე რომ არ ვარ იქ, მაშინ რა ხდება.“*

რესპონდენტის განმარტებით ადგილი ჰქონია როგორც ფიზიკურ, ასევე უფრო ხშირად ფსიქოლოგიურ ძალადობას, ბავშვისთვის დამამცირებელი ფრაზებით მიმართვას (შენ მაინც არაფერი გეშველება და ა.შ). კვლევის მონაწილის განმარტებით, ამ ტიპის მიმართვებს ადგილი ჰქონდა სპეციალიზებული პოლიციელების მხრიდანაც.

> *„პოლიციელებთან სულ კონფლიქტური სიტუაცია მექმნება. მე არ მერიდებიან ხოლმე და წარმომიდგენია, მაშინ რა მოხდება, თუ იქ არ ვიქნები. ბავშვი ამბობს, რომ ეს საქციელი მას არ ჩაუდენია და იცით, როგორი დამოკიდებულებაა მათი მხრიდან? 14 წლის ხომ არ ხარ და ბარემ აიღე, რა შენს თავზე. მგონია, რომ ზოგს ეს მიდგომა გამჯდარი აქვს სისხლსა და ხორცში და ზოგისთვის ეს უკვე პროფესიული უნარია. თუმცა, განსხვავებული პოლიციელებიც არსებობენ. ზოგს ისეთი უნარები და მიდგომა აქვს, სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩენილვარ.“*

რესპონდენტმა გაიხსენა ასევე ფაქტი, როდესაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა გადაწყვიტა გაენდო მისთვის ძალადობის ფაქტი და განაცხადა რომ მისი ძმა მასზე სექსუალურად ძალადობდა, რის შემდეგაც სოციალურმა მუშაკმა გამოიძახა პოლიცია და ბავშვი გადაიყვანეს გამოკითხვაზე. პოლიციელმა კი ბავშვთან ურთიერთობა დაიწყო სიტყვებით, რომ თუ ის ტყუოდა, მისი ძმა წავიდოდა ციხეში და მთელი ოჯახი გაუბედურდებოდა. შედეგად, ბავშვმა ყველაფერი უარყო. მოგვიანებით ძალადობის ფაქტი განმეორდა და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა ისევ ბავშვმა, რომ ასე აღარ შეეძლო.

> *„სექსუალური ძალადობის დროს რატომღაც არასოდეს სჯერათ ბავშვის, არასდროს. იწყებენ საუბარს, რომ ალბათ ამას უნდოდა და... ხშირია ასეთი შემთხვევები.”*

რესპონდენტთა განმარტებით პროკურატურა ბევრად უფრო შეგნებით ეკიდება ამ საკითხს.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელ რესპონდენტთა თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო არის სუსტი რგოლი ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში და რეფერირების პროცედურის ფარგლებში რეაგირების კუთხითაც. ისინი იხსენებენ რამდენიმე ფაქტს, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა მხრიდან არასათანადო რეაგირება მოჰყვა - გამოძახებაზე მოვიდა პატრული, დაწერა ოქმი და წავიდა, დანაშაულის პრევენციისთვის კი არაფერი გააკეთა.

> *„იყო ეჭვი, რომ ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში აღმზრდელი ძალადობდა. სამი წელი მიმდინარეობდა გამოძიება. ის აღმზრდელი მამაკაცი კვლავ აგრძელებდა მუშაობას იმ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, მანამ, სანამ არ დაიხურა. ბოლოს დავხურეთ, იმიტომ, რომ არ ვიცოდით რა ხდებოდა და 3 წელი გვეუბნებოდნენ, რომ გამოძიება მიმდინარეობდა. ბოლოს ისევ ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა და ბავშვები დაცულები რომ ყოფილიყვნენ, შევუჩერეთ მომსახურება.“*

*„ეს სუსტი რგოლია ნამდვილად. ქუჩაში დღემდე არის ტრეფიკინგი, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრო განზე დგას, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩა სავსეა მათხოვარი და მოძალადე ბავშვებით. ამის აღმოფხვრა კი არა, ამ პრობლემის შემცირებისკენ სვლაც კი არ ჩანს."*

კვლევაში მონაწილე სხვა სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ ძალიან უჭირთ სკოლებთან, როგორც დახურული ტიპის საზოგადოებასთან ურთიერთობა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე საოჯახო ტიპის სახლში ცხოვრობს.

რესპონდენტი საუბრობს ასევე დანაშაულის პრევენციის ცენტრთან ურთიერთობაზე, რაც მისი ბენეფიციარების ცენტრის ტრენინგებში ჩართვით განისაზღვრება.

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა ვერ გაიხსენეს რაიმე ტიპის წერილობითი რეგულაციები, რაც უწყებებს შორის ერთიდაიგივე ბავშვზე ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას და უკუკავშირის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხს დაარეგულირებდა.

*„ეს მიწერ-მოწერა და მთელი ეს უკუკავშირი დროს დაგვაკარგინებს და შედეგს ვერ მოიტანს."*

რაც შეეხება სააგენტოს სოციალური მუშაკების საქმიანობის სუპერვიზიას, ერთ-ერთი სოციალური მუშაკის განმარტებით, ამ კუთხით არსებობს გარკვეული გამოწვევები. მისი აზრით, უფროსი სოციალური მუშაკი, რომელიც მათზე ბევრად გამოცდილია, ძალიან კარგად ახერხებს მათი საქმიანობის სუპერვიზიას, თუმცა, უკეთესი იქნებოდა, რომ სხვა მექანიზმიც არსებობდეს, რადგან ბევრი სხვადასხვა პროგრამები ხორციელდება და მათ შესახებ არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი.

რაც შეეხებათ მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე სოციალურ მუშაკებს, მათ განაცხადეს, რომ მობილური ჯგუფები ხვდებიან ერთმანეთს, უზიარებენ გამოცდილებას და განიხილავენ კონკრეტულ პრობლემურ საქმეებს. ასევე კონსულტაციებს იღებენ სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს უფროსისგან.

## ადგილობრივი თვითმმართველობა

არასრულწლოვანთა დანაშაული, ანტისოციალური ქცევა რთული ფენომენია და მას მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს. აუცილებელია მულტიდისციპლინური და კომპლექსური მიდგომა არამხოლოდ ამგვარი ქცევის გამომწვევი გარემოებების შესწავლის, არამედ მათი გავლენების შემცირებისა და აღმოფხვრის, პრევენციის მიზნითაც. შესაბამისად, არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს როგორც ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის/მუნიციპალიტეტების აქტიურ ჩართულობასა და თანამონაწილეობას.





საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები, მათ შორის დასაქმების ხელშეწყობის, სოციალური დახმარების, ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის და სხვა მიზნებით.[115]

საქართველოს კანონი „სოციალური სამუშაოს შესახებ" განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების მიერ საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე სოციალური მუშაობის განხორციელების საკითხს, რომელიც უკავშირდება ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანოების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ადგილობრივ დონეზე დელეგირების საკითხს (2021 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილების დელეგირების მომწესრიგებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემა). [116]

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კანონმდებლობით აკისრიათ გარკვეული ფუნქციები როგორც საგანამანათლებლო, ასევე დანაშაულის პრევენციის საქმეში. ზოგადი განათლების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ეხმარება სკოლას „ზოგადი განათლების შესახებ" კანონით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში; ხელს უწყობს საჯარო სკოლებში სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამების განხორციელებას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა კოორდინირებულ სოციალურ და სამედიცინო მომსახურებას; იღებს ზომებს სკოლიდან გარიცხული მოსწავლეების მიერ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად; იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზომებს მოსწავლეთა სკოლაში დასწრების უზრუნველსაყოფად; აფუძნებს სკოლისგარეშე საგანმანათლებლო, სააღმზრდელო დაწესებულებებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით; ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე ატარებენ სოციალურ მუშაობას, რაც გულისხმობს: სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების იდენტიფიცირებას, საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას; ახორციელებენ ბენეფიციართა ჩართვას სოციალურ მომსახურეობებში და ამის თაობაზე ატყობინებენ შესაბამის ორგანოებს; ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას; ბენეფიციარებისთვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას

115 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მ 16,ნ 4.
116 საქართველოს კანონი „სოციალური მომსახურეობის შესახებ", მ 56.

და მათში ჩართვის ხელშეწყობას; მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისთვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას; ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარებას; კანონმდებლობით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში სოციალური მუშაობის ჩატარებას.

სოციალური მუშაობის ჩატარება არის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილება, რომლის განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს.[117] კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ახლად მიღებული „ბავშვის უფლებათა კოდექსი". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მუნიციპალიტეტი ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის პროგრამებს, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს, ბავშვის სოციალური აქტივობისა და სოციალური ინკლუზიის ღონისძიებებს შეიმუშავებს და ახორციელებს შესაბამისი სამინისტროების მიერ დელეგირებული უფებამოსილების ფარგლებში.[118]

ამავე კოდექსის მიხედვით: „სახელმწიფო ვალდებულია ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დასანერგად განახორციელოს ყველა საჭირო ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიება მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული სამართლებრივი აქტის შემუშავებისას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე. საქართველოს ტერიტორიაზე ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებენ: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი შესაბამისი უწყებათაშორისი თანამშრომლობის კომისიები, მუნიციპალიტეტები, საქართველოს სახალხო დამცველი, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები."[119]

ბავშვის უფლებათა კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები იღებენ ყველა საჭირო ზომას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების დასანერგად მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის სამართლებრივი აქტის შემუშავებისას ან/და გადაწყვეტილების მიღებისას ნებისმიერ საკითხზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე.

მუნიციპალიტეტის ორგანოები ხელს უწყობენ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ბავშვთა თანაბარ და ეფექტიან მონაწილეობას და უზრუნველყოფენ წარმოების პროცესში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას. მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვრონ შესაბამისი სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც შეიმუშავებს

[117] საქართველოს კანონი „სოციალური სამუშაოს შესახებ", მუხლი 56.
[118] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 28, 51.
[119] იქვე, მუხლი 81-82.





ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ მართვას და მათი განხორციელების კონტროლს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის საქმიანობა მოიცავს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებს. ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის ამოცანები და ფუნქციებია: ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განმახორციელებელი სოციალური მუშაკების ქსელის შექმნა და მათი სამოქმედო უბნების განსაზღვრა; ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა; არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია; სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობა როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლების გარეთ; ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევა, რეგისტრაცია და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრა; ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესაბამისად სტატისტიკის წარმოება; ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა; საქართველოს კანონმდებლობითა და საკუთარი დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულების, ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩაწერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვის, ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმელის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისა და კაფსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვის მიზნით, პრევენციულ და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყვნენ სულ მცირე ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის

ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ბავშვის მხარდაჭერის პროგრამა ფინანსდება შესაბამისი პროგრამის ბიუჯეტიდან ან საერთაშორისო გრანტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა ფინანსური საშუალებებით.[120]

კოდექსის თანახმად, 2020 წლის 1-ელ მარტამდე მუნიციპალიტეტის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურების განსაზღვრა.[121]

როგორც ვხედავთ, დანაშაულის პრევენციის მიმართულებით საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის როლი საკმაოდ დიდია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულ დონეზე ადგილობრივი თვითთმართველობის პრევენციის სახელმწიფო პოლიტიკაში ჩართულობა და ამ კუთხით მათი მხრიდან პასუხისმგებლობის გაცნობიერება სათანადო არ არის. თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებები ფაქტობრივად არ არის ასახული პრევენციის პოლიტიკის ახალ სამოქმედო გეგმაში - არც პირველი და არც მეორე დონის პრევენციის საქმიანობის განხორციელებისას.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში, საქართველოს ყველა რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიერ პრევენციის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების, ოჯახის გაძლიერების პროგრამების, რისკჯგუფებს მიკუთვნებულ ბავშვებთან მუშაობის, ადიქციური ქცევის მქონე ბავშვთა პროგრამების თაობაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან თვისებრივი კვლევის ფარგლებში ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები არ ჩატარებულა.

საჯარო ინფორმაციის სახით მუნიციპალიტეტებიდან მიღებული იქნა არასრული ინფორმაცია: კითხვათა აბსოლუტურ უმრავლესობაზე პასუხი გაცემული არ იყო, ან აღნიშნული იყო, რომ პრევენციული პროგრამები არასრუწლოვნებისთვის არ ხორციელდება. ცალკეული მუნიციპალიტეტებიდან გადმოიგზავნა ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა კონკრეტულ პრევენციულ აქტივობებს (ოჯახის გაძლიერების ერთჯერადი პროგრამები, ცალკეული აქტივობები საგანმანათლებლო, სპორტული მიმართულებით), თუმცა მათი უმეტესობა სპონტანურ, არა განგრძობად ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო პირველი დონის პრევენციის განხორციელებისკენ. შესაბამისად, რთულია იმის განსაზღვრა, რამდენად ხვდებიან აღნიშნულ პროგრამებში დანაშაულის ჩადენის რისკის მქონე არასრულწლოვნები.

მიღებულმა საჯარო ინფორმაციამ ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტების დონეზე არ არის განსაზღვრული თანმიმდევრული პრევენციული პოლიტიკა, ასევე არ არის შესწავლილი

[120] იქვე, მუხლი.96;
[121] იქვე, გარდამავალი დებულებები.





ადგილობრივი გამოწვევები გეოგრაფიულ ერთეულში არსებული ცხელი წერტილების, პრევენციული საჭიროებების და ბავშვთა რისკჯგუფების განსაზღვრის მიმართულებით. ვერ ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ თუნდაც არსებულ მწირ პროგრამებში მოხვდნენ ზუსტად ის ბავშვები, რომლებიც გარკვეულ რისკჯგუფებში არიან და რომელთა პროგრამაში ჩართვაც ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების მიხედვით განისაზღვრა. როგორც მათთან სატელეფონო კომუნიკაციამ და მიმოწერამ ცხადყო, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ბევრი თანამშრომელი ვერ აცნობიერებს, რომ კონკრეტულ ღონისძიებას, შესაძლოა, პრევენციული დატვირთვა ჰქონდეს.